

ედუარდ ოლბი

ვის ეშინია ვირჯინია ვულფის

ედუარდ ოლბი (დ. 1928) ცნობილი ამერიკელი დრამატურგია, რომელსაც მრავალი გახმაურებული პიესა ეკუთვნის.

წარმოდგენილი პიესა - „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?“ (1961-62) ოლბის ერთერთი საუკეთესო ნაწარმოებია, რომლისთვისაც ავტორს ტონის პრემია მიენიჭა. „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?“ წლების მანძილზე იდგმებოდა ბროდუეისა და ლონდონის უესტ ენდში. პიესის მიხედვით შექმნილია მხატვრული ფილმი (რეჟ. მაიკ ნიკოლსი), რომელშიც რიჩარდ ბარტონმა და ელიზაბეთ ტეილორმა დაუვიწყარი დუეტი შექმნეს.

პიესაში დახატული ერთი საღამო მოქმედი პირების – შუახნის ისტორიის პროფესორის ჯორჯისა და მისი მეუღლე მარტას – მთელი ცხოვრების ამაოებასა და სიცარიელეს აშიშვლებს. თავისი დაუნდობელი ცინიზმითა და დახვეწილი თამაშებით ისინი სტუმრად მოსული ახალგაზრდა, გულუბრყვილო ცოლ-ქმრის ჩათრევასაც ახერხებენ იმ ჯოჯოხეთში, რადაც მათი ქორწინება ქცეულა.

ტრაგიკული ლირიზმისა და სარკაზმის უჩვეულო შერწყმით ედუარდ ოლბი ბრწყინვალედ გამოხატავს აბსურდის დრამისათვის დამახასიათებელ თემატიკას: პროვნების ეგზისტენციური მარტოობა, ადამიანთა შორის გაუცხოება, კომუნიკაციის შეუძლებლობა, რაც არსებობას აბსურდულ თამაშად აქცევს.

სარჩევი

პირველი მოქმედება. გართობა და თამაშობანი 5

მეორე მოქმედება. ვალპურგიის ღამე

48

მესამე მოქმედება. ეგზორციზმი 84

მოქმედი პირები

მარტა, 52 წლის ხმაურიანი ქალი, თუმცა შესახედაობით უფრო

ახალგაზრდა მოგეჩვენებათ, სავსე ქალია, მაგრამ არა მსუქანი.

ჯორჯი, მისი მეუღლე. 46 წლის. გამხდარი. თმაში ოდნავ ჭადარა შეპარვია

ჰანი, 26 წლის, პატარა ქერა გოგონა, ძალიან უბრალო

ნიკი, მისი მეუღლე, ქერა, კარგი შესახედაობის

მოქმედება ხდება ნიუ ინგლანდის კოლეჯის ერთ-ერთი კამპუსის

მისაღებ ოთახში.

პირველი მოქმედება
გართობა და თამაშობანი

სიბნელეა. უეცრად შეჯახების ხმა არღვევს სიჩუმეს. ისმის მარტას სიცილი. კარები იღება და სინათლე ინთება. შემოდის მარტა, რომელსაც უკან ჯორჯი მოყვება.

მარტა: იესო

ჯორჯი: უშშშ. . . .

მარტა: ქრისტე!

ჯორჯი: ღვთის გულისათვის მარტა, უკვე ღამის ორი საათია

მარტა: ო, ჯორჯ

ჯორჯი: კარგი, ვწუხვარ, მაგრამ . . .

მარტა: რა დებილი ხარ! არა, მაინც რა დებილი ხარ!

ჯორჯი: გვიანია, ხომ იცი? გვიანია.

მარტა: (მიმოიხედავს ოთახში და ბეტი დევისის იმიტაციას იწყებს) რა სანაგვეა. ეი, ეს საიდანაა? რა სანაგვეა, რა სანაგვე!

ჯორჯი: აბა, საიდან უნდა ვიცოდე. . .

მარტა: ო, მოიცა რა. საიდანაა? შენ იცი . . .

ჯორჯი: მარტა . . .

მარტა: საიდანაა მეთქი, ღვთის გულისათვის მითხარი.

ჯორჯი: (დაღლილი ხმით) რა საიდანაა?

მარტა: ახლა არ გითხარი; ახლა ხანს გითხარი 'რა სანაგვეა!' საიდანაა?

ჯორჯი: წარმოდგენა არ მაქვს . . .

მარტა: იდიოტო! ბეტი დევისის ერთ-ერთი ფილმიდანაა. . . უორნერ ბრაზერზის კინოწარმოება. . .

ჯორჯი: სად შემიძლია ყველა იმ ფილმის დამახსოვრება . . .

მარტა: არავინ გთხოვს ყველას დამახსოვრებას. . . მხოლოდ ერთს! მხოლოდ ერთ, პატარა ფილმს გთხოვ! აი იმას, ბოლოში ბეტი დეივისს პერიტონიტი რომ ემართება . . . შავი პარიკი უკეთია მთელი ფილმის განმავლობაში, მერე ემართება პერიტონიტი. მოიცა ვიზუა გათხოვილი - ჯოზეფ კოტენზე თუ რაღაც ჯანდაბაზე . . .

ჯორჯი: ვილაცაზე. . .

მარტა: ვილაცაზე. . . ჩიკაგოში სურს წასვლა, იმიტომ რომ შეყვარებულია მსახიობზე, რომელსაც ნაიარევი აქვს. . . მაგრამ ავად ხდება, თავის მაგიდასთან ზის და . . .

ჯორჯი: რომელი მსახიობი? რა ნაიარევი?

მარტა: ჯანდაბა . . . არ მახსოვს მისი სახელი. ფილმს რა ჰქვია? ფილმის სახელი მსურს გავიხსენო. ხოდა, ის მაგიდასთან ზის, პერიტონიტის აქვს და პომადის წასმას ცდილობს, მაგრამ არ შეუძლია . . . ტუჩებზე წასმის ნაცვლად მთელ სახეს მოითხუპნის. . . მაგრამ გადაწყვეტს მაინც წავიდეს ჩიკაგოში და . . .

ჯორჯი: ჩიკაგო! ფილმს ჩიკაგო ჰქვია!

მარტა: რა?

ჯორჯი: ხო, ფილმის დასახელება „ჩიკაგო“!

მარტა: ღმერთო ჩემო! ნუთუ მართლა არაფერი იცი? „ჩიკაგო“ 30-იანი წლების მიუზიკლია, პატარა აღის ფეი რომ მონაწილეობდა. მართლა აზრზე არა ხარ.

ჯორჯი: ეგ ჩემ დაბადებამდე მოხდა. . . მაგრამ. . .

მარტა: კარგი დაივიწყე ეგ ფილმი. . . ბეტი დეივისი მოდის სახლში, გასტრონომში მძიმე დღის შემდეგ . . .

ჯორჯი: მაღაზიაში მუშაობს ?

მარტა: არა, ის დიასახლისია; რაღაცეებს ყიდულობს. . . და მოდის სახლში, შემოდის სახლში – ჯოზეფ კოტენის მოკრძალებული კოტეჯის

მოკრძალებულ მისაღებ ოთახში

ჯორჯი: დაქორწინებულები არიან?

მარტა: (მოუთმენლად) კი. დაქორწინებულები არიან... ერთმანეთზე. დებილო! ოთახში შემოდის, მიმოიხედავს, პროდუქტებს იატაკზე დაყრის და ამბობს „რა სანაგვეა!“

ჯორჯი: (პაუზა) ოჰო!

მარტა: (პაუზა) უკმაყოფილოა

ჯორჯი: (პაუზა) ოჰო!

მარტა: (პაუზა) აუ, რა ჰქვია ამ ფილმს ?

ჯორჯი: ნამდვილად არ ვიცი, მარტა . . .

მარტა: კარგი, იფიქრე!

ჯორჯი: დავიდალე ძვირფასო. . . გვიანია, თანაც . . .

მარტა: არ ვიცი რამ დაგლალა. . . დღეს არაფერი გაგიკეთებია. . . არც გაკვეთილები გქონდა და არც არაფერი. . .

ჯორჯი: დავიდალე... მამაშენი ყოველ შაბათს ორგებს რომ არ აწყობდეს...

მარტა: ეგ უარესი იქნებოდა შენთვის, ჯორჯ. . .

ჯორჯი: (ბუზღუნით) როგორც არის, არის

მარტა: არაფერი გაგიკეთებია. . . საერთოდაც, არასდროს არაფერს აკეთებ. . . არასდროს ერევი ხალხში . . . უბრალოდ ზიხარ და ლაპარაკობ. . .

ჯორჯი: აბა რა ვაკეთო? გინდა შენსავით მოვიქცე? გინდა მთელი საღამო შენსავით ყველას მოვედო და ვიყროყინო?

მარტა: მე არ ვყროყინებ

ჯორჯი: კარგი . . . არ ყროყინებ. . .

მარტა: მე არ ვყროყინებ

ჯორჯი: კარგი, ხომ გითხარი არ ყროყინებ-მეთქი.

მარტა: სასმელი გამიკეთე

ჯორჯი: რა?

მარტა: მე გითხარი სასმელი გამიკეთე.

ჯორჯი: (წაგა ბარისაკენ) ისე ღამის ჩაჩი არც ერთს არ გვაწყენდა

მარტა: რა ღამის ჩაჩი? ხუმრობ? სტუმრები გვყავს

ჯორჯი: რა გვყავს ?

მარტა: სტუმრები, სტუმრები

ჯორჯი: სტუმრები?

მარტა: ხო. . . სტუმრები . . . ადამიანები. . . ჩვენთან სტუმრები მოდიან. . .

ჯორჯი: როდის ?

მარტა: ახლა

ჯორჯი: ღმერთო ჩემო, მარტა . . . იცი მაინც რომელი საათია? ვინ მოდის?

მარტა: რა ჰქვიათ?

ჯორჯი: ვინ ?

მარტა: რა ჰქვიათ?

ჯორჯი: ვის რა ჰქვია ?

მარტა: არ ვიცი მათი სახელები, ჯორჯ. . . ახლები არიან. . . კაცი მათემატიკის ფაკულტეტზეა, თუ სადღაც. . .

ჯორჯი: ვინ? . . . ვინ არიან ეს ადამიანები ?

მარტა: ახლახანს არ გაიცანი, ჯორჯ.

ჯორჯი: არ მახსენდება ვინმე გამეცნო.

მარტა: ხოლმე გეუბნები გაიცანი- თქო. . . სასმელი მომაწოდე, გეთაყვა. . .

მათემატიკის ფაკულტეტზეა. . . ასე ოცდაათი წლის . . . ქერა. . . და

ჯორჯი: და კარგი შესახედავი. . .

მარტა: დიას, კარგი შესახედავი. . .

ჯორჯი: მგონი მახსენდება

მარტა: ხოლო მისი ცოლი თავუნიას წააგავს, არც თეძოები აქვს და არც სხვა არაფერი

ჯორჯი: (გაურკვეველად) ოჰო

მარტა: ახლა გაგახსენდა ?

ჯორჯი: მგონი კი. . . მაგრამ მარტა ამ დროს აქ რა ჯანდაბა უნდათ ?

მარტა: მამიკომ თქვა თავაზიანად მოეპყარითო და ამიტომაც მოდიან

ჯორჯი: (დამარცხებული) ო, ღმერთო.

მარტა: შეიძლება ჩემი სასმელი მივირთვა? მამიკომ მითხრა კარგად მოექცეცითო.

ჯორჯი: მაგრამ რატომ ახლა? ღამის ორი საათია, და . . .

მარტა: იმიტომ რომ მამიკომ თქვა კარგად გაუმასპინძლდითო. . .

ჯორჯი: ჰო. მაგრამ დარწმუნებული ვარ მამაშენს არ უგულისხმია მაგათ გამო მთელი ღამე გაათენეთო. იმას ვამბობ, რომ ხომ შეიძლება კვირას ან სხვა დღეს დაგვეპატიუებინა. . .

მარტა: კარგი რა, არაუშავს. თანაც ახლა უკვე კვირაა. . .

ჯორჯი: სასაცილოა. . .

მარტა: გადაწყვეტილია. . .

ჯორჯი: კარგი. . . მაგრამ სად არიან ? თუ სტუმრები გყავს რატომ აქ არ არიან?

მარტა: მალე აქ იქნებიან. . .

ჯორჯი: რას აკეთებენ? იქნებ სახლში წავიდნენ და აქ მოსვლამდე ცოტა გამოძინება გადაწყვიტეს ?

მარტა: მოვლენ

ჯორჯი: ნეტავ შენ სურვილებს ყოველთვის თავზე არ მახვევდე. . .

მარტა: მე არაფერს არ გახვევ

ჯორჯი: დიახაც მახვევ. . . ნამდვილად მახვევ. . . ყოველთვის მახვევ. . .

მარტა: ო, ჯორჯ!

ჯორჯი: ყოველთვის!

მარტა: საწყალი ჯორჯი-ფორჯი! (ჯორჯი სლუკუნებს) აააა, რას აკეთებ? სლუკუნებ ? მოდი ერთი ვნახოთ. . . მხოლოდ ესლა შეგიძლია ?

ჯორჯი: (ხმადაბლა) არაფერია, მარტა . . .

მარტა: აააააა

ჯორჯი: მაგით ნუ შეიწუხებ თავს

მარტა: აააა (არავითარი რეაქცია) ჰეი (არავითარი რეაქცია) ჰეი (ჯორჯი შეხედავს მდუმარედ) ჰეი (იწყებს სიმღერას)

ვის ეშინია ვირჯინია ვულფის,

ვირჯინია ვულფის. . .

ვირჯინია ვულფის. . .

ჰა, ჰა, ჰა, ჰა ! (არავითარი რეაქცია) რა გჭირს. . . არ გგონია, რომ ეს სასაცილოა? მე კი ვიფიქრე რომ გლიჯავს. . . ნამდვილად გლიჯავს. არ მოგეწონა?

ჯორჯი: არაუშავდა, მარტა

მარტა: წვეულებაზე რომ მოისმინე ისეთ ხმაზე იცინოდი, რომ. . .

ჯორჯი: მე უბრალოდ გავიღიმე. ნუ აჭარბებ. . . უბრალოდ გავიღიმე, გასაგებია ? გითხარი არა უშავს თქო. . .

მარტა: (ჩაიხედავს თავის ჭიქაში) ეშმაკმაც დალახვროს, არადა ბოლო ხმაზე ხარხარებდი. . .

ჯორჯი: ნორმალური იყო

მარტა: არა, მართლა დაგლიჯა!

ჯორჯი: სასაცილო იყო, მართლაც რომ სასაცილო.

მარტა: გულს მირევ!

ჯორჯი: რა ?

მარტა: გულს მირევ!

ჯორჯი: (ჩაფიქრდება) ცოტა მეტი ზრდილობა არ გაწყენდა, მარტა

მარტა: მიყვარს როდესაც ბრაზდები. ზუსტად ესაა, ის ერთადერთი რაც შენში მომწონს. . . შენი გაბრაზება. . . შენ. . . შენ ისეთი უსუსური ხარ ! არც კი გაგაჩნია. . . არ გაგაჩნია

ჯორჯი: რა არ გამაჩნია? ტრაკი?

მარტა: მაგარი ფრაზაა (პაუზა. . . შემდეგ ორივენი ახარხარდებიან) ჰეი, ცოტაოდენ ყინულს ხომ არ დამიმატებდი სასმელში? საკმარის ყინულს არასდროს ყრი ჭიქაში? რატომ ?

ჯორჯი: მე ყოველთვის საკმარისი ოდენობის ყინულს ვდებ, ოღონდ ეგაა, რომ შენ მათ ჭამ. ჩვევად გაქვს ყინულის ნატეხების დეჭვა. . . კოკერ სპანიელივით. . . კბილებს დაიმტვრევ. . .

მარტა: ეს ჩემი დიდი კბილებია !

ჯორჯი: რამოდენიმე. . . რამოდენიმე კბილი. . .

მარტა: მე შენზე მეტი კბილი მაქვს. . .

ჯორჯი: ორით მეტი. . .

მარტა: ორით მეტი უკვე ძალიან ბევრია. . .

ჯორჯი: ვგონებ რომ ეგრეა. თანაც თუ შენს ასაკს გავიხსენებთ, აღნიშვნის ღირსია. . .

მარტა: ეგ დაივიწყე (პაუზა) ისე არც შენ ხარ ახალგაზრდა. . .

ჯორჯი: (ბიჭური აღტაცებით) მე ექვსი წლით შენზე უმცროსი ვარ . . . ასე იყო, ასე არის და ყოველთვის ასე იქნება. . .

მარტა: კარგი. . . მაგრამ შენ მელოტდები . . .

ჯორჯი: ისე შენც (პაუზა. . . ორივეს გაეცინება) გამარჯობა, ტკბილო.

მარტა: გაგიმარჯოს. . . აქეთ მოდი და მაკოცე. . .

ჯორჯი: ო, ახლა . . .

მარტა: მინდა, რომ მაკოცო !

ჯორჯი: მე კი არ მსურს შენი კოცნა, მარტა. სად დაიკარგნენ ეს ადამიანები? სად არიან შენი დაპატიუებული სტუმრები?

მარტა: მამიკოსთან დარჩნენ სალაპარაკოდ. . . მალე მოვლენ. . . მაინც რატომ არ გინდა ჩემი კოცნა?

ჯორჯი: საყვარელო რომ გაკოცო, ხომ იცი საშინლად მომინდები და აქვე

მისაღები ოთახის ხალიჩაზე გიხმარ. . . და წარმოიდგინე ამ დროს ჩვენი სტუმრები რომ შემოვლენ. მერე რას იტყვის ამ ყველაფერზე მამაშენი.

მარტა: ნამდვილი ღორი ხარ!

ჯორჯი: ღრუტ! ღრუტ!

მარტა: ჰა, ჰა, ჰა, ჰა. იდეგ ერთი ჭიქა სასმელი გამიკეთე საყვარელო.

ჯორჯი: ღმერთო ჩემო, ამასაც სულმოუთქმელად შთანთქავ. . .

მარტა: (ბავშვივით) რა ვქნა მწყურია

ჯორჯი: ღმერთო!

მარტა: (დაიწყებს ტრიალს) მე მაგიდის ქვეშ შემძვრალსაც შემიძლია დაღევა, ამიტომ ჩემზე ნუ წუხარ ძვირფასო !

მარტა: გეფიცები მართლა რომ არსებობდე უთუოდ გაგეყრებოდი. . .

ჯორჯი: კარგი, უბრალოდ მყარად დადექი ფეხზე, სულ ესაა. . . ეს ადამიანები ხომ გახსოვს შენი სტუმრები არიან. . .

მარტა: მე შენ ვერ გხედავ. . . აგერ უკვე წლებია რაც ვეღარ გხედავ. . .

ჯორჯი: არ დაიღალე. . .

მარტა: უბრალო სიცარიელე ხარ. . . სიცარიელე და მეტი არაფერი. . .

ჯორჯი: ბევრს ნუღარ დაღეგ. . . და მერე ტანსაცმლის გახდას ნუ დაიწყებ. . . ხომ იცი არაფერია ისეთი ამაზრზენი საყურებელი, როგორც შენი სიმთვრალე. . . თავზე რომ წამოიცვამ მაისურს ხოლმე და ისე დარბიხარ. . .

მარტა: ნული ხარ. . . აბსოლიტური ნული. . .

(ისმის ზარის ხმა)

მარტა: წვეულება ! წვეულება!

ჯორჯი: მეც მოუთმენლად ველოდები, მარტა

მარტა: წადი, კარი გააღე

ჯორჯი: (არ იძვრის) შენ თვითონ გააღე

მარტა: კარი გააღე, შენი. . . (ჯორჯი არ იძვრის) მე შენ გიჩვენებ სეირს

(კარზე ისევ ზარია)

მარტა: (ყვირის) შემოდით! (მიუბრუნდება ჯორჯს და კბილებს შორის გამოსცრის) ხომ გითხარი იქეთ მიდი-თქო !

ჯორჯი: (მიიწევს კარებისაკენ და თან იღიმის) კარგი, საყვარელო. . . როგორც ჩემ სიყვარულს უნდა ისე იქნება ყველაფერი. (გაჩერდება) ოღონდ არ დაიწყო, სულ ესაა.

მარტა: რა არ დაიწყო? რაზე მეუბნები?

ჯორჯი: იმაზე. არ დაიწყო იმაზე ლაპარაკი.

მარტა: ღმერთო ჩემო, შენ რა შენი სტუდენტების იმიტაციას ცდილობ თუ რა ხდება ჯორჯ? რა არ დაიწყო?

ჯორჯი: არ დაიწყო ბავშვზე ლაპარაკი, სულ ესაა.

მარტა: შენ მე ვინ გგონივარ?

ჯორჯი: (ღუმს)

მარტა: (გაბრაზებული) ეგრე, არა? თუ მომინდება, დაიწყო.

ჯორჯი: ბავშვი უბრალოდ დაივიწყე.

მარტა: (მუქარით აღსაგსე ტონით) ის ისევეა ჩემი, როგორც შენი. სურვილის შემთხვევაში სრული უფლება მაქვს მასზე ვილაპარაკო.

ჯორჯი: მე შენ გირჩიე, მარტა.

მარტა: ეგრე აჯობებს შენთვის (კარზე კაკუნია) შემოდით. მიდი, მიეთრიე და გააღე კარი.

ჯორჯი: მე შენ გირჩიე.

მარტა: კარგი. . . გასაგებია. მიდი გააღე !

ჯორჯი: (მიიწევს კარისაკენ) როგორც ჩემ სიხარულს გაეხარდება. . . როგორც ჩემი სიყვარული ინებებს ისე მოვიქცევი. . .

მარტა: მიდი დროზე!

(მარტას ამ ბოლო რეპლიკაზე ჯორჯი კარებს აღებს. ჰანი და ნიკი გაშეშებული დგანან კარებთან. ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდება)

ჯორჯი: (გახარებული იმით, რომ იცნო სტუმრები და თანაც მარტას

სიამოვნების მიზნით ხმამაღლა მიესალმება) ააააა !

მარტა: (უფრო ხმამაღალი ხმით, რომ თავისი ქმრის ხმა გადაფაროს) გამარჯობა! გამარჯობა, შემოდით. . .

ჰანი და ნიკი: (ერთდროულად) გაგიმარჯოთ, აი ჩვენც მოვედით. . .

ჯორჯი: ალბათ თქვენ ხართ ჩვენი პატარა სტუმრები

მარტა: ჰა, ჰა, ჰა, ჰა! არ შეიმჩნიოთ ამისი ბებრული გამოსტომები. შემოდით, ბავშვებო. . . თქვენი პალტოები და ნივთები ამ ჩმორუკას მიეცით.

ნიკი: მგონი არ უნდა მოვსულიყავით

ჰანი: დიახ, თანაც ძალიან გვიანია, და . . .

მარტა: გვიანი? ხუმრობთ? დაყარეთ თქვენი ნივთები სადაც გინდათ და მოდით აქეთ.

ჯორჯი: (დადის) ჰო სადაც გინდათ. . ავეჯზე, იატაკზე. . . რა მნიშვნელობა აქვს. . . არც არავითარი. . .

ნიკი: (მიუბრუნდება ჰანის) ხომ გითხარი არ უნდა მოვსულიყავით

მარტა: შემოდით! ახლავე შემოდით!

ჰანი: (კისკისით) ო, ღმერთო

ჯორჯი: (ჰანის იმიტაციას ცდილობს და კისკისებს) ჰე, ჰე, ჰე

მარტა: მოკეტე, რა. . .

ჯორჯი: (ტკივილნარევი ხმით) მარტა ! (მიუბრუნდება ნიკს და ჰანის) ასეთი ენამწარეა. . .

მარტა: ბავშვებო. . . მოდით, დასხედით. . .

ჰანი: რა საყვარელი ხართ!

ნიკი: დიახ, ნამდვილად და თან ძალიან ღამაზი.

მარტა: დიდი მადლობა

ნიკი: (მიუთითებს რაღაც აბსტრაქტულ ნახატზე, რომელიც კედელზე ჰკიდია) ეს. . . ეს ვისი დახატულია. . .?

მარტა: ოჰ, ეს, ეს. . .

ჯორჯი: ვიღაც ბერძენის, რომელსაც დიდი უღვაში ჰქონდა და რომელსაც მარტა თავს დაესხა ერთ საღამოს. . .

ჰანი: (ცდილობს სიტუაცია გამოასწოროს) ოჰოჰოჰოჰოჰო

ჯორჯი: რა არის ეს? სურათზე ასახული მარტას შინაგანი სამყარო.

მარტა: ჰა, ჰა, ჰა. ბავშვებს და მე რაიმე დასაღვევი მოგვიმზადე, ჯორჯ. რა გინდათ, ბავშვებო? რას დალევთ?

ნიკი: რა გინდა ჰანი?

ჰანი: არ ვიცი ძვირფასო. . . კონიაკი, ცოტაოდენი კონიაკი. რაც უფრო ნაკლებს სასმელს აურევ, მით ნაკლები პრობლემა შეგექმნება.

ჯორჯი: კონიაკი? უბრალოდ კონიაკი? (წაგა ბარისაკენ) შენ რას ისურვებ ?

ნიკი: რაიმე კოკტეილს თუ ძალიან არ შეწუხდებით

ჯორჯი: შეეწუხდები? რა, არ შეეწუხდები. ვგონებ საერთოდ არ ვიცი ეგ რა გრძნობაა. მარტა? შენც დალევ?

მარტა: რა თქმა უნდა. რაც უფრო ნაკლებს სასმელს აურევ, მით ნაკლები პრობლემა შეგექმნება.

ჯორჯი: იცით, მარტას გემოვნება სასმელში სულ უფრო და უფრო უქვეითდება. წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო გამარტივდა. . . იმ დროს როდესაც ჩვენ შეხვედრები დავიწყეთ. . .

მარტა: მოკეტე, საყვარელო

ჯორჯი: (მოაქვს ჰანისა და ნიკის სასმელი) მოკლედ, იმ დროს როდესაც მე მარტასთან შეხვედრა დავიწყე, ის ყველაზე წარმოდგენელ სასმელებს უკვეთავდა. . . ხომ ხვდებით რას ვგულისხმობ, ბარში რომ შევიდოდით მთელი მონდომებით ფიქრობდა, ფიქრობდა, ფიქრობდა, და ბოლოს ისეთ სასმელს შეუკვეთავდა ხოლმე შვიდი ფენისაგან რომ შედგებოდა, და თითქმის ყველაფერი რომ იყო არეული. . . კონიაკი, ნაღები, შოკოლადი, ვაფლი. . .

მარტა: კარგი იყო, მომწონდა.

ჯორჯი: ხო, თავს ამ დროს ნამდვილ ქალბატონად გრძნობდა.

მარტა: ჰეი, სად არის ჩემი სასმელი ?

ჯორჯი: (მიდის ბარისაკენ) შემდეგ წლები გავიდა და მარტამ ისწავლა რა არის ნამდვილი სასმელი. . . ისწავლა, რომ ნაღები ყავისთვისაა, ლიმნის წვენი ნამცხვრისთვის. . . ხოლო სასმელი მარტივი უნდა იყოს. **(მიაქვს მარტასთვის სამელი)**

მარტა: გაგვიმარჯოს. ყველას. **(ყველანი სვამენ)** ძალიან პოეტური ბუნება გაქვს ჯორჯ, დიღან ტომას მაგონებ.

ჯორჯი: შენ კი ვულგარული ხარ !

მარტა: ჰა, ჰა, ჰა **(მიუბრუნდება ჰანის და ნიკს)** ჰეი, ჰეი **(იწყებს სიმღერას, ჰანიც აყვება)**

ვის ეშინია ვირჯინია ვულფის,

ვირჯინია ვულფის. . .

ვირჯინია ვულფის. . .

(მარტა და ჰანი იცინიან, ნიკი იღიმის)

ჰანი: არა, მაინც რა სასაცილო იყო, არა ?

ნიკი: კი, კი. . .

მარტა: ასე მეგონა სიცილისაგან გავსკდებოდი... ნამდვილად მეგონა გაგკდებოდი... აი ჯორჯს კი არ მოეწონა... სრულებით არ მოეჩვენა სასაცილოდ. . .

ჯორჯი: ღმერთო ჩემო, მარტა. ისევ თავიდან უნდა დაიწყო?

მარტა: მე უბრალოდ ვცდილობ შეგარცხვინო, შენი იუმორის უქონლობის გამო, ეგაა და ეგ, ძვირფასო.

ჯორჯი: (მიუბრუნდება ნიკს და ჰანის) მარტა უბრალოდ ფიქრობს რომ მე საკმარისად ხმამაღლა არ ვიცინე. მარტა მიაჩნია, რომ თუ სიცილისაგან არ გასკდი, ე.ი. არ მოგეწონა. ხომ გესმით? თუ ავთარით ხმამაღლა არ იკივლებ ე.ი. ვერ ერთობი.

ჰანი: მე ნამდვილად ვისიამოვნე. . . კარგი წვეულება იყო

ნიკი: კი. . . ძალიან მაგარი იყო

ჰანი: (ეუბნება მარტას) და მამაშენი. . . მართლაც შეუდარებელია!

ნიკი: კი. . . კი ნამდვილად. . .

მარტა: (ამაყად) ნამდვილად კარგი ტიპია, არა? უდავოდ.

ჯორჯი: (მიუბრუნდება ნიკს) აბა, გაბედე არ დათანხმება.

ჰანი: არა, ის ნამდვილად ძალიან კარგი ადამიანია.

ჯორჯი: მასზე რაიმე ცუდს კი არ ვამბობ. ის ღმერთია, ჩვენ ყველანი ამაზე ვთანხმდებით.

მარტა: შეეშვი რა მამაჩემს.

ჯორჯი: კარგი საყვარელო (მიუბრუნდება ნიკს) იმას ვამბობდი, იმდენ საფაკულტეტო წვეულებაზე რომ იყო ნამყოფი, რამდენზეც მე. . .

ნიკი: მე ეს ძალიანაც მომეწონებოდა. და არა მხოლოდ მომეწონებოდა დავაფასებდი იმას, რომ მიმიწვიეს. ხომ გესმის, როდესაც ახალი ხარ. . . კარგია ყველას რომ შეხედები და გაიცნობ. . . როდესაც კანზასში ვასწავლიდი. . .

ჰანი: ყველაფრის გაკეთება თავად გვიწევდა. . . არა, საყარელო ?

ნიკი: ჰო, ჩვენით ვიკვალავდით გზას. . .

ჰანი: ჰო. . . მე თვითონ მიწევდა ყველასთან მისვლა და თქმა, გამარჯობა მე ახალი ვარ, თქვენ აღბათ ეს უნდა იყოთ, თქვენ სავარაუდოდ ის ხართ და ა.შ. სრულებით არ იყო სასიამოვნო პროცესი.

მარტა: მამიკომ იცის როგორ მოიქცეს.

ნიკი: უდავოდ. ის გამორჩეული პიროვნებაა.

მარტა: რა თქმა უნდა.

ჯორჯი: (ეუბნება ნიკს) მოდი ერთ საიდუმლოს გაგანდობ, ბიჭუნა. უფრო მარტივი რამეებიც არსებობს ქვეყანაზე, ვიდრე უნივერსიტეტში სწავლებაა, ვიდრე ამ უნივერსიტეტის რექტორის ქალიშვილის ქმრობაა, ბევრად უფრო

მარტივია ცხოვრება.

მარტა: (ხმამაღლა) ზოგიერთი მამაკაცისათვის ეს ის შანსია, რომელიც ცხოვრებაში შეიძლება აღარასდროს მიეცეთ.

ჯორჯი: დამიჯერე, ამაზე იოლი რამეებიც არსებობს.

მარტა: ადამიანები, თავის მარჯვენასაც კი გაიმეტებდნენ ასეთი შესაძლებლობისათვის.

ჯორჯი: სინამდვილეში კი აღმოჩნდება, რომ მსხვერპლი ამაღ არ ღირდა

მარტა: არა!

ჰანი: ხომ ვერ მეტყოდით, სად არის. . . **(ხმა ჩაუწყდება)**

ჯორჯი: (მიანიშნებს ჰანიზე) მარტა. . .

ნიკი: ხომ კარგად ხარ ძვირფასო?

ჰანი: არაფერია, უბრალოდ პუდრის წასმა მინდა ცხვირზე.

ჯორჯი: (მიუბრუნდება მარტას, რომელიც წამოდგომას სრულებით არ აპირებს) მარტა, ხომ არ აჩვენებდი. . .

მარტა: რას? ოჰ! ჰო. წამოდი სახლს დაგათვალიერებინებ. . .

ჰანი: ვფიქრობ. . .

მარტა: სახის დაბანა გინდა? რა თქმა უნდა. . . წამოდი. . . **(მიუბრუნდება კაცებს)** თქვენ კი ამასობაში ლაყობით გაირთეთ თავი. . .

ჰანი: (მიუბრუნდება ნიკს) მალე დაებრუნდები, საყვარელო!

მარტა: (ჯორჯს) იცი ჯორჯ, შენ მე ჭკუიდან გადაგყავარ

ჯორჯი: (მხიარული ხმით) მშვენიერია !

მარტა: არც ისე ჯორჯ

ჯორჯი: კარგი, მარტა. . . კარგი. დაიკარგეთ აქედან

მარტა: არა

ჯორჯი: უბრალოდ ენას კბილი დააჭირე. . . ხომ იცი რაზეც გეუბნები.

მარტა: რაზეც მინდა იმაზე ვილაპარაკებ, ჯორჯ.

ჯორჯი: კარგი, კარგი. დამეკარგე აქედან

მარტა: რაზეც მინდა იმაზე ვილაპარაკებ თქო (ჩაებაუჭება ჰანის) წავედით (გადიან)

ჯორჯი: აბა რას დალევ ?

ნიკი: არ ვიცი. . . ალბათ ისევ ვისკის. . .

ჯორჯი: (იღებს ნიკის ჭიქას და მიდის ბართან) შენ იქაც ვისკის სვამდი ?

ნიკი: სად ?

ჯორჯი: იქ

ნიკი: ვერ ვხვდები

ჯორჯი: კარგი, მნიშვნელობა არ აქვს. (მიაწვდის ჭიქას) ვისკია - ერთი პორცია.

ნიკი: გმადლობ

ჯორჯი: მე და მარტას ასეთი ხუმრობა გვიყვარს. (ჯდება) და (პაუზა) და მოკლედ შენ მათემატიკის ფაკულტეტზე ხარ

ნიკი: არა. . . მე . . . არა

ჯორჯი: მარტამ მითხრა, მათემატიკის დეპარტამენტშიაო. მე მგონი ეს მისგან ვიცი. და რატომ გადაწყვიტეთ გამხდარიყავით პედაგოგი ?

ნიკი: ჰმ. . . ალბათ იგივე მოსაზრებები მქონდა როგორც თქვენ. . .

ჯორჯი: რომლითაც?

ნიკი: (მშრალად) მომიტევეთ. . .

ჯორჯი: მე გეკითხებით: რომელი მოსაზრებები გამოძრავებდათ ?

ნიკი: (დაბნეული) აზრზე არ ვარ. . .

ჯორჯი: ახლა ხანს არ თქვი იგივე მამოძრავებდა რაც შენო.

ნიკი: (შეიმჩნევა ხმაში უკმაყოფილება) მე ვთქვი ალბათ-თქო

ჯორჯი: ნუთუ ? (პაუზა) მოგწონთ ჩვენთან ?

ნიკი: (მიმოიხედავს ოთახში) კი. . . თქვენთან. . . კარგია

ჯორჯი: მე ჩვენს უნივერსიტეტზე გეუბნები

ნიკი: ააა, მე ვიფიქრე, თქვენ. . .

ჯორჯი: ვხვდები, რაც იფიქრეთ (პაუზა) მაგრამ მე უნივერსიტეტი ვიგულისხმე.

ნიკი: ხო. . . არაუშავს. . . მომწონს

(ჯორჯი ჩუმად და არ აშორებს თვალ ნიკს. ძალიან მოწონს. ჯორჯი ჩუმად)

ნიკი: და თქვენ. . . თქვენ დიდი ხანია აქ ხართ ?

ჯორჯი: რა? ა. . . კი. . . მას შემდეგ რაც დაექოწინდი. . . მასზე. . . მარტაზე. და მანამდეც (პაუზა) მე მარადისობას აქ ვხვდები (თავის თავს ეუბნება) იმედების მსხვერველს. (მიუბრუნდება ისევ ნიკს) როგორ მოგწონთ გრამატიკა, ახალგაზრდავ ? ჰა ?

ნიკი: მაპატიეთ, ბატონო, მაგრამ მგონი ჩვენ ერთმანეთს არ . . .

ჯორჯი:კითხვაზე რატომ არ მპასუხობთ?

ნიკი: სერ ?

ჯორჯი: ამ ზეამაღლებულ ტონს არ დაივიწყებ ! (დაცინვის ტონით ეუბნება) მე გეკითხებით, როგორ მოგწონთ გრამატიკა ?

ნიკი: არ ვიცი რა გიპასუხოთ

ჯორჯი: (თითქოს ყურებს არ უჯერებს) ნამდვილად არ იცით ?

ნიკი: კარგით. . . რანაირ პასუხს მოელოთ ჩემგან. . . როგორც გინდათ ისეთი პასუხი წარმოიდგინეთ. . .

ჯორჯი: შესანისნავია ! შესანიშნავი !

ნიკი: (კიდევ უფრო გაბოროტებული) როდესაც ჩემი ცოლი დაბრუნდება, ჩვენ. . .

ჯორჯი: (გულწრფელად) დაწყნარდი საყვარელო, დაწყნარდი. (პაუზა) აბა როგორია ? (პაუზა) კიდევ გინდა დალევა ? მომეცი თქვენი ჭიქა.

ნიკი: კიდევ დამრჩა ცოტაოდენი. მაგრამ როდესაც ჩემი მეუღლე ჩამოვა. . .

ჯორჯი: მომეცი. ყინულს ჩავდებ, ჩავამატებ. მომეცი, მომეცი (იღებს ჭიქას)

ნიკი: მე იმის თქმა მსურს, რომ . . . რომ თქვენ და თქვენი ცოლი რაღაცას აკეთებთ. . . თქვენ ორივემ რაღაც ჩაიფიქრეთ. . .

ჯორჯი: მე და მარტას არაფერი გვაქვს განზრახული. . . ჩვენ უბრალოდ ვცდილობთ ჩვენი იუმორის გრძნობის დემონსტრირებას. . .

ნიკი: და მაინც. . .

ჯორჯი: იცით რა. . . მოდი დავსხდეთ და უბრალოდ ვისაუბროთ. . . ჰა ?

ნიკი: უბრალოდ არ მიყვარს. . . არ მიყვარს. . . სხვების საქმეებში ცხვირის ჩაყოფა. . .

ჯორჯი: (ცდილობს მის დაწყნარებას) არაუშავს, ეს მალე გაივლის. უნივერსიტეტი პატარაა. . . აქ ისეთი წრეებიცაა, ლოგინში მუსიკით რომ ერთობიან.

ნიკი: სერ?

ჯორჯი: მე ვამბობ, მუსიკა ლოგინისათვის. . . კარგი დავივიწყოთ. . . და კიდევ ძალიან გთხოვ „სერ“-ით ნუ მომმართავ. . . და თანაც ბოლოში კითხვის ნიშნით. აი ასე „სერ? მე როგორც მესმის ასე ასაკოვან ხალხს მიმართავენ, მაგრამ არა ასეთი ტონით. . .

ნიკი:(მსუბუქად გაიღიმება) თქვენი გაღიზიანება არ მსურდა. . .

ჯორჯი: და შენ თავად რამდენი წლის ხარ ?

ნიკი: ოცდარვის

ჯორჯი: მე ორმოცის და კიდევ ცოტა მეტის (ელოდება თუ რა რეაქცია ექნება ნიკს ამაზე, თუმცა ეს უკანასკნელი არ რეაგირებს) თქვენ რა ეს არ გაოცებთ? ნუთუ მე უფრო ასაკოვანს არ ვგავარ. . . აი მაგალითად ეს სუბიექტი. . . დიახ, ეს სუბიექტი მიმტკიცებს ორმოცდაათის მაინც ხარო. . .

ნიკი: ჩემი აზრით, თქვენ, თქვენ. . . მშვენივრად გამოიყურებით. . .

ჯორჯი: მე ყოველთვის ფორმაში ვიყავი. წონაშიც არ მომიმატია უამრავი წელია. ერთადერთი ნაკლი რაც გამაჩნია არის პატარა გამონაზარდი. . . ეს ქონი ნამდვილად არაა. . . ხელბურთის თამაში მინდა. . . და თქვენ რამდენი

კილო ხართ?

ნიკი: მე . . .

ჯორჯი: 155 - 160 ფუნტი? დაახლოებით? ხელბურთს თამაშობ?

ნიკი: ხო . . . არა . . . კარგად ვერა . . .

ჯორჯი: ხო, კარგი. . . როგორმე უნდა ვითამაშოთ. . . მარტა ას რვა წლისაა. . . და წონით კიდევ უფრო მეტია. . . თქვენი მეუღლე რამდენისაა?

ნიკი: ოცდაექვსის

ჯორჯი: მარტა შესანიშნავი ცოლია. ის კი მგონი ასათი ფუნტი უნდა იყოს.

ნიკი: თქვენი ცოლი ?

ჯორჯი: არა, მეგობარო. შენი ცოლი. ჩემი ცოლი მარტაა.

ნიკი: დიახ. . . ხო, ვიცი. . .

ჯორჯი: თქვენ რომ მარტაზე იყოთ დაქორწინებული, გეცოდინებოდათ, რა ბედის საჩუქარია. (პაუზა) მაგრამ ალბათ მე რომ ვიყო დაქორწინებული თქვენ ცოლზე მასზე იგივეს ვიფიქრებდი. . . მართალია არა ?

ნიკი: (პაუზის შემდეგ) კი. . .

ჯორჯი: მარტა ამბობს, რომ თქვენ მათემატიკის ფაკულტეტზე ხართ.

ნიკი: არა. . . მათემატიკურზე არ ვარ.

ჯორჯი: მარტა არასდროს ცდება. . . ეგება თქვენთვისვე უკეთესი ყოფილიყო მათემატიკა გესწავლებინათ?

ნიკი: მე ბიოლოგი ვარ. მე ბიოლოგიურ განყოფილებას ვეკუთვნი.

ჯორჯი: (პაუზის შემდეგ) ოოოო. . .

ნიკი: სერ?

ჯორჯი: აი, ვინ ყოფილხართ! თქვენ ის ხართ, ვინც ეს აბსურდი წამოიწყო. . . ყველას ერთ თარგზე ჭრით, ქრომოსომებს იკვლევთ და კიდევ რა ვიცი. . . მართალს არ ვამბობ?

ნიკი: (ღიმილნარევი სახით) მთლად ქრომოსომები არა

ჯორჯი: მე მიმნდობი ადამიანი არ ვარ. თქვენც ხომ იცით, რომ ისტორია

არაფერს ასწავლის ადამიანებს? არაფერს! ეს ის გაკვეთილია, რომელსაც ადამიანები ვერ ითვისებენ. მე ისტორიის დეპარტამენტში ვარ.

ნიკი: კარგი. . . როგორ გითხრათ. . .

ჯორჯი: მე მეცნიერებათა დოქტორი ვარ. . . ბაკალვრი. . . მაგისტრი. . . ფილოსოფიის დოქტორი. . . მე მართლა არავის ვენდობი. ანუ, ბიოლოგია, არა? ჰმ.

(ნიკი უხმოდ ეთანხმება და უყურებს მას)

ჯორჯი: სადღაც წავიკითხე, რომ სამეცნიერო ფანტასტიკა, სრულებითაც არა არის ფანტასტიკის სფერო. . . თქვენ, ბიოლოგები, ცდილობთ ჩვენი გენები ერთმანეთს დაამსგავსოთ და ერთფეროვანები გაგხადოთ. . . მე კი ეს სრულიად არ მსურს. . . ეს არავინ იცის რა ჯანდაბაა. . . მოდი. . . შემომხედე. . . შენი ახრით, კარგი იქნება რომ ყველა ორმოცი წლის და კიდევ ცოტა მეტის იყოს და შესახდავად ორმოცდათხუთმეტისას გავდეს. ისტორიის შესახებ არაფერი მიპასუხეთ.

ნიკი: გენეტიკა, რომელზედაც თქვენ საუბრობთ. . .

ჯორჯი: მეცნიერება გულს გვწყვიტავს. . . გაოცებს. . . მაგრამ ისტორიასთან მიმართებაში საქმე ბევრად უარესადაა. . . მე ისტორიის განყოფილებაში ვარ. . .

ნიკი: დიას. . . თქვენ უკვე თქვით.

ჯორჯი: ხო, ვთქვი. . . და შეიძლება კიდევ ბევრჯერ გავიმეორო. . . მარტას უყვარს იმის გამეორება, რომ ისტორიკოსი ვარ. . . მე უბრალოდ ამ ფაკულტეტის წევრი ვარ. . . მე არ ვმართავ მას. . .

ნიკი: არც მე ვარ ბიოლოგიის ფაკულტეტის სათავეში. . .

ჯორჯი: თქვენ ხომ ოცდაერთი წლის ხართ!

ნიკი: ოცდარვის.

ჯორჯი: ოცდარვის! შეიძლება როდესაც ორმოცის და ცოტა მეტის იქნები და ორმოცდათხუთმეტის შეხედულება გექნება მაშინ ისტორიის

ფაკულტეტს ჩაიგდებ ხელში. . .

ნიკი: ბიოლოგიის ფაკულტეტს . . .

ჯორჯი: ბიოლოგიის ფაკულტეტს... ისტორიის ფაკულტეტს ვხელმძღვანელობდი ომის დროს. . . მთელი ოთხი წელი. . . მაშინ ადამიანები არ იყვნენ საკმარისი . . . მერე. . . მერე ადამიანები დაბრუნდნენ - არავინ, არავინ არ მოუკლავთ ომში. . . ესეც თქვენი ნიუ ინგლენდი. . . ისე თქვენ ცოლს. . . მას საერთოდ არ აქვს თემოები. . .

ნიკი: რა ?

ჯორჯი: არა მე საერთოდ მსხვილძვალისანი ქალების მომხრე არ ვარ. . . მე არ ვარ იმ ტიპის კაცი, რომელიც ქალებს თავისი მკერდის, წელისა და თემოების ზომებით აფასებს. ყველაფერი პროპორციული უნდა იყოს. მე უბრალოდ იმას ვამბობ, რომ თქვენ ცოლს ძალიან ვიწრო თემოები აქვს.

ნიკი: დიას, მართალი ხართ

ჯორჯი: ნეტავ, იქ რას აკეთებენ?

ნიკი: თქვენ რა ქალებს საერთოდ არ იცნობთ?

ჯორჯი: იცით, ვოშინგტონს არავინ დაუბოძბავს. . . და საერთოდაც ეს უსამართლობაა. . . თქვენ შვილები გყავთ ?

ნიკი: არა. . . ჯერ არა. . . (პაუზა) და თქვენ ?

ჯორჯი: (გამომწვევად) ჩემი საქმე ცოდნაა, თქვენი კი – კვლევა

ნიკი: აჰ ასე?

ჯორჯი: უშვილოები მაშ?

ნიკი: ჯერჯერობით - კი

ჯორჯი: ადამიანები. . . ჰმ. . . აჩენენ ბავშვებს. აი ამას ვგულისხმობდი, როდესაც ისტორიაზე ვსაუბრობდი. და თქვენ კოლბებში აპირებთ ბავშვების გამოყვანას, არა? დიას, თქვენ ბიოლოგი ხართ. ამაზე არასდროს გიფიქრიათ?

(ნიკმა, რომელმაც არ იცოდა რა ეპასუხა უბრალოდ გაიღიმა)

ჯორჯი: თქვენ გეყოლებათ ბავშვები. . . ისტორიის და მიუხედავად. . .

ნიკი: დიას. . . რა თქმა უნდა . . . ჩვენ. . . უბრალოდ. . . ცოტა მოცდა გვინდა. . . სანამ ერთ ადგილას არ მოვეწყობით. . .

ჯორჯი: და ეს ადგილი (ტაშს შემოკრავს) ეს არის თქვენი იდეალი - ილირია, პინგვინების კუნძული. . . გომორა. . . თქვენ გგონიათ რომ ბედნიერებას აქ, ახალ კართაგენში იპოვით ?

ნიკი: ხო, იმედი მაქვს, რომ აქ კარგად ვიგრძნობთ თავს.

ჯორჯი: გემოვნების საკითხია, მაგრამ მე ვთვლი, რომ ჩვენი უნივერსიტეტი არც თუ ისე ცუდია . . . მოკლედ წავა რა. . . ეს მასაჩუსეტსის ტექნიკური უნივერსიტეტი არაა, არც კალიფორნიისა და არც სორბონის. . . და არც მოსკოვის უნივერსიტეტი. . .

ნიკი: ჩვენ აქ სამუდამოდ არ ვართ. . .

ჯორჯი: ოღონდ ამას ხმამაღლა ნუ იტყვით. . . მარტას მამას ყველასაგან ლოიალობასა და თავგანწირვას მოეღის. . . მთელი კოლექტივისგან. . . მაპატიეთ, სხვაგვარად უნდა მეთქვა. . . მარტას მამა ელოდება, რომ მისი კოლექტივი შეეზრდება უნივერსიტეტის კედლებს და მისი ნაწილი გახდება - ისევე, როგორც ჩვენ. აქ იცხოვრებენ და აქვე დაბერდებიან. . . და მეცნიერების მსახურში ამოხდებით სული, მაგალიტად ლათინური ენისა და ორატორული ხელოვნების პროფესორი ლექციის კითხვის დროს მოკვდა... დაასაფლავეს ისე, როგორც კიდევ მრავალ ჩვენგანს დაასაფლავებენ მომავალში. . . თქვენ რამდენი ბავშვი გეყოლებათ ?

ნიკი: მე. . . მე არ ვიცი. . . ჩემი ცოლი. . .

ჯორჯი: ვიწროთეძოიანია. (დგება) დაგლიოთ ?

ნიკი: დიას

ჯორჯი: მარტა!

(პასუხი არ ისმის)

ჯორჯი: ჯანდაბა (მიუბრუნდება ნიკს) თქვენ მეკითხებოდით ვიცნობ თუ

არა ქალებს. . . რა არ ვიცი მათ შესახებ. . .

(ისმის მარტას ხმა) რა გინდა ?

ჯორჯი: (ნიკს) რა სასიამოვნო ხმებია! თქვენ როგორ გგონიათ, რაზე საუბრობენ ისინი? თუ თქვენ ეს საერთოდ არ გაინტერესებთ ?

ნიკი: ალბათ საკუთარ თავზე.

მარტას ხმა ისმის: ჯორჯ !

ჯორჯი: (ნიკს) თქვენ როგორ გგონიათ. . . ქალები. . . ქალები გამოუცნობი არსებები არიან.

ნიკი: ხო და არა. . .

ჯორჯი: (თავს უკრავს) უჰუ (მიდის და შემოსასვლელში კინალამ ეჯახება ჰანის) აააა ! კიდევ კარგი ეს ერთი მაინც გამოჩნდა!

(ჰანი მიდის ნიკთან. ჯორჯი კარებს უახლოვდება)

ჰანი: (ჯორჯს) ის მალე ჩამოვა. **(ნიკს)** ისე არც შენ გაწყენდა ამ ბინის დათვალიერება, მშვენიერი, ძველებური სახლია.

ნიკი: კი, მე. . .

ჯორჯი: მარტა!

ისმის მარტას ხმა: ერთ წუთს ვეღარ მოითმენ ? რა ჯანდაბა გეტაკა ?

ჰანი: (ჯორჯს) ახლავე მოვა. . . ტანსაცმელს იცვლის

ჯორჯი: იცვლის ?

ჰანი: დიას

ჯორჯი: თავიდან ბოლომდე?

ჰანი: არა, სხვა კაბას ირგებს უბრალოდ

ჯორჯი: რატომ?

ჰანი: (გაიცინებს) არ ვიცი, ალბათ იმაში უკეთ იგრძნობს თავს, უფრო მოხერხებულად. . .

ჯორჯი: აჰა, ე.ი რაში ყოფილა საქმე.

ჰანი: ღმერთო ჩემო, მას ალბათ. . .

ჯორჯი: თქვენ ხომ არაფერი არ იცით

ნიკი: (შეამჩნევს რა რომ ჰანი შეტოკდა) შენ რა ცუდად ხარ?

ჰანი: არაფერია საყვარელო, ყველაფერი რიგზეა. . .

ჯორჯი: (ელაპარაკება საკუთარ თავს) ეი ესე უფრო მოხერხებული იქნება მისთვის! მაგასაც ვნახავთ!

ჰანი: (მიმართავს ჯორჯს) მე არ ვიცოდი. . . მხოლოდ ერთი წუთის წინ შევიტყვე რომ ვაჟი გყავთ.

ჯორჯი: (თითქოს რაიმე მაგარი საგანი ჩაართყვს ზურგში) რა?

ჰანი: ვაჟი. მე არ ვიცოდი.

ნიკი: ალბათ დიდი ბიჭი იქნება. . .

ჰანი: ოცდაერთის. . . ხვალ ოცდაერთის გახდება. . . მისი დაბადების დღეა...

ნიკი: კარგია!

ჯორჯი: (მიუბრუნდება ჰანის) ეს მარტამ გითხრათ ?

ჰანი: რა თქმა უნდა. . . საქმე იმაშია, რომ . . .

ჯორჯი: ეი. მარტამ გითხრათ მასზე

ჰანი: (ნერვიულად გაიცინებს) კი

ჯორჯი: და თქვენ მეუბნებით რომ ახლა ტანსაცმელს იცვლის ?

ჰანი: დიახ. . .

ჯორჯი: და მან ახსენა. . . ?

ჰანი: (მხიარულად, თუმცა ხმაში ცოტა დაბნეულობა შეიმჩნევა) თქვენი შვილის დაბადების დღე. . .

ჯორჯი: (თავისთვის) კარგი, მარტა, კარგი. . .

ნიკი: რაღაც ფერდაკარგული მეჩვენები, ჰანი. ხომ არ გინდა. . . ?

ჰანი: დიახ, ძვირფასო, ცოტაოდენი ბრენდი არ მაწყენდა. . . მხოლოდ ერთი წვეთი. . .

ჯორჯი: კარგი, მარტა

ნიკი: შეიძლება. . . ვისარგებლო. . . უკ. . . ბარით ?

ჯორჯი: კმ? ოჰ, დიას, დიას . . . რა თქმა უნდა. . . დალიეთ. . . რაც უფრო მეტი წელი გავა, მით უფრო დაგჭირდებათ. . . (მიმართავს მარტას, რომელიც ოთახში არ არის) არა, მაინც რა დამანგრეველი ხარ. . .

ჰანი: (ამის ჩასახშობად) რომელი საათია ძვირფასო?

ნიკი: სამის ნახევარია

ჰანი: ოჰ, ძალიან გვიანაა, მგონი დროა სახლისაკენ გავეშუროთ

ჯორჯი: (უხეშად, თუმცა ისეა გართული ფიქრში ვერ ამჩნევს საკუთარ ტონს) რისთვის ? ძიდა გელოდებოთ შინ თუ რა?

ნიკი: ხომ გითხარით ბავშვები არ გვყავს-თქო

ჯორჯი: კმ? (გაანალიზებს რა საკუთარ ნათქვამს) მომიტევეთ, არ გისმენდით, თუ არ ვფიქრობდი. . . რომელიც გირჩევნიათ ის იფიქრეთ. ..

ნიკი: (მიმართავს ჰანის) მალე წავალთ

ჯორჯი: ოჰ, არა. ასე არ უნდა მოიქცეთ. მარტა ტანსაცმელს იცვლის, ისიც აშკარაა, რომ ამას ჩემთვის არ აკეთებს. უკვე წლებია რაც მარტა ჩემს გამო არ იპრანჭება. . . თუ მარტა იცვლის ეს იმას ნიშნავს, რომ აქ რამოდენიმე დღე ჩარჩებით. . . თქვენ დიდი პატივი გერგოთ და ეს არ უნდა დაივიწყოთ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მარტა ჩვენი საყვარელი უფროსის შვილია, მისი მარჯვენა კვერცხია.

ნიკი: ალბათ ეს გაუგებარია თქვენთვის. . . მაგრამ მადლობელი დაგრჩებით ჩემი ცოლის თანდასწრებით თუ ასე არ ისაუბრებთ. . .

ჰანი: კარგი რა . . .

ჯორჯი: მართლა? კარგი, გეთანხმებით. . . ასეთი საუბარი მარტას სტილში უფროა და მას დაგუტოვოთ ეს უფლება. . .

მარტა: რა ტიპის საუბარი ?

(შემოდის მარტა, რომელსაც ტანსაცმელი გამოცვლილი აქვს და ეხლა უფრო კომფორტულად გრძნობს თავს)

ჯორჯი: აი, ჩემი თოჯინაც მოვიდა

მარტა: კარგი, ახლა. . .

ჯორჯი: მარტა . . . შენი საკვირაო კაბა. . .

ჰანი: ძალიან ლამაზია !

მარტა: (ცდილობს თავის მოწონებას) მოგწონთ? ძალიან კარგი! (მიმართავს ჯორჯს) რა განხავლებდა სულ ჩემ სახელს რომ გაიძახდი?

ჯორჯი: მოვიწყინეთ საყვარელო. . . შენი ტკბილი ხმის გარეშე საშინელი მოწყენილობა ჩამოვარდა. . .

მარტა: ოჰ, კარგი. მაშინ წინააღმდეგი არ იქნები ალბათ ბარისაკენ რომ გადაინაცვლო . . . ?

ჯორჯი: . . და სასმელი გაგიკეთო, არა?

მარტა: (იცინის) მართალი ხარ. (ნიკს) თქვენ ორმა კარგად ისაუბრეთ ? და როგორც ყოველთვის, ყველა კაცის მსგავსად თქვენც მსოფლიოს პრობლემებს განიხილავდით, არა ?

ნიკი: ხო, არა, ჩვენ. . .

ჯორჯი: ჩვენ იმის გარკვევას ვცდილობდით თუ რაზე საუბრობდით თქვენ ორნი იქ მარტონი. . .

(ჰანი და მარტა იცინიან)

მარტა: (ჰანის) არა მაინც რა ტიპები არიან? აბსოლიტური არარაობები. (ჯორჯს) მერე რატომ არ ამოიპარეთ კიბეებზე და არ მოაყურადეთ?

ჯორჯი: ოჰ, მე როგორ მოვისმენდი თქვენ საუბარს ჩუმად. . . ამას როგორ გაგებდავდი. . .

(ჰანი და მარტა იცინიან)

ნიკი: (ჯორჯს) მგონი რაღაც შეთქმულებაა

ჯორჯი: მაგას ვეღარასდროს გაგიგებთ. ფუ ამის !

მარტა: (ნიკს) ჰეი, შენ ალბათ მართლა ნიჭიერი იყავი, მაგისტრის წოდება რომ მოგცეს. . . თორმეტის წლის რომ იყავი . . . გესმის ჯორჯ?

ნიკი: სიმართლე გითხრათ თორმეტ ნახევარი წლისა ვიყავი . . . არა, საერთოდაც ცხრამეტის (ჰანის) ეს არ უნდა გეთქვა საყვარელო

ჰანი: ოჰ. . . მე შენით ვამაყობ. . .

ჯორჯი: ძალიან. . . ძალიან შთამბეჭდავია. . .

მარტა: (აგრესიულად) მართალი ხარ!

ჯორჯი: ხომ ვთქვი შთამბეჭდავია თქო, მარტა! ძალიან მშურს. მეტი რა ვქნა ? რა გავაკეთო ? (ნიკს) ძალიან შთამბეჭდავია. (ჰანის) უდავოა მისით რომ ამაყობთ.

ჰანი: ხო, ის საკმაოდ კარგი ბიჭია.

ჯორჯი: არ გამიკვირდება ისტორიის ფაკულტეტის სათავეში რომ მოგვევლინოთ სულ მალე. . .

ნიკი: ბიოლოგიის.

ჯორჯი: ბიოლოგიის განყოფილება. რა თქმა უნდა. მე უბრალოდ ისტორიის ფაკულტეტით ვარ დაინტერესებული. . . (აღგება, გულზე ხელს დაიდებს, თავს მალლა აწევს) მე ისტორიის ფაკულტეტით ვარ მოცული. . .

მარტა: ჰა, ჰა, ჰა, ჰა

ჯორჯი: ვგონებ ჩემთვის სასმელის გაკეთება არ მაწყენდა.

მარტა: ჯორჯი სრულებითაც არ არის ისტორიით გატაცებული, მას მხოლოდ ისტორიის ფაკულტეტი ადარდება. . . რადგან . . .

ჯორჯი: რადგან ის ისტორიის ფაკულტეტის სულისჩამდგმელი კი არა უბრალო შემადგენელი ჭანჭიკია. ვიცით მარტა. . . ეგ საკითხი უკვე განვიხილეთ, თქვენ რომ მალლა იყავით ასულები, მაშინ. არ არის საჭირო ყველაფრის თავიდან დაწყება. . .

მარტა: კარგი საყვარელო. . .

ჯორჯი: (სრულიად აკონტროლებს თავის თავს, თითქოს მარტას არც კი უთქვამს რაიმე უხეშად) მარტა, ძვირფასო, რაიმეს ხომ არ ინებებ ?

მარტა: ხო, სიგარეტზე მომიკიდე, თუ არ შეწუხდები.

ჯორჯი: არა. ყველაფერს საზღვარი აქვს.

მარტა: ღმერთო ჩემო ! (მიუბრუნდება ნიკს) ჰეი, ფეხბურთს თამაშობდი?

ჰანი: (ნიკი ფირებში ჩაძირულია) საყვარელო. . .

ნიკი: კი. . . კი . . . დაცვაში ვიყავი. . . თუმცა მე პირადად ბოქსი უფრო მიზიდავდა. . .

მარტა: (აღფრთოვანებული) ბოქსი ? გესმის, ჯორჯ?

ჯორჯი: კი, მარტა.

მარტა: (ნიკს) ალბათ საკმაოდ კარგი იყავით ბოქსში. . . რადგან სახეზე არავითარი კვალი თუ ნაიარევი არ გაქვთ.

ჰანი: (ამაყად) ის შტატის ჩემპიონი გახდათ

ნიკი: (გაწითლდება) ჰანი. . .

ჰანი: ნუ რა ვქნა იყავი და. . .

მარტა: შენ ახლაც კარგი ტანი გაქვს. . . რა? ხომ მართალი ვარ. . . ?

ჯორჯი: მარტა. . . ზრდილობა მოითხოვს. . .

მარტა: (ჯორჯს მიმართავს, თუმცა ისევ ნიკს უყურებს) მოკეტე! (უბრუნდება ნიკს) ფიგურა შეინარჩუნეთ?

ნიკი: კი, ახლაც საკმაოდ კარგია. . . ვზრუნავ ამაზე!

მარტა: მართლა ?

ნიკი: დიახ. . .

ჰანი: ძალიან მკვრივი სხეული აქვს

მარტა: მართლა? ყოჩაღ. . . ძალიან კარგია. . .

ნიკი: ხო არასდროს იცი. . .

მარტა: არასდროს იცი, როდის გამოგადგება. . .

ნიკი: იმის თქმა მინდოდა, რატომ უნდა დაანებო თავი სანამ შეგიძლია ?

მარტა: აბსოლუტურად გეთანხმებით !

ჯორჯი: მარტა, ასეთი სითამამე კარგი არა არის. . .

მარტა: ჯორჯ, ეს საუბარი ნერვებს გიშლის არა? ჯორჯი ვერ იტანს

როდესაც კუნთებზე იწყება საუბარი. . . ისედაც აშკარაა რატომ. . .
მოშვებული კუნთები. . . მოფომფლოებული მუცელი. . .

ჯორჯი: (ჰანის) არ გინდათ ბაღში გავისეირნოთ ?

ჰანი: ახლა?

ჯორჯი: თქვენ ამით ერთობით. კარგი.

**მარტა: დონდლოს არ უყვარს როდესაც კუნთებზე იწყება საუბარი.
რამდენს იწონით ?**

ნიკი: ასორმოცდათხუთმეტი ფუნტი, სადღაც ეგრე. . .

**მარტა: ანუ ძველ ფორმას ინარჩუნებთ. კარგია (იწყებს ტრიალს) ჰეი,
ჯორჯ, მოუყევი მათ იმ ბოქსის მატჩის შესახებ ჩვენ რომ გვქონდა**

ჯორჯი: (დაანარცხებს თავის ჭიქას ძირს) ღმერთო !

მარტა: უთხარი რა!

ჯორჯი: ადექი და შენ უთხარი ! ეგეთი რამეები გეხერხება! (გადის)

ჰანი: ხომ კარგადაა ?

**მარტა: (გაიცინებს) ის? რა თქმა უნდა. ჯორჯს და მე გვქონდა ბოქსის
მატჩი. . . ღმერთო ჩემო . . . სადღაც ოცი წლის წინ. . . რამდენიმე წლის
შემდეგ რაც დავექორწინდით. . .**

ნიკი: ბოქსი? თქვენ ორს?

ჰანი: მართლა?

მარტა: დიახ. . . ჩვენ ორს. . . მართლა. . .

ჰანი: ვერ წარმომიდგენია

**მარტა: ხო, ეს ოცი წლის წინ იყო, ომიანობა იყო და მამიკო აღმერთებდა
ფიზიკურ მომზადებას. . . მამიკო აღმერთებს ფიზიკურ აქტივობას . . .
ამბობს, რომ ტვინი ადამიანის მხოლოდ ერთი ნაწილია. . . სხეულიც მისი
ნაწილია და ადამიანი ორივე მათგანს თანაბარ მნიშვნელობას უნდა
ანიჭებდეს. . . გესმის ?**

ნიკი: აჰა

მარტა: ამბობს რომ თუ სხეული ვერ ფუნქციონირებს ტვინიც შესაბამისად ვერ მუშაობს წესიერად

ნიკი: ეს მთლად ასე არაა . . .

მარტა: შეიძლება ასე არაა. . . ან ეს ის არაა რასაც მამიკო ფიქრობს. . . მაგრამ ხომ გესმით ომიანობის დრო იყო და მამიკოს იდეით ყველა მამაკაცს უნდა ცოდნოდა მუშტი-კრივი . . . თავდაცვა. მისი იდეა იყო, რომ თუ გერმანელები დესანტს გადმოსხამდნენ კუნძულზე, მთელი ფაქულტეტი აბჯარს აისხამდა, ომში ჩაებმებოდა და დედას უტირებდნენ. . . არ ვიცი.

ნიკი: ალბათ მართლაც ეს იყო მთავარი აზრი

მარტა: ნუ ხუმრობთ. მამიკო ერთი-ორჯერ გვესტუმრა კვირას. ჩვენც რომ ვესტუმრეთ მამიკომ ხელთათმანები ჩაიცვა. მამიკო ძლიერი კაცია. ხომ იცი

ნიკი: დიახ . . . დიახ

მარტა: და მან ჯორჯს სთხოვა ეჩხუბა მასთან . . . დააააააა . . . ჯორჯს არ სურდა . . .

ნიკი: აჰა

მარტა: ჯორჯს არ უნდოდა მასთან ჩხუბი, მაგრამ მამიკოს დაიწყო „მოდი აქ ბიჭო . . . რანაირი სიძე ხარო ? . . .” და ასეთ რამეებს ეუბნებოდა

ნიკი: დიახ

მარტა: ხოდა სანამ ეს გრძელდებოდა . . . არ ვიცი რატომ . . . მე თითონ წამოვიცვი ხელთათმანები . . . ხომ გესმის? არც შემიკრავს და არც არაფერი . . . და უკნიდან მივეპარე ჯორჯს და დაუუყვირე „ჰეი, ჯორჯ” . . . უბრალოდ ვეხუმრებოდი ხომ გესმის ?

ნიკი: აჰა

მარტა: . . . და ჯორჯი უცებ მოტრიალდა და მე ყბაში მოვდე მაგრად (ნიკი გაიცინებს) არა, ნამდვილად არ მინდოდა . . . მარჯვენა ყბაში მოვდე . . . მან წონასწორობა დაკარგა. მერე უკან წაიბორძიკა და უკან გადავარდა . . . ძირს დაენარცხა . . . (ნიკი იცინის. ჰანი იცინის და თან თავს აკანტურებს)

საშინელება იყო . . . ძალიან სასაცილო . . . თუმცა საშინელი (დაფიქრდება და მერე გაიცინებს) არა ამან ნამდვილად გააფერადონა ჩვენი ცხოვრება . . . ნამდვილად. . .

(შემოდის ჯორჯი, ხელები უკან შემოუწყვი. ვერაინ ამჩნევს) ის მთლიანად ჭაობშია ჩაფლული . . . და არც აქვს აქედან ამოსვლის სურვილი. . . (ჯორჯი წინ წამოიწევს. ჰანი ხედავს მას) ეს ჩხუბი შეცდომა იყო . . . უაზრო შეცდომა . . .

(ჯორჯი უკნიდან გამოაძრობს იარაღს და მარტას მიუშვევს. ჰანი კივის . . ნიკი დგება . . .მარტა მოტრიალდება ჯორჯისაკენ. ჯორჯი სასხლეტს გამოჰკრავს)

ჯორჯი: ბახ ! (იარაღიდან ბრჭყვიალა ქაღალდები ცვივა. ჰანი ისევ კივის, თუმცა ამ ჯერად ნაკლებად) მკვადრი ხარ! ბახ! მკვადრი ხარ!

ნიკი: (იცინის) მადლობა ღმერთს!

ჰანი: ოჰ! ღმერთო ჩემო!

მარტა: ეგ სად იშოვე, შე ნაბიჭვარო?

ნიკი: შეიძლება ვნახო ?

(ჯორჯი მიაწვდის)

ჰანი: ასე არასდროს შემშინებია . . . არასდროს!

მარტა: შე ნაბიჭვარო!

ჰანი: (ცდილობს ყურადღება მიიპყროს) ასე არასდროს შემშინებია . . . არასდროს !

ნიკი: კარგი რამაა

ჯორჯი: (გადაიწევს მარტასკენ) მოგეწონა, არა?

მარტა: კი . . . საკმაოდ კარგი იყო . . . (ნაზად) მოდი . . . მაკოცე . . .

ჯორჯი: (მიანიშნებს ნიკსა და ჰანიზე) მოგვიანებით ძვირფასო

(მაგრამ მარტას გადარწმუნება იოლი არ არის. ისინი კოცნიან ერთმანეთს. შემდეგ ჯორჯი უკან იხევს)

მარტა: (ნაწყენი) ოხ, შე . . .

ჯორჯი: ყველაფერი თავის ადგილზეა მარტა . . . ყველაფერს თავის დრო აქვს. . .

მარტა: შე . . .

ჯორჯი: (მიუბრუნდება ნიკს, რომელიც ჯერ კიდევ თამაშობს) მოითმინე განვენებ, აი ასე.

ნიკი: რა ჭკვიანური გამოგონებაა

ჯორჯი: სასმელი . . . სასმელი ყველას . . . (დაუკითხავად გამოართმევს ნიკს ჭიქას . . . მივა მარტასთან)

მარტა: (ჯერ ისევ გაბრაზებულია) მე ჯერ არ დამიმთავრებია

ჰანი: ვგონებ ცოტა არ მაწყენდა (ჯორჯი გამოართმევს ჭიქას და ბართან მივა)

ნიკი: იაპონურია ?

ჯორჯი: შესაძლოა

ჰანი: (მარტას) ასე არასდროს შემშინებია . . . არასდროს! და თქვენ? არ შეგეშინდათ? სულ ერთი წუთით მაინც?

მარტა: არ მახსოვს

ჰანი: შანსი არაა

ჯორჯი: შენ რა მართლა იფიქრე რომ მოგკლავდი, მარტა ?

მარტა: შენ ? . . . მე მომკლა ? . . . სასაცილოა . . .

ჯორჯი: ერთ დღეს. . . შესაძლოა. . .

მარტა: შანსი არაა. . .

ნიკი: სად არის ტუალეტი ?

ჯორჯი: შემოსასვლელში . . . მარცხნივ. . .

ჰანი: ოღონდ ახლა შენც რაღაცეებით არ დაბრუნდე

ნიკი: (იცინის) ოჰ, არა. შეიძლება ჩემი ჭიქა აქ დავტოვო, მაგიდაზე ?

ჯორჯი: (ნიკი გადის პასუხს არ ელოდება ისე, ჯორჯი კი აგრძელებს)

დიახ . . . ღა თქმა უნდა . . . რატომაც არა? ჩვენ ნახევრად სავსე ჭიქები
თავზე საყრელად გვაქვს ამ სახლში. . . მარტას ისინი ხან სად ავიწყდება
და ხან სად. . . თეთრეულის კარადაში . . . აბაზანაში. . . ერთხელ
საყინულეშიც კი აღმოვაჩინე. . .

მარტა: არა, არ გიპოვნია!

ჯორჯი: დიახაც, რომ ვიპოვნე!

მარტა: არა, არ გიპოვნია!

ჯორჯი: დიახაც, რომ ვიპოვნე! (აწვდის ჰანის სასმელს) ბრენდი სმა
ნაბახუსევს არ იწვევს?

ჰანი: მე არასდროს არ ვურევ სასმელებს. თანაც არც ბევრს ვსვამ.

ჯორჯი: ოჰ, ეს კარგია. . . თქვენი . . . თქვენი მეუღლე მიყვებოდა
ქრომოსომებზე . . .

მარტა: რაზე ?

ჯორჯი: ქრომოსომებზე, მარტა . . . გენებზე . . . თუ რაც არის. . . (ჰანის)
საოცარი ქმარი გყავთ. . .

ჰანი: ოოოოოჰ

ჯორჯი: არა, მართლა. ის მართლაც საოცარია, მთელი ამ ქრომოსომებით
და ამბებით.

მარტა: ის მათემატიკის ფაკულტეტზეა

ჯორჯი: არა მარტა. . . ის ბიოლოგია.

მარტა: (უწევს ხმას) ის მათემატიკის ფაკულტეტზეა !

ჰანი: (მორჩილად) არა. . . ბიოლოგიის

მარტა: (ყოყმანით) დარწმუნებული ხარ?

ჰანი: წესით უნდა ვიყო.

მარტა: ხო, ალბათ ეგრეა. არ ვიცი ვინ მითხრა, რომ მათემატიკის
ფაკულტეტზეა

ჯორჯი: შენ თქვი, მარტა

მარტა: ჩემგან არ უნდა მოელოდე, რომ ყველაფერი მახსოვდეს. . . დღეში თხუთმეტ ლექტორს მაინც ვხვდები და კიდევ მათ ცოლებს. . . და ყველა ჩემგან ყველაფრის დამახსოვრებას რატომ მოითხოვს? (პაუზა) ასე რომ? ბიოლოგია არა? უკეთესი მისთვის. . . ბიოლოგია ნაკლებ აბსურდულია

ჯორჯი: აბსტრაქტული

მარტა: ვიცი რასაც ვამბობ და შენი შენიშვნები სრულებით არაა საჭირო. ბიოლოგია ჯობს. (ნიკი ბრუნდება) კარგი ბიჭი ხარ, თანაც ყველაფრის ცენტრში.

ნიკი: (იღებს სასმელს მაგიდიდან) ჰა ?

ჰანი: მათ ეგონათ, რომ მათემატიკის ფაკულტეტზე იყავი

ნიკი: შეიძლება სწორედ იქ უნდა ვყოფილიყავი

მარტა: დარჩი იქ სადაც ხარ . . . დარჩი მოვლენათა ეპიცენტრში . . .

ჯორჯი: რაღაც აიკვიატე ეგ ფრაზა, მარტა. . . არ არის მთლად მისაღები.

მარტა: (იგნორირებას უკეთებს ჯორჯს) მანდ დარჩი (იცინის) ღმერთო, შენ ისტორიის ფაკულტეტსაც იოლად ჩაიგდებდი ხელში. უდავოა, რომ ვიდაცამ ის უნდა მართოს ადრე თუ გვიან და ისიც აშკარაა, რომ ეს ჯორჯი-პორჯი არ იქნება. . . აპირებ შე ჩმორო, ჰა?

ჯორჯი: ჩემს ოცნებებში კისრამდე ცემენტში ხარ ჩასმული. . . არა ცხვირამდე უმჯობესი იქნება. . . ნაკლებ ხმაურს შექმნიდი. . .

მარტა: ჯორჯი ამბობს რომ მაგარი ხარ ? მაინც რითი ხარ გამორჩეული ?

ნიკი: არ ვიცოდი მაგარი თუ ვიყავი

ჰანი: ამას ქრომოსომების გამო ამბობენ, ძვირფასო. . .

ნიკი: ა, ჰო, ქრომოსომები

მარტა: (ნიკს) რა ქრომოსომები ?

ნიკი: ქრომოსომები არის . . .

მარტა: ვიცი რაც არის. . . მე ვგიჟდები მათზე ძვირფასო. . . მე ქრომოსომები მიყვარს. . .

ნიკი: ოჰ . . . მაშინ კარგი

ჯორჯი: მარტა გიჟდება ქრომოსომებზე. . . საუზმეზე მიირთმევს . . . (მიუბრუნდება მარტას) ძალიან იოლია, ეს ახალგაზრდა იმაზე მუშაობს, რომ შესაძლებელია ქრომოსომების შეცვლა . . . არა, ამას მარტო არ აკეთებს, ერთი-ორი ალბათ სხვაც ეხმარება ამაში. მაგრამ წარმოიდგინე - ყველაფრის შეცვლა რომ შეიძლებოდეს და ყველაფრის წინასწარ განსაზღვრა: თმის ფერის . . . ხასიათის... ჯანმრთელობის . . . ტვინის.. ყველაზე მნიშვნელოვანია ტვინის. . . ყველანაირი დისბალანსი მოისპობოდა . . . და ინკუბატორი ადამიანების მთელი რასას წარმოშობდა. . . უნაკლო....

მარტა: უჰ

ჰანი: რა შესანიშნავია

ჯორჯი: მაგრამ მერე ყველას მოუნდებოდა ერთნაირი ყოფილიყო . . . მსგავსი... და ისინი ყველანი მოინდომებდნენ ნიკისნაირები გამხდარიყვნენ...

მარტა: რითია მერე ეგ ცუდი აზრი

ნიკი: გეყოფათ . . .

ჯორჯი: თუმცა ჯერ ექსპერიმენტმა უნდა წარმატებით ჩაიაროს.

მარტა: უფ

ჯორჯი: და სულ ცოტა ხანში ჩვენ წარმატებულ ადამიანთა რასა გვეყოლება

მარტა: უფ

ჯორჯი: ეგონებ ალარ იქნება მუსიკა, მხატვრობა, მაგრამ გვექნება ერთმანეთის მსგავსი ადამიანებით შედგენილი ცივილიზაცია,

მარტა: აუ. . . .

ჯორჯი: მათემატიკოსთა და ბიოლოგთა მთელი მოდგმა, რომელის მთავარი ამოცანა ამ წარმატების გაუმჯობესება იქნება.

მარტა: კარგად უღერს

ჯორჯი: რა თქმა უნდა თავისუფლება დაიკარგება . . . განსხვავებულობა კი

აღარ იქნება მთავარი ამოცანა. . . კულტურა და ერები საბოლოოდ განადგურდება... გაქრება... და ჭიანჭველები მოედებიან მთელ სამყაროს. . .

ნიკი: მორჩი ?

ჯორჯი: (იგნორირებას უკეთებს) და მე ამის წინააღმდეგი ვარ. მე ისტორიკოსი ვარ და სწორედ ისტორიის გამო ვარ ჩაფლული ამ ჭაობში

მარტა: ჰა, ჰა, ჰა, ჰა

ჯორჯი: ...დაკარგავს თავის წარმოდგენელ შესაძლებლობებსა და მრავალფეროვნებას. სამყარო მოწესრიგებული გახდება. . . მე კი ამის წინააღმდეგი ვარ. . . არა, არ დავთმობ ბერლინს !

მარტა: დიახაც რომ დავთმობ საყვარელო !

ჰანი: და რა შუაშია ბერლინი, მე საერთოდ ვერ ვხედე.

ჯორჯი: აღმოსავლეთ ბერლინში ერთი ბარია. . . იქ სკამები ხუთი ფუტის სიმაღლისაა და იქიდან ყველაფერი ისე შორიდან. . . მაღლიდან ჩანს. . . სადღაც შორს . . . შენ ქვევით. . . არა . . . მე თქვენ შეგებრძოლებით, ყმაწვილო . . .

მარტა: (დაცინვით) ბრავო!

ნიკი: მე კი მომავლის ახალი ტალღა ვიქნები

მარტა: მართლაც რომ ასეა, პატარავ!

ჰანი: (საკმაოდ მთვრალი მიმართავს ნიკს) არ მესმის საერთოდ რად გინდა ამეების გაკეთება. ჩემთვის ამის შესახებ არასდროს გითქვამს

ნიკი: (გაბრაზებული) ოჰ, ღვთის გულისათვის

ჰანი: (შოკში) ოჰ

ნიკი: თქვენ . . . თქვენ საერთოდ ვერ ერკვევით მეცნიერებაში არა ?

ჯორჯი: სამაგიეროდ მე ისტორიას ვიცნობ და ვიცი, როდის მემუქრება საფრთხე.

მარტა: (ნიკს) ე.ი ყველა თქვენი მსგავსი იქნება ?

ნიკი: დიახ. . . მე პირადად ვიზრუნებ ამაზე. . .

მარტა: რა სასიამოვნოა

ჰანი: არა, საყვარელო. . . არა . . . შენ არ . . . არ. . .

ნიკი: მაპატიე, ჰანი

ჰანი: რა საუბარია. . . რა ტონია. . .

ნიკი: ვწუხვარ. გასაგებია ?

ჰანი: კარგი . . . (მიმართავს ჯორჯს) თქვენი შვილი ?

ჯორჯი: რა ?

ნიკი: (უდიდლამოდ) რაღაც თქვენი შვილის შესახებ

ჯორჯი: შვილი

ჰანი: როდის. . . როდის ბრუნდება . . . როდის მოდის თქვენი შვილი შინ?

ჯორჯი: ოოოოო. მარტა ? როდის ბრუნდება ჩვენი შვილი სახლში?

მარტა: რა მნიშვნელობა აქვს

ჯორჯი: არა, არა . . . მე მსურს ვიცოდე. . . და თან ეს თემა შენ წამოწიე
წინ . . . როდის მოვა სახლში ?

მარტა: ვთქვი რა მნიშვნელობა აქვს-თქო. ვწუხვარ, რომ საერთოდ ვახსენე.

ჯორჯი: ხვალ მისი დაბადების დღე არ უნდა იყოს თუ რაღაც ?

მარტა: ამაზე საუბარი არ მსურს !

ჯორჯი: მაგრამ, მარტა . . .

მარტა: ამაზე საუბარი არ მსურს !

ჯორჯი: გასაგებია. (ჰანის და ნიკს) მარტას ამაზე საუბარი არ სურს და
საერთოდაც წუხს რომ ეს თემა წინ წამოწია

ჰანი: (იდიოტურად) როდის მოდის ბიჭუნა შინ ?

ჯორჯი: ხო, მარტა . . . ყოველთვის ისეთ რამეს წევდი წინა პლანზე რაც
სრულებით არ იყო საჭირო . . . უბრალოდ ყოველთვის ასე იცოდი. . .
როდის ბრუნდება ჩვენი შვილი სახლში ?

ნიკი: ჰანი, ხომ არ გგონია . . . ?

მარტა: ჯორჯი მასზე ასე იმიტომ ლაპარაკობს, რომ მასთან პრობლემები

აქვს

ჯორჯი: ჩვენ ბიჭს პრობლემები აქვს? რა პრობლემები აქვს?

მარტა: მას არა! შენ! შენ გაქვს პრობლემები.

ჯორჯი: ამაზე უფრო სასაცილო არაფერი მომისმენია ცხოვრებაში

ჰანი: არც მე !

ნიკი: ჰანი. . .

მარტა: ჯორჯის მთავარი პრობლემა. . ჩვენ პატარა ბიჭთან. . . დიდ ბიჭთან მიმართებაში ისაა, რომ დარწმუნებული არაა, რომ ის მისი შვილია. . .

ჯორჯი: ღმერთო ჩემო, რა ბოროტი ქალი ხარ

მარტა: და ხომ იცი მე თავის მართლება არ მიყვარს. . . და ამას არავისთან არ გავაკეთებ. . .

ჯორჯი: საშინლად ბოროტი ხარ. . .

ჰანი: (შეწუხებულ ხმებს გამოსცემს)

ნიკი: დარწმუნებული ვარ, რომ ეს საკითხი . . .

ჯორჯი: მარტა იტყუება. . . მინდა რომ ეს იცოდეთ. . . მარტა იტყუება. . . (მარტა იცინის) მსოფლიოში რამოდენიმე რამაა, რაშიც აბსოლიტურად დარწმუნებული ვარ, ეროვნული საზღვრები, ოკეანის სიღრმე, პრაქტიკული მორალი, და ის რომ ჩვენი შვილის შექმნა ჩემი ქრომოსომების დამსახურებაა. . .

ჰანი: მოხარული ვარ !

მარტა: კარგი სიტყვა იყო, ჯორჯ.

ჯორჯი: მადლობ, მარტა

მარტა: კარგად გამოხვედი. . . ნამდვილად კარგად. . .

ჰანი: კარგად. . . უდავოდ კარგად. . .

ნიკი: ჰანი . . .

ჯორჯი: მარტამ იცის . . . მარტამ უკეთ იცის

მარტა: (სიამაყით) მე უკეთ ვიცი. მე კოლეჯში ვსწავლობდი სხვაბის

მსგავსად. . .

ჯორჯი: მარტა კოლეჯში სწავლობდა. . .

მარტა: და ათეისტი ვიყავი. . . ახლაც ვარ.

ჯორჯი: ათეისტი არა, მარტა. წარმართი. (ჰანის და ნიკს) მარტა ერთადერთი ჭეშმარიტი წარმართია. (მარტა იცინის)

ჰანი: ოჰ, ეს შესანიშნავია, არა საყვარელო ?

ნიკი: დიას . . . შესანიშნავია

ჯორჯი: მარტა ლურჯ წრეებს ავლებს თავისი ნივთების გარშემო

ნიკი: მართლა?

მარტა: ხანდახან. გინდა ნახო ?

ჯორჯი: ტუტ, ტუტ, ტუტ

მარტა: შენი თავი დატუქსე. . . შე ბებერო გამომტერებულო. . .

ჰანი: ის არ არის გამომტერებული. . . ის ვერ იქნება გამომტერებული . . .
შენ ხარ გამომტერებული. . .

მარტა: (თითს დაუქნევს ჰანის) ჭკუით იყავი

ჰანი: ცოტა ბრენდი კიდევ მინდა. . .

ნიკი: მგონი საკმარისად დალიე . . .

ჯორჯი: სისულელეა

ჰანი: (იმეორებს ჯორჯის ნათქვამს) სისულელეა

ნიკი: კარგი

მარტა: ჩვენ ვაქს ლურჯი თვალები არ აქვს. . . მას ჩემსავით მწვანე თვალები აქვს. . .

ჯორჯი: მას ლურჯი თვალები აქვს

მარტა: მწვანე

ჯორჯი: ლურჯი, მარტა

მარტა: (უხეშად) მწვანე (მიუბრუნდება ჰანისა და ნიკს) მას მწვანე თვალები აქვს . . . ნამდვილი . . . მუქი მწვანე . . . ჩემსავით . . .

ნიკი: თქვენ ყავისფერი თვალები არ გაქვთ ?

მარტა: მწვანე! შეუქს გააჩნია, ყავისფერს დაირტყამს, თუმცა მწვანეა. ჯორჯს კი წყლიანი ლურჯი თვალები აქვს. . .

ჯორჯი: გადაწყვიტე მარტა . . .

მარტა: მამიკოსაც მწვანე თვალები აქვს

ჯორჯი: მას არ აქვს. . . მას პატარა, წითელი თვალები აქვს. . . თეთრი თავის მსგავსად. . . თუმცა სინამდვილეში ის თავია . . .

მარტა: ამის თქმას მისი თანდასწრებით ვერ გაბედავდი! ლაჩარი ხარ!

ჯორჯი: მას თეთრი თმა აქვს და წითელი თვალები . . . თავის მსგავსად. .

მარტა: ჯორჯს ეზიზღება მამიკო . . . არა იმის გამო, რომ რამე დაუშავებია მისთვის . . . არამედ მისი. . .

ჯორჯი: (ამთავრებს მარტას მაგიერ). . . არაადექვატურობის გამო.

მარტა: მართალი ხარ . . . (ხედავს რომ ჯორჯი მიდის) საით გაგიწევია ?

ჯორჯი: სასმელი გეჭირდება, ანგელოზო

მარტა: ოჰ. (პაუზა) მაშინ წადი

ჯორჯი: (გადის) მადლობ

მარტა: ის კარგი ოფიციაანტია . . . მამაჩემი ეზიზღება. ეგ იცით?

ნიკი: (ცდილობს სიტუაცია განმუხტოს) კარგი რა მოიცა

მარტა: გგონია ვხუმრობ? მე არასდროს არ ვხუმრობ . . . მე იუმორის გრძნობა არ გამაჩნია. მე იუმორის გრძნობა არ გამაჩნია!

ჰანი: არც მე

ნიკი: დიას, გაქვს, ჰანი . . . ძალიან კარგი იუმორის გრძნობა.

ჰანი: გმადლობ

მარტა: მინდა ვიცოდე ამ უბადრუკს ასე რატომ სძულს მამაჩემი? გინდათ გითხრათ? კარგით, გეტყვით. დედა ადრე მოკვდა და მამასთან გავიზარდე (პაუზა - დაფიქრდება)

სკოლაში კი დავდიოდი, მაგრამ მეტ-ნაკლებად მაინც მასთან გავიზარდე. . .

დმერთო, მე ვგიჟდები ამ ადამიანზე! ვაღმერთებ . . . აბსოლუტურად ვაღმერთებ მას. ახლაც ასეა. . . და მასაც მოვწონვარ. . . გასაგებია? და მერე მამიკომ დააფუძნა ეს კოლეჯი. . . მთელი თავისი ცხოვრება მას მიუძღვნა. . . ეს უნივერსიტეტი მისია . . . ამასობაში მეც დავამთავრე კოლეჯი და დავბრუნდი შინ . . . აქ ვიყავი . . . ჯერ გათხოვილი არ ვიყავი . . . ხო, კარგით, მის მაფის ახალგაზრდა ქალთა აკადემიაში ყოფნისას გაზონის მკრეჭავთან ვიყავი საიდუმლოდ დაქორწინებული. მაგრამ მერე მამიკომ და მის მაფიმ ყველფერს წერტილი დაუსვეს. . . ძალიან სწრაფად. . . და მერე აქ გადმოვედი და ვუვლიდი მამას. . . ეს ძალიან სასიამოვნო იყო. და მერე იღუპა გამიჩნდა კოლეჯშივე გავთხოვილიყავი. . . თანაც მამას უნდოდა მე ჩამებარებინა აქაურობა. . . და ამ დროს გამიჩნდა ჯორჯი . . .

ჯორჯი: (შემოდის) რას აკეთებ მარტა ?

მარტა: ამბავს ვყვები დაჯექი, მოისმინე, შენც გაიგებ რამეს.

ჯორჯი: კარგი

მარტა: და ის შემოვიდა ისტორიის ფაკულტეტზე. და თქვენ არ იცით მე რა იდიოტობა დამეართა? შემიყვარდა.

ჰანი: მშვენიერია

ჯორჯი: უნდა გენახათ. ჩემი ოთახის კართან იჯდა საათობით და ყმუოდა. . . მუშაობას არ მაცდიდა. . .

მარტა: (იცინის) მართლა შემიყვარდა . . .

ჯორჯი: მარტა გულის სიღრმეში ძალიან რომანტიულია. . .

მარტა: ხო, მართლაც რომ შემიყვარდა და თან კარგი მეწყვილე ჩანდა . . . მამა ისეთ ვინმეს ეძებდა. . .

ჯორჯი: ერთი წუთი, მარტა. . .

მარტა: . . . როცა ის მზად იქნებოდა . . .

ჯორჯი: (ცივად) ერთი წუთი, მარტა. . .

მარტა: გადამდგარიყო, და მე ვიფიქრე . . .

ჯორჯი: გეყოფა, მარტა !

მარტა: რა გინდა ?

ჯორჯი: მე მეგონა ჩვენ შესახებ უნდა გელაპარაკა . . . ჩვენ პაემნებზე . . .
არ მეგონა სხვა რამეზე თუ გადახვიდოდი . . .

მარტა: ხო, გადავედი !

ჯორჯი: შენ ადგილას არ გადავიდოდი.

მარტა: მართლა? ჩემ ადგილას არ ხარ !

ჯორჯი: ისედაც ბევრი წამოაყრანტალე, რაც არ უნდა გეთქვა იმაზე.

მარტა: რაზე? ღაზე ?

ჯორჯი: ჩვენს ბიჭზე. . . და მე გაფრთხილებ თუ სხვა რამეზე გააგრძელებ
საუბარს ძალიან გაებრაზდები. . .

მარტა: (დაცინვით) მართლა ?

ჯორჯი: მე გაგაფრთხილე

მარტა: რაო?

ჯორჯი: (წყნარად) მე გაგაფრთხილე. . .

ნიკი: დარწმუნებული ხართ, რომ ეს ყველაფერი უნდა გავიაროთ. . . ?

მარტა: გაფრთხილებული ვარ ! (მიუბრუნდება ჰანისა და ნიკს) მოკლედ, ამ
ხელმოცარულზე დავქორწინდი და ყველაფერი გათვლილი მქონდა. . . ის
ჯერ ისტორიის ფაკულტეტს უხელმძღვანელებდა. . . შემდეგ კი . . . შემდეგ
როდესაც მამა გადაგებოდა მთელი უნივერსიტეტი მის დაქვემდებარებაში
გადავიდოდა. . . ბრაზდები, საყვარელო? ასე უნდა ყოფილიყო. და
მამიკოსაც მოსწონდა ეს იდეა. . . მაგრამ მერე რამოდენიმე წელში მიხვდა
რომ ეს არც თუ ისე კარგი იდეა იყო . . . ბრაზდები? დიას მიხვდა, რომ
ჯორჯუნიას არ ჰქონდა ის . . .

ჯორჯი: მორჩი, მარტა

მარტა: ჯორჯს აკლდა აგრესია! არ იყო ბრაზიანი . . . ყოველთვის ასეთი
ჩემი იყო . . .

(დაანარცხებს ბოთლს იატაკზე. სიჩუმე ჩამოვარდება. ყველა გაშეშებულია)

ჯორჯი: გითხარი მორჩი-თქო მარტა.

მარტა: იმედია ცარიელი ბოთლი იყო ჯორჯ. ლიქიორის ფუჭად გაფუჭება არ შეიძლება. თან შენ ხელფასსაც თუ გაავითვალისწინებთ, მითუმეტეს არ შეიძლება. . . ის არასდროს პიროვნება არ ყოფილა და სწორედ ეს არ მოსწონდა მამას. . . და აი მეც აქ ვარ ამ უბადრუკთან ერთად გაჭედილი . .

ჯორჯი: . . . ნუ გააგრძელებ მარტა . . .

მარტა: ისტორიის დეპარტამენტის ჭია . . .

ჯორჯი: . . .არ გინდა, მარტა, არა. . .

მარტა: ვინ არის დაქორწინებული რექტორის ქალიშვილზე, ვის უნდა იყო ვიღაც და არა არარაობა, საცოდავი წიგნისჭია. . . ვიღაც რომელსაც იმის თავიც კი არ აქვს რომ სხვებმა მისით იამაყონ . . . კარგი ჯორჯ . . .

ჯორჯი: (მარტასთან სინქრონში ლაპარაკობს) არ გინდა, მარტა, არა. . .
კარგი მარტა, კარგი (იწყებს სიმღერას)

ვის ეშინია ვირჯინია ვულფის
ვირჯინია ვულფის
ვირჯინია ვულფის
ვის ეშინია ვირჯინია ვულფის,
ამ დილაუთენია

(ჯორჯი და ჰანი ერთად მღერიან)

ვის ეშინია ვირჯინია ვულფის
ვირჯინია ვულფის
ვირჯინია ვულფის
ვის ეშინია ვირჯინია ვულფის,
ამ დილაუთენია

მარტა: შეწყვიტე !

(სიჩუმე)

ჰანი: (მიდის შემოსასვლელისაკენ) ცუდად გავხდები . . . ნამდვილად
ცუდად გავხდები . . . ახლა გული ამერევა . . . (გადის)

ნიკი: ოჰ, ღვთის გულისათვის! (გადის)

მარტა: (მიყვება მას, უეცრად შემოტრიალდება შეხედავს ჯორჯს) ღმერთო!
(გადის. ჯორჯი მარტო რჩება სცენაზე)

ფარდა

მეორე მოქმედება

ვალპურგიის ღამე

(ჯორჯი ესაუბრება თავის თავს, ნიკი ბრუნდება)

ნიკი: (სიჩუმის შემდეგ) ვფიქრობ კარგად არის. . . (პასუხი არ არის) არ უნდა დაეღია. . . (ისევ სიჩუმეა) ის სათუთია. . . (ისევ სიჩუმეა) უკ. . . ვიწროთეძიანი, როგორც თქვენ თქვით. (ჯორჯი ცალკეად გაიღიმებს) ძალიან ვწუხვარ.

ჯორჯი: სად არის ჩემი ტკბილი? სადა არის მარტა?

ნიკი: სამზარეულოშია. . . ყავას ამზადებს. ადვილად ხდება ცუდად.

ჯორჯი: მარტა? ოჰ, არა მარტა ერთხელაც არ გამხდარა ცუდად.

ნიკი: არა, არა, ჩემი ცოლი ვიგულისხმე. . . ადვილად ხდება ცუდად. თქვენი ცოლი კი მარტაა.

ჯორჯი: დიახ, ვიცი.

ნიკი: ბევრ დროს არ ატარებს თავშესაფარში.

ჯორჯი: თქვენი ცოლი?

ნიკი: არა თქვენი

ჯორჯი: ოჰ, ჩემი! რა, არა. . . მის ადგილას სიამოვნებით წავიდოდი, მაგრამ ის არა. ხომ ხედავთ აქ ხანდახან სიტუაცია, როგორ იძაბება. . . კონტროლს აღარ ექვემდებარება.

ნიკი: კი. . . დარწმუნებული ვარ. . .

ჯორჯი: ამის ნათელი მაგალითი ხომ ნახეთ.

ნიკი: ასეთ დროს ვცდილობ. . .

ჯორჯი: არ ჩაერიო, ხომ ?

ნიკი: დიახ. . . ეგრეა.

ჯორჯი: ასე ვერ მოვიქცეოდი

ნიკი: მე კი მრცხვენია. . .

ჯორჯი: (სარკასტულად) მართლა?

ნიკი: დიახ. საკმაოდ.

ჯორჯი: (მის იმიტირებას აკეთებს) დიახ. საკმაოდ. (შემდეგ ხმამაღლა) საზიზღრობაა!

ნიკი: ახლა მისმინე. . .

ჯორჯი: საზიზღრობაა! გგონია მომწონს, რომ მამასხარავებენ და მამცირებენ შენს. . . შენს თვალწინ? გგონია, ეს მანადველებს?

ნიკი: (ცივად) არა მგონია.

ჯორჯი: არა გგონია?

ნიკი: არა. . . არ მგონია!

ჯორჯი: შენი თანაგრძნობა ტირილის სურვილს მიჩენს! დიდი, მარილიანი, არამეცნიერული ცრემლები!

ნიკი: უბრალოდ ვერ ვხვდები, რატომ გსურთ სხვების ამ საქმეში ჩარევა.

ჯორჯი: მე?

ნიკი: თუ თქვენ. . . და თქვენ ცოლს გინდათ ერთმანეთს. . .

ჯორჯი: მე?

ნიკი: . . . ცხოველებივით დაერიოთ რატომ უნდა უყურონ ამას სხვებმა!

ჯორჯი: . . .მეცნიერო.

ნიკი: ხანდაზმულებს არ ვურტყამ.

ჯორჯი: ოჰო (პაუზა) მხოლოდ ახალგაზრდებს. . . და ბავშვებს. . . ქალებს. . . ჩიტებს. (ხედავს რა რომ ნიკი ამით ვერ ერთობა) მართალი ხარ. კარგი საყურებელი არაა. . . იმის ყურება ორი შუახნის წყვილი დროს ჩხუბში როგორ ფლანგავს.

ნიკი: საკმაოდ შთამბეჭდავად გამოგდით.

ჯორჯი: და თქვენც შთაბეჭდილების ქვეშ მოექცეით, არა? ისე, ადვილად გასაოცებელი ხართ. . . პრაგმატული იდეალიზმი.

ნიკი: არა, უბრალოდ ხანდახან ისეთი რამეები მიზიდავს რაც არ უნდა მხიბლავდეს.

ჯორჯი: თქვენი ცოლი ბევრს გიჟობს?

ნიკი: არა, ხომ გითხარით ადვილად ხდება ცუდად.

ჯორჯი: მე მეგონა ფიზიკურად ცუდად გახდომას გულისხმობდით.

ნიკი: მართალია. . . ხანდახან აიწყვეტს ხოლმე. თუ დაიწყებს, მისი შეჩერება შეუძლებელი ხდება. . . საათობით შეუძლია. ყოველთვის არა. . . ხანდახან. . .

ჯორჯი: სასმელი?

ნიკი: რა თქმა უნდა. იმიტომ შევირთე, რომ ფეხმძიმედ იყო.

ჯორჯი: ახლახანს არ მითხარი, რომ ბავშვი არ გყავთ. . .

ნიკი: სინამდვილეში არ იყო. . . მხოლოდ ისტერია იყო..... გაიბერა. . . და მერე როდესაც ცოლად შევირთე ისევ დაიწუტა. . .

ჯორჯი: სასმელი კარგია. . .

ნიკი: დიახ. . . კარგია. . .

ჯორჯი: როდესაც თექვსმეტი წლისა ვიყავი, სკოლაში დავდიოდი, პუნიკური ომების დრო იყო, და არდადეგების პირველ დღეს ყოველთვის ნიუ იორკში მივდიოდი. . . რამოდენიმე ბიჭი. . . და იქ ერთ-ერთის განგსტერ მამიკოს ბარი ჰქონდა. მშრალი კანონის წლები იყო, მაგრამ კონტრაბანდული სასმელის წრუპავასა და ჯაზის მოსმენას მაინც ვახერხებდით. ერთ-ერთი თხუთმეტი წლისა იყო და რამოდენიმე წლით ადრე დედა მოეკლა, სრულიად შემთხვევით, ხომ გესმით შემთხვევით, იარაღით, და ერთ საღამოს, სასმელები, როდესაც შევუკვეთეთ, მან წყალი შეუკვეთა. ყველანი დავცინოდით. . . ქერა იყო და სახე სულ გაუწითლდა. . . შემდეგ ოფიციალტმა, რომელიც ჩვენ გვემსახურებოდა ყველას გააგებინა, შეკვეთის შესახებ და უფრო მეტი და მეტი ადამიანი ახარხარდა გარშემო. და ამის შემდეგ, როდესაც ვინმე წყალს უკვეთავდა, საოცარი სიცილი ტყდებოდა ხოლმე ბარში, ყველას ეს ისტორია ახსენდებოდა. იმ დამეს უფასოდ მივირთვით სასმელები. და მეორე დღეს, მეორე დღეს

მატარებელში ყველას თავი გვისკდებოდა. . . თუმცა ეს ჩემი
ახალგაზრდობის ყველაზე ბედნიერი მოვლენა იყო. . .

ნიკი: გმადლობ. . . რა დაემართა იმ ბიჭს?

ჯორჯი: არ გეტყვით

ნიკი: კარგი.

ჯორჯი: იმ ზაფხულს, მანქანით მოდიოდა, გვერდზე მამამისი ეჯდა და ხეს
შეასკდა.

ნიკი: არა.

ჯორჯი: დიახ. თითონ გადარჩა. და როდესაც საავადმყოფოში გონებაზე
მოვიდა, უთხრეს მამამისის დაღუპვის შესახებ. სიცილი დაიწყო და მანმადე
იცინოდა, ვიდრე ნემსი არ გაუკეთეს დასაწყნარებლად. და მერე, მერე
როდესაც გამოჯანმრთელდა, საგიჟეთში მოხვდა. ეს ოცდაათი წლის წინათ
იყო.

ნიკი: ისევ იქ არის?

ჯორჯი: არ ვიცი . . . მისგან. . . აღარავის. . . არაფერი სმენია (გრძელი
პაუზა) მარტა! მარტა!

ნიკი: ხომ გითხარით ყავას ამზადებს-მეთქი

ჯორჯი: შენი ისტერიული ცოლისათვის, რომელიც იბერება და იჩუტება.

ნიკი: იბერება და იჩუტება.

ჯორჯი: იმის მერე არაფერი მოსვლია მსგავსი?

ნიკი: არა. რაფერი.

ჯორჯი: ყველაზე სამწუხარო რამ ისაა. . . კაცებზე. . . ის თუ როგორ
ბერდებიან . . . ზოგიერთი. იცით გიჟებს რა ემართებათ? რა მოსდით?

ნიკი: არა.

ჯორჯი: არ იცვლებიან. . . არ ბერდებიან. . .

ნიკი: არადა წესით უნდა ბერდებოდნენ

ჯორჯი: საბოლოოდ ალბათ ასეც ხდება. . . თუმცა დიდხანს ინარჩუნებენ

ახალგაზრდობას.

ნიკი: ანუ გაგიუბებს მირჩევთ?

ჯორჯი: არა. (პაუზა) მარტას არ აქვს ისტერიული ფეხმძიმობა

ნიკი: ჩემ მეუღლეს მხოლოდ ერთი ჰქონდა.

ჯორჯი: მარტას კი საერთოდ არ აქვს.

ნიკი: სხვა ბავშვები არ გყავთ? ქალიშვილი ან სხვა რამე?

ჯორჯი: რამე?

ნიკი: გყავთ. . . ხომ გესმით იმას ვგულისხმობ. . . მხოლოდ ვაჟი გყავთ?

ჯორჯი: დიას. . . მხოლოდ ერთი შვილი. . . ჩვენი ბიჭი

ნიკი: კარგია. . .

ჯორჯი: ისეთი მშვენიერია. . . ლობიოს ჩანთაა. . .

ნიკი: რა?

ჯორჯი: ლობიოს ჩანთა. ლობიოს ჩანთა. ამას ვერ გაიგებთ. . . ლობიოს ჩანთა. . .

ნიკი: გაგონებით გავიგონე. . . ყრუ არ ვარ. . . უბრალოდ ვერ მიეხვედი რას ნიშნავს. . .

ჯორჯი: ეგეთი რამ არ გითქვამთ

ნიკი: ვერ მიეხვედი, რა იგულისხმეთ. ღვთის გულისათვის.

ჯორჯი: ნერვებს მიშლით!

ნიკი: მაპატიეთ

ჯორჯი: მხოლოდ ის ვთქვი, რომ ჩვენი ვაჟი. . . ჩვენი სამი თვალის ჩინია. . . მარტა ციკლოპია. . . ჩვენი ვაჟი ლობიოს ჩანთაა. . . აი, შენ კიდევ გამოშტერებული.

ნიკი: მაპატიეთ. გვიანია. დავიდალე. ცხრა საათიდან ვსვამ, ჩემ ცოლს გული ერევა, და აქ გარშემო ყოველთვის ხმაურია.

ჯორჯი: ამაზე ნუ წუხარ. . . ყველა, ვინც აქ მოდის ასე ამთავრებს - შტერდება. . . არ მოიწყინო

ნიკი: არც მომიწყენია!

(შემოდის მარტა)

მარტა: თქვენ ორმა აქ თავი რამენაირად გაირთეთ. . . და ჩვენც მალე მოვალთ. რაც არიყ, იმის დალაგება მოგიწევს, ჯორჯ. (მარტა გადის. ჯორჯი სიცარიელეს ელაპარაკება)

ჯორჯი: უკვე წლებია ვცდილობ მოვაწესრიგო ის, რაც ავრიყ.

ნიკი: მართლა?

ჯორჯი: კმ?

ნიკი: უკვე წლებია რაც ცდილობ?

ჯორჯი: რაღაცეები უკვე წესრიგშია, არა?

ნიკი: ამაში ნუ გამრეყ!

ჯორჯი: არა. (პაუზა) რა თქმა უნდა არა. შენთან ყველაფერი უფრო მარტივადაა. . . შენ ქალი იმიტომ მოიყვანე, რომ გაბერილი იყო. . . მე კი... მე ძველ-მოდურად. . .

ნიკი: მხოლოდ მაგის გამო არა!

ჯორჯი: დარწმუნებული ვარ! დაგენიძლავები ფულიც ექნება! თანაც ბევრი!

ნიკი: დიას

ჯორჯი: დიას? ანუ მართალი ვარ? გავარტყი?

ნიკი: იცით რაშია სამე. . .

ჯორჯი: ღმერთო ჩემო. მშვენიერი ნასროლია.

ნიკი: გესმით. . .

ჯორჯი: სხვა რამეებიც იყო

ნიკი: დიას.

ჯორჯი: კომპენსაციისათვის.

ნიკი: დიას

ჯორჯი: ყოველთვის არის. არსებობს ფაქტორები. . . აი, თუნდაც მარტას და ჩემი ამბავი ავიღოთ. . .

ნიკი: ჩვენ ერთად გავიზარდეთ. . .

ჯორჯი: . . . შორიდან ჩანს რომ ურთიერთობა გამოფიტულია. . . მაგრამ. . .

ნიკი: ერთმანეთს, არ ვიცი რამდენი ხანია ვიცნობთ. . . ღმერთო ჩემო!
ექვსი წლის ასაკიდან. . .

ჯორჯი: . . . მაგრამ მაშინ როდესაც მე პირველად ჩამოვედი ახალ
კართიჯში. . .

ნიკი: მაპატიეთ.

ჯორჯი: ჰმ? არა, არა. . . მომიტყვევებ

ნიკი: არა. . . არაუშავს. . .

ჯორჯი: არა. . . გააგრძელეთ. . .

ნიკი: არა. . . თქვენ

ჯორჯი: დაუინებით მოვითხოვ. . . სტუმარი თქვენ ბრძანდებით.

ნიკი: ახლა უკვე უაზრობაა. . .

ჯორჯი: სისულელეა! (პაუზა) თქვენ რომ ექვსის იყავით, ის ოთხის იყო.

ნიკი: შეიძლება რვის ვიყავი, ის კი ექვსის. . . ექიმობანას ვთამაშობდით

ჯორჯი: ჯანსაღი ჰეტეროსექსუალური დასაწყისია

ნიკი: (სიცილით) დიახ. ხომ გესმით ჩვენ ოჯახებს ყოველთვის ასე
მიანხლათ და ასეც მოვიქცებით

ჯორჯი: როგორ?

ნიკი: დავქორწინდით

ჯორჯი: როდესაც რვა წლის იყავით?

ნიკი: არა, არა, ბევრად უფრო გვიან.

ჯორჯი: ხო, გამიკვირდა.

ნიკი: არავითარი ვნება არ იყო ჩვენ შორის. . . ქორწინების შემდეგაც. . .

ჯორჯი: გასაკვირი არცაა, ვერაფერ ახალს ვერ იგებდით მის შესახებ. . .
ისეთ რამეს რაც უკვე არ იცოდით. . .

ნიკი: არა . . .

ჯორჯი: ყველაფერი თითქმის მსგავსია. . . მიუხედავად იმისა თუ რას ამბობენ ჩინელ ქალებზე. . .

ნიკი: რა?

ჯორჯი: სასმელს შეგივსებთ (იღებს ნიკის ჭიქას)

ნიკი: მადლობ. ცოტა ხნის შემდეგ აღარ თვრები, არა?

ჯორჯი: არა, თვრები. . . თუმცა განსხვავებულია. . . ყველაფერი ნელდება. . . ოღონდ იმ შემთხვევაში თუ თქვენი ცოლივით ცუდად არ გახდები. . . მაგის შემდეგ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო. . .

ნიკი: აქ ყველა ძალიან ბევრს სვამს.

ჯორჯი: ამ ქვეყანაში ბევრს ვსვამთ და ეჭვი მაქვს უფრო მეტს და მეტს დავლევთ. . . თუ ამას გავუძლებთ. არაბები ან იტალიელები უნდა გავხდეთ, პირველნი არ სვამენ, მეორენი კი არ თვრებიან, მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებზე. კრეტაზე უნდა ვცხოვრობდეთ. . .

ნიკი: . . . და კრეტინები ვიყოთ.

ჯორჯი: სიმართლეა. მომიყვებით თქვენი ცოლის ფულზე.

ნიკი: რატომ?

ჯორჯი: კარგით. . . მაშინ ნუ მოყვები

ნიკი: რაში გაინტერესებთ?

ჯორჯი: ვიფიქრე საინტერესო იქნებოდა.

ნიკი: არა, ასე არ ყოფილა.

ჯორჯი: კარგი . . . მინდა თქვენი ცოლის ფულზე ვიცოდე. . . რადგან . . . რადგან მეთოდები მაინტერესებს. . . ის მეთოდები, რომლითაც თქვენ პრაგმატული ბიჭუნები ხელში იგდებთ ყველაფერს.

ნიკი: ისევ თავიდან იწყებთ.

ჯორჯი: მართლა? არა. . . მარტასაც აქვს ფული. მარტას მამა წლებია რაც ამ ადგილს ძარცვავს. . .

ნიკი: არა

ჯორჯი: არა?

ნიკი: არა

ჯორჯი: ძალიან კარგი. . . მარტას მამა ამ ადგილს არ ყველგვს და არც მარტას აქვს ფული. კარგი?

ნიკი: ჩემი ცოლის ფულზე ვსაუბრობდით და არა შენსაზე. . .

ჯორჯი: კარგი . . . დაიწყე. . .

ნიკი: არა. (პაუზა) ჩემი სიმამრი. . . ღმერთის რჩეული იყო და ძალიან მდიდარი.

ჯორჯი: რა რწმენის?

ნიკი: მას. . . ჩემ სიმამრს. . . ექვსი წლის ასაკში უფალი გამოეცხადა და ამის შემდეგ ქადაგება დაიწყო, ხალხს ნათლაავდა, კურნავდა, მოგზაურობდა და საკმაოდ ცნობილიც გახდა. . . და როდესაც გარდაიცვალა ბევრი ფული დატოვა.

ჯორჯი: ღმერთის ფული.

ნიკი: არა. . . თავისი.

ჯორჯი: და ღვთის ფულს რა ბედი ეწია?

ნიკი: მან ის დახარჯა. . . თავისი კი შეინახა. აშენებდა საავადმყოფოებს, მოწყალეების გემებს გზავნიდა, ეკლესიებს ამაგრებდა და საკმაოდ მდიდარი მოკვდა.

ჯორჯი: კარგია.

ნიკი: ხოდა, ჩემ ცოლს ცოტაოდენი ფული დარჩა.

ჯორჯი: მაგრამ უფლის ფული არა.

ნიკი: არა. თავისი.

ჯორჯი: ეს ძალიან კარგია. მარტას კი ფული იმიტომ აქვს, რომ მამამისის მეორე ცოლი. . . დედამისი კი არა, მარტას დედა რომ მოკვდა. . . მეორე ცოლი. . . ხანდაზმული ქალი იყო და დიდი მეჭეჭი ჰქონდა. . .

ნიკი: კუდიანი

ჯორჯი: კარგი კუდიანი იყო, და ამ თეთრ თაგვს გამოყვა. . . ატარა, წითელი თვალებით. . . და მალე გარდაიცვალა. . . და მეჭეჭის სამკურნალო წამლების გარდა, დიდი, ვრცელი ანდერძი დატოვა. . . ატმის ნამცხვარი, რომელიც ახალი კარტიჯის რაიონს და ბევრ ფულს შეიცავდა: ნაწილი კოლეჯისათვის, ნაწილი ქმრისათვის და ნაწილი მარტასათვის.

ნიკი: შეიძლება უკეთესი ყოფილიყო ჩემი სიმამრი და მეჭეჭიანი კუდიანი რომ შეხვედროდნენ ერთმანეთს, ისიც ხომ თაგვი იყო.

ჯორჯი: მართლა?

ნიკი: რა თქმა უნდა! ეკლესიის თაგვი იყო. თქვენ ცოლს არასდროს უხსენებია დედინაცვალი.

ჯორჯი: შეიძლება ეს სიმართლაც არაა

ნიკი: და შეიძლება არის კიდევც.

ჯორჯი: შეიძლება კი. . . შეიძლება არც. . . თქვენი ისტორია უფრო საინტერესოა. . . პატარა, გაბერილი ცოლი და მღვდელი სიმამრი. . .

ნიკი: ის მღვდელი არ იყო . . . ღვთის წარმოგზავნილი იყო . . .

ჯორჯი: დიახ.

ნიკი: და ჩემი ცოლი არ გაბერილა. . .

ჯორჯი: დიახ, დიახ.

ნიკი: ყველაფერი სწორად უნდა გაიგო

ჯორჯი: ვწუხვარ. ვეცდები.

ნიკი: კარგი.

ჯორჯი: ალბათ გესმის, რომ შენი უბადრუკი ცხოვრება არ მაინტერესებს, მაგრამ შენ პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენ ჩემთვის და ვცდილობ გავერკვე.

ნიკი: ხო. . . ხო. . . რა თქმა უნდა. . .

ჯორჯი: გაგაფრთხილე. . .

ნიკი: გაფრთხილებული ვარ. (იცინის) შენნაირი ლაჩარი ტიპები

მაშფოთებენ. თქვენ არაფრისმაქნისი ნაბიჭვრები. . . ყველაზე საშინლები ხარ. . .

ჯორჯი: დიახაც რომ ვართ. მშიშრები. ყველაზე საზიზღრები ვართ.

ნიკი: დიახ.

ჯორჯი: მიხარია, რომ არ გჯერა . . . ისტორია შენ მხარესაა. . .

ნიკი: ისტორია შენ მხარესაა. . . ჩემ მხარეს ბიოლოგიაა. . . ისტორია. ბიოლოგია.

ჯორჯი: ვიცი განსხვავება.

ნიკი: თუმცა მოქმედებით ამას ვერ გამოხატავთ.

ჯორჯი: არა? მეგონა რომ ისტორიის განყოფილებას ჩაიგდები ხელში, ვიდრე სხვა ფაკულტეტებზე გადახვიდოდი. . . ნაბიჯ-ნაბიჯ.

ნიკი: თავიდან ვერ ავიცილებთ. ზოგიერთი მოხუცის კურსს ჩავიგდებ ხელში, ახალ ჯგუფებს გავაკეთებ და შესაფერის ცოლსაც მოვიყვან.

ჯორჯი: იცოდე, რომ ქალები აქ პუნტას ქალებზე უკეთესები არ არიან.

იცით რას აკეთებენ იქ სამხრეთ ამერიკაში. . . რიოში? პუნტაში? იცით? სხედან და ბატების გუნდივით სისინებენ. . . ქუჩაში დგანან და დანახვაზე შემოგისინებენ. . . ასეთები არიან აქაური ქალებიც. . . ბატების გუნდივით მოსისინე. . .

ნიკი: დარწმუნებული ვარ მართალი ხარ.

ჯორჯი: რა თქმა უნდა.

ნიკი: და თქვენი ცოლი მთავარი ბატია, ამ გუნდში, არა?

ჯორჯი: გახლავს.

ნიკი: (ხელების ფშენეტას დაიწყებს) სიამოვნებით მივაგდებდი სადმე კუთხეში და ძალღვივით ვცემდი სისხლის დადენამდე.

ჯორჯი: კარგი იქნებოდა.

ნიკი: ხანდახან მგონია, რომ სერიოზულად ამბობთ ამას.

ჯორჯი: არა, თქვენი თითქმის სერიოზულობა უფრო მაშინებს მე.

ნიკი: მე!

ჯორჯი: დიახ. . . შენ!

ნიკი: ხუმრობ?

ჯორჯი: ნეტავი. . . ერთ კარგ რჩევას მოგცემ თუ გინდა. . .

ნიკი: რჩევას? შენ? (სიცილს იწყებს)

ჯორჯი: ვერაფერი ისწავლე. . . რასაც გაძლევენ უნდა აიღო. . . ახლა, მისმინე

ნიკი: დამანებე თავი!

ჯორჯი: კარგ რჩევას გაძლეე

ნიკი: ღმერთო ჩემო. . .

ჯორჯი: გულს მირეე. . . მაგრამ მაინც ვცდილობ რჩევა მოგცე. . .

ვცდილობ თვითგადარჩენისათვის ალგჭურვო. გესმის?

ნიკი: (ისევ იცინის) მესმის. ხმამაღლა მოგდის.

ჯორჯი: კარგი.

ნიკი: ჰეი, ჰანი.

(სიჩუმეა)

ჯორჯი: კარგი. . . კარგი . . . გგონია, რომ ყველაფერი გამოგივა?

ნიკი: კარგად ვიქნები. . .

ჯორჯი: ვცადე. . . ვცადე მომეწვდინა. . .

ნიკი: ხმა. . .

ჯორჯი: დიახ. . .

ნიკი: გესაუბრა?

ჯორჯი: დიახ. ზუსტად. ცივილიზაციის შექმნას ცდილობ. . . გინდა

საზოგადოება ჩამოაყალიბო. . . შექმნი მთავრობასა და ხელოვნებას, და

ბოლოს მიხვდები, რომ ორივე მსგავსია. . . ყველაფერს იმ წერტილამდე

მიიყვან, სადაც შეიძლება რაიმე წააგო, დაკარგო. . . და მერე ერთბაშად,

მთელ ამ მუსიკასა და მუშათა მუშაობისა და შენების ხმების ფონზე,

მოვა. რა მოვა? საყვირი. საყვირი რომელიც იყვირებს! და საერთოდაც არის ამაში რაღაც სამართლიანი, მთელი ამდენი წვალებისა და შრომის შემდეგ, ყველაფერი ფუჭი და ამო აღმოჩნდება.

ნიკი: (პაუზა. . . ტაშს დაუკრავს) ჰა, ჰა! ბრაუო! ჰა,ჰა! (აგრძელებს სიცილს) (შემოდის მარტა და თან მოყავს ჰანი, რომელიც ყველაფრის მიუხედავად ღიმილს ინარჩუნებს)

ჰანი: მადლობ, მადლობ

მარტა: აი, ჩვენც მოვედით. ცოტა თავბრუ კი გეხვევა, მაგრამ რაც მთავარია ფეხზე დგახარ.

ჯორჯი: კარგია

ნიკი: რა? ოჰ. . . ოჰ. . . გამარჯობა, ჰანი. . . უკეთ ხარ?

ჰანი: ცოტათი კი. . . ისე აჯობებდა დავმჯდარიყავი. . .

ნიკი: რა თქმა უნდა. . . მოდი. . . ჩემ გვერდით დაჯექი.

ჰანი: მადლობ, ძვირფასო.

ჯორჯი: რა ამადელეკებელია, რა ამადელეკებელი.

მარტა: არ აპირებ ბოდიშის მოხდას?

ჯორჯი: რისთვის, მარტა?

მარტა: იმისათვის, რომ ეს პატარა ქალბატონი დაათვრე?

ჯორჯი: არ დამითვრია!

მარტა: რა თქმა უნდა კი!

ჯორჯი: არა!

ჰანი: არა. . . ახლა. . . არა

მარტა: აბა, შენი აზრით იმან გახადა თავისი პატარა ცოლი ცუდად?

ჯორჯი: შენ მე მხდი ცუდად!

მარტა: ეგ სულ სხვა რამეა!

ჰანი: იცით. . . მე ხანდახან ვხდები ხოლმე ცუდად. . . ისე სრულიად უმიზეზოდ. . . ექიმები კი ამბობენ, რომ შინაგანად არაფერი მჭირს, იცით?

აი, სანამ დავექორწინდებოდით, მე აპენდიციტის შეტევა მქონდა. . . გარშემო ყველას ასე ეგონა... თუმცა ბოლოს გაირკვა, რომ არც არაფერი არ მჭირდა.

(ნიკი და ჯორჯი ერთმანეთს შეხედავენ)

მარტა: სასმელი გამიკეთე! ჯორჯი ყველას ცუდად ხდის. . . როცა ჩვენი ბიჭი პატარა იყო. . .

ჯორჯი: მარტა, არ გინდა. . .

მარტა: . . . ხშირად ხდებოდა ცუდად, ჯორჯის გამო. . .

ჯორჯი: გითხარი, არ გინდა თქო

მარტა: ჯორჯი ოთახში, როგორც კი შემოდის ცუდად ხდებოდა. . .

ჯორჯი: სინამდვილეში. . . მთავარი მიზეზი მისი ცუდად ყოფნისა შენ იყავი. . . ვერ იტანდა, რომ საძინებელში უვარდებოდი უნებართვოდ, პირიდან ყოველთვის სასმელის სუნი ამოგდიოდა და და ხელებს უფათურებდი მთელ. . .

მარტა: მართლა? ალბათ ამიტომაც გაიქცა ერთ თვეში ორჯერ სახლიდან. . . **(მიუბრუნდება სტუმრებს)** ერთ თვეში ორჯერ! ექვსჯერ ერთ წელიწადში!

ჯორჯი: **(ისიც მიუბრუნდება სტუმრებს)** იმიტომ გაიქცა, რომ მარტა ყოველთვის კუთხეში მიიმწყვდეოდა ხოლმე.

მარტა: არასდროს მიიმწყვდეოდა ეგ ნაბიჭვარი!

ჯორჯი: **(მიაწვდის მარტას სასმელს)** მოვიდოდა ხოლმე ჩემთან და შემომჩივლებდა.

მარტა: მატყუარა!

ჯორჯი: ასე იყო. . . ყოველთვის მასზე იწვედი. მიმაჩნია, რომ ეს სირცხვილია.

ნიკი: თუ სირცხვილად მიგაჩნდათ, რატომ დაიწყეთ ამაზე საუბარი ?

ჰანი: საყვარელო. . .!

მარტა: **(ნიკს)** გმადლობ, ძვირფასო

ჯორჯი: სრულებით ამ მსურს ამაზე საუბარი. . . მის გარეშე ბევრად უკეთ

ვიგრძნობდი თავს. . . არასდროს არ მსიამოვნებს ამაზე საუბარი. . .

მარტა: დიასაც, რომ მოგწონს.

ჯორჯი: როდესაც მარტონი ვართ, შეიძლება კი.

მარტა: ჩვენ ახლაც მარტო ვართ. . .

ჯორჯი: არა. . . საყვარელო. . . სტუმრები გვყავს. . .

მარტა: რა თქმა უნდა გვყავს. . .

ჰანი: მგონი ცოტაოდენი სასმელი არ მაწყენდა. . .

ნიკი: დარწმუნებული ხარ?

ჰანი: რა თქმა უნდა. . . რა თქმა უნდა ძვირფასო.

ჯორჯი: (მიდის ბარისაკენ) შეგივსებ. . . აბა რა. . .

ნიკი: ჰანი, მგონი. . .

ჰანი: ცოტათი დამამშვიდებს, საყვარელო. . . დამაწყნარებს. . .

ჯორჯი: ნახევარი ბოთლი სასმელი ვერაფერს გიშველის. . .

ჰანი: (მარტას) მიყვარს სამელი. . . მართლა მიყვარს.

მარტა: შენთვის უკეთესი.

ნიკი: კარგი, თუ ფიქრობ რომ ეს კარგი იდეაა. . .

ჰანი: მე უკეთ ვიცი, რა არის კარგი ჩემთვის. . .

ნიკი: რა თქმა უნდა იცი. . .

ჰანი: (ჯორჯი აწვდის ჭიქას) კარგია. გმადლობ. (ნიკს) რა თქმა უნდა ვიცი.

ჯორჯი: კონიაკს ვსვამდი ხოლმე

მარტა: წყალს უფრო მეტს სვამდი

ჯორჯი: (მოკლედ მოუჭრის) მოკეტე მარტა

მარტა: უუუუუუუუუფს.

ნიკი: ჰმ?

ჯორჯი: არაფერი. . . არაფერი. . .

მარტა: სანამ ჩვენ გასულები ვიყავით თქვენ ორნი რაზე საუბრობდით?

ჯორჯმა სევდიანი ისტორიებით ხომ არ შეგაწუხათ? ტირილის სურვილი

ხომ არ გაგიღვიძათ?

ნიკი: არა. . . არა. . .

ჯორჯი: არა. . . ჩვენ უფრო ვიცეკვეთ. . .

მარტა: მართლა? მომწონს!

ჰანი: ოჰ, მიყვარს ცეკვა

ნიკი: ეს არ უგულისხმია, ჰანი.

ჰანი: კიდევ კარგი. თორემ ვიფიქრე, რომ ორი ზრდასრული კაცი აქ ცეკვავედით! ღმერთო ჩემო!

მარტა: ნუთუ არ უთქვამს იმის შესახებ, თუ რას მიაღწევდა მამიკოს რომ არ შეეწყო ხელი? არა?

ნიკი: არა. . .

მარტა: არც იმაზე უთქვამს, თუ როგორ ამაოდ ცდილობდა წიგნის გმოშვებას, და მამიკომ ხელი შეუშალა.

ნიკი: წიგნი? არა!

ჯორჯი: გთხოვ, მარტა. . .

ნიკი: წიგნი? რა წიგნი?

ჯორჯი: არაფერი. . . უბრალოდ წიგნი!

მარტა: უბრალოდ წიგნი!

ჯორჯი: გთხოვ, მარტა. . .

მარტა: როგორც ვხედავ არ მოგიყოლია ეს სევდიანი ისტორია. რა გჭირს ჯორჯ? დანებდი?

ჯორჯი: არა. . . არა. . . უბრალოდ ომის ახალი გზები მოვძებნე, მარტა. შეიძლება, შეიარაღებული ტაქტიკა . . . ან შინაგანი განადგურება. . . არ ვიცი. . . რაღაც. . .

მარტა: კარგი. . . მოიფიქრე და მერე შემატყობინე

ჯორჯი: კარგი, სიყვარულო.

ჰანი: რატომ არ ვცეკვავეთ? კარგი იქნებოდა გვეცეკვა

ნიკი: ჰანი . . .

ჰანი: მინდა ცეკვა. . .

ნიკი: ჰანი. . .

ჰანი: მინდა. . . ცეკვა მინდა. . .

ჯორჯი: კარგი. . . ღვთის გულისათვის. . . იქნება ცეკვა. . .

ჰანი: (მარტას) მიყვარს ცეკვა, და თქვენ არა?

მარტა: არ არის ცუდი იდეა.

ჰანი: ქარივით ვცეკვავ.

მარტა: ჩართე მუსიკა.

ჯორჯი: კარგი, საყვარელო. და როგორ აპირებთ? წყვილებში უნდა იცეკვოთ?

მარტა: ხომ არ გგონია, რომ შენთან ცეკვას ვაპირებ?

ჯორჯი: არა . . .

ჰანი: ნებისმიერთან ვიცეკვებ. . . მარტოც ვიცეკვებ. . .

ნიკი: ჰანი . . .

ჰანი: ქარივით ვცეკვავ.

ჯორჯი: კარგით, ბავშვებო. . . გადაწყვიტეთ და დაიწყეთ. . .

(მუსიკა იწყება. . . ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონია)

ჰანი: (ცეკვავს თავისთვის) შესანიშნავია. . .

ნიკი: ჰანი . . .

მარტა: კარგი, ჯორჯ გამოერთე!

ჯორჯი: რაა, მარტა?

ნიკი: ჰანი . . .

მარტა: (ჯორჯი ხმას აუწევს) გამოერთე! გამოერთე მეთქი!

ჯორჯი: რაა?

მარტა: (მიდის ჯორჯისაკენ) კარგი, შე ნაბიჭვარო. . .

ჯორჯი: (მუსიკა გამოირთო) რა მითხარი, საყვარელო?

მარტა: შე ნაბიჭვარო. . .

ჰანი: რატომ გამორთე?

ნიკი: ჰანი . . .

ჰანი: (ნიკს) გეყოფა!

ჯორჯი: მეგონა კარგი იყო!

მარტა: მართლა?

ჰანი: ყოველთვის მერჩი, როდესაც ვერთობი. . .

ნიკი: მაპატიე. . . ჰანი. . .

ჰანი: თავი დამანებე! უბრალოდ. . . თავი დამანებე. . .

ჯორჯი: მაშინ აირჩიე, მარტა! ახლა მარტა გაუძღვება ყველაფერს! პატარა ქალბატონი იქნება ამ ბანდის მეთაური.

ჰანი: მინდა ცეკვა და მიშლი.

ნიკი: მომწონს როცა ცეკვავ.

ჰანი: თავი დამანებე! უბრალოდ. . . თავი დამანებე. . . (ჯდება და სასმელს იღებს)

ჯორჯი: მარტა ისეთ რიტმს ჩართავს მარტო თვითონ რომ ესმის. . .

(მიუჯდება ჰანის). გამარჯობა, ლამაზო.

ჰანი: ოოოოოოოჰ!

ჯორჯი: აირჩიე მარტა! საქმე გააკეთე! გინდა ჩემთან ცეკვა, ანგელოზო?

ნიკი: რა დაუძახე ჩემ ცოლს?

ჯორჯი: კარგი, გეყო!

ჰანი: არა! თუ ჩემ ცეკვას არ ვიცეკვებ, სხვასთან ცეკვა არ მინდა.

უბრალოდ აქ ვიჯდები.

მარტა: კარგი. . . წავიდა (სტაცებს ნიკს ხელს)

ნიკი: ოჰ. . . გამარჯობა. . .

მარტა: გამარჯობა. . .

ჰანი: აქ ვიჯდებით და გიყურებთ.

ჯორჯი: მართალია!

მარტა: ძლიერი ხარ?

ნიკი: აჰა.

მარტა: ეს მომწონს.

ნიკი: აჰა.

ჰანი: ისე ცეკვავენ. . . თითქოს ადრეც უცეკვიათ ერთად. . .

ჯორჯი: ნაცნობი ცეკვაა. . . ამიტომაცაა ასე. . .

მარტა: ნუ მორცხვობ. . .

ნიკი: არ ვმორცხვობ.

მარტა: მომწონს შენი მოძრაობები.

ნიკი: მე კიდევ შენი.

ჯორჯი: (ჰანის) ერთმანეთის მოძრაობები მოწონთ.

ჰანი: ძალიან კარგი.

მარტა: ჯორჯს ბევრი ამბიცია აქვს, მიუხედავად იმისა, თუ რა შეემთხვა წარსულში.

ჯორჯი: (ჩუმად) მარტა. . .

მარტა: და ჯორჯი-პორჯიმ ეს ისტორია რომანად აქცია. . . მისი პირველი და უკანასკნელი. . .

ჯორჯი: გაფრთხილებ მარტა. . .

მარტა: მაგრამ მამიკომ გადახედა რომანს. . .

ჯორჯი: იცოდე, დაგარტყამ. . .

მარტა: და შოკში ჩავარდა წაკითხულით. . .

ნიკი: მართლა?

მარტა: მართლა. . . ისტორია ცელქი ბიჭის შესახებ. . .

ჯორჯი: ამას არ ავიტან. . .

მარტა: ჰა! ჰა! ცელქი ბიჭის რომელმაც მშობლები დახოცა. . .

ჯორჯი: გეყოფა, მარტა!

მარტა: და მამიკომ უთხრა, ამის გამოცემის უფლებას არ მოგცემო.

ჯორჯი: (გამორთავს მუსიკას) ცეკვა დამთავრებულია!

ნიკი: და შენი აზრით რას აკეთებ?

მარტა: და მამიკომ უთხრა. . . ისმინე ბიჭო, ერთი წუთითაც არ გაივლო თავში, რომ ამ ნაგვის გამოქვეყნების ნებას მოგცემ? არა ამ ცხოვრებაში. . . სანამ აქ ასწავლი არ. . . გამოსცემ და იცოდე, რომ სამსახური აღარ გაქვს.

ჯორჯი: შეწყვიტე! შეწყვიტე!

მარტა: ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

ჯორჯი: დაცინვის ობიექტი არ ვიქნები!

ნიკი: არ იქნება!

ჯორჯი: არ ვიქნები !

(ჰანი, ნიკი და მარტა დასცინიან, ოღონდ ჰანიმ არ იცის ზუსტად რატომ იცინის)

თამაში დასრულებულია!

მარტა: წარმოიდგინე! ბიჭი, რომელიც მშობლებს ხოცავს და შემდეგ ამტკიცებს შემთხვევითობა იყო!

ჰანი: შემთხვევითობა!

ნიკი: მოიცადე. . .

მარტა: და იცი რა უთხრა ჯორჯმა მამიკოს?

ჯორჯი: არა! არა! არა! არა!

ნიკი: ერთი წუთი მოიცადე. . .

მარტა: ჯორჯმა უთხრა. . . ეს რომანი სრულებით არააო. . . რომანი არაა? არა, სერ. . . ეს სრულებითაც არაა რომანი. . .

ჯორჯი: ამას არ იტყვი!

მარტა: რა თქმა უნდა არა. მომშორდი, შე ნაბიჭვარო! არა, სერ. . . ეს სრულებითაც არაა რომანი. . . ეს სიმართლეა. . . ეს მართლაც მოხდა. . . ეს მე შემემთხვა. . .

ჯორჯი: მოგკლავ (კისერში სწვდება)

ნიკი: ჰეი! (ჩადგება მათ შორის)

ჰანი: ძაღადობა! ძაღადობა!

(მარტა, ჯორჯი და ნიკი ძიძგილაობენ)

მარტა: ეს მოხდა! მე შემემთხვა! მე შემემთხვა!

ჯორჯი: შე ეშმაკისეულო ძუკნა!

ნიკი: გაჩერდით! გეყოფათ!

ჰანი: ძაღადობა! ძაღადობა!

(ჯორჯი მარტას ახრჩობს. ნიკი გააშველებს, ჯორჯს იატაკზე მოისვრის, მარტას ხელს ყელზე მოიკიდებს)

ნიკი: საკმარისია

ჯორჯი: კარგი. . . კარგი. . . ახლა ყველანი წყნარად ვიყოთ. . .

მარტა: მკვლელო. . .

ნიკი: საკმარისია

ჯორჯი: თამაში მორჩა! ახლა რა ვაკეთოთ? მოდი რაიმე მოვიფიქროთ. . .

მასპინძლის დამცირება ვითამაშეთ უკვე. . . ახლა რა ვქნათ? სხვა

თამაშებიც უნდა ვიცოდეთ. . . ისეთ უნივერსიტეის ტიპებს, როგორც ჩვენ

ვართ იდეები არ უნდა გველეოდეს. . . თამაში აუცილებლად უნდა

ვითამაშოთ.

მარტა: დამხრჩვალ კაცის პორტრეტი იყოს.

ჯორჯი: არ ვიხრჩობი. მოდი სტუმრების მიღება ვითამაშოთ

მარტა: (გატრიალდება) ღმერთო ჩემო!

ჯორჯი: წიგნების ჩამგდებო! ბავშვის მხსენებელო!

ჰანი: არ მომწონს ეს თამაშები!

ნიკი: მგონი საკმარისად ვითამაშეთ. . .

ჯორჯი: არა, არა . . . ოჰ, არა. . . არ გვითამაშია. . . მხოლოდ ერთი

ვითამაშეთ. . .

ნიკი: ვფიქრობ, მგონი . . .

ჯორჯი: სიჩუმე! აბა, ახლა, როგორ აპირებთ ამის თამაშს?

მარტა: ღვთის გულისათვის, ჯორჯ. . .

ჯორჯი: შენც ჩუმად იყავი! კარგი, მარტამ წინდაუხედავად, თუმცა არც ისე დაუდევრად, რადგან მარტა გულში სრულებითაც არაა მიამიტი, გითხრათ ყველაფერი რომანის შესახებ. მართალია თუ ტყუილი? ჰა? ვგულისხმობ, მართალია თუ ტყუილი, რომ ასეთი რამ საერთოდ მოხდა. ჰა! მარტა მოგიყვათ პირველ რომანზე. . . ხსოვნის წიგნზე. . . რომელზედაც მერჩივნა საერთოდ არ ამოეღო ხმა, მაგრამ მან მაინც თქვა. . . საქმე იმაშია, რომ მარტას მეორე რომანზე არაფერი უთქვამს

(მარტა დაბნეული შეხედავს)

ალეგორიულია. . . წევეილს, რომელიც ჩამოდის, ერთი ქერაა და ოცდაათიწლის, მეცნიერი, მასწავლებელი, მეცნიერი, მისი ცოლი კი მოთავგო ტიპის ელემენტია, რომელიც გამუდმებით ვისკის წრუპავს და. . .

ნიკი: ერთი წუთით. . .

ჯორჯი: და ისინი ერთმანეთს იმ დროიდ ან იცნობენ, როდესაც სულ პატარები იყვნენ და ხან მაგიდის ქვეშ ძვრებოდნენ და ხანაც ერთმანეთს მუჯღუგუნებს ურტყამდნენ. . .

ნიკი: ერთი წუთით. . .

ჯორჯი: ეს ჩემი თამაშია! შენ შენი ითამაშე! ეს ჩემი თამაშია!

ჰანი: მინდა მოსმენა. ვგიჟდები ისტორიებზე.

მარტა: ღვთის გულისათვის, ჯორჯ. . .

ჯორჯი: და თავუნას მამა წმინდა კაცი იყო, აქეთ-იქით დარბოდა . . . და მათ კურნავდა. . .

ჰანი: რაღაც ნაცნობი ისტორიაა. . .

ჯორჯი: და საბოლოოდ მოკვდა. . . და ფული დატოვა. . . იესოს ფული . . . მერის ფული. . . სხვისი ფული. . . ბევრი ფული . . .

ჰანი: ეს ისტორია ადრეც მომისმენია. . .

ნიკი: ჰანი . . .

მარტა: ძალიან სასაცილოა, ჯორჯ. . .

ჯორჯი: მადლობ. და ჩამოსახლდნენ ისინი ახალ კარტიჯში. . . ქ. . .

ნიკი: არა მგონია გაგრძელება ღირდეს!

ჯორჯი: არა გგონია!

ნიკი: არა. . . არ მგონია ღირდეს.

ჰანი: მიყვარს ნაცნობი ისტორიები. . . ყველას ჯობია. . .

ჯორჯი: მართალი ხარ. . . შენიღბული იყო, შემოიჭრა როგორც

მასწავლებელი, და ყველამ ასე მიიღო, თუმცა მის სამგზავრო ტალონს ზედ
უფრო მნიშვნელოვანი რამე ეწრა. . . მისი მთავარი ამოცანა ისტორიული
გარდაუვალობა იყო. . .

ნიკი: არ არის საჭირო უფრო ღრმად შეტოპვა. . .

ჯორჯი: და თან ბარგი ჰქონდა, და ბარგის ერთ ნაწილს თაგვის ფორმა
ჰქონდა. . .

ნიკი: არაა აუცილებელი ამის მოსმენა

ჰანი: რატომაც არა!

ჯორჯი: და ერთდერთი რაც არავის ესმოდა თაგვი იყო. იმას ვგულისხმობ,
რომ აი იმასაც კანზასის ჩემპიონი რომ გახდა ცურვაში, თუ რაღაც, მასაც
გვერდზე თაგვი ჰყავს. . .

ნიკი: ეს უსამართლობაა. . .

ჯორჯი: შეიძლება არც არის. ხოდა ეს თაგვი, გამუდმებით ბრენდის
წრუპავდა და ნახევარი დროის ნაწილს ყირამაღა მდგომარეობაში
ატარებდა. . . თუმცა ბევრი ფული ჰქონდა. . . კბილებიდანაც კი
გადმოსდიოდა. . . ფულის ტომარა იყო. . .

ჰანი: არ მომწონს ეს ისტორია

ნიკი: არ გინდა. . . არ. . .

მარტა: ეგებ იკმარო ჯორჯ. . .

ჯორჯი: და როგორ დაქორწინდნენ. . .

ნიკი: არა

ჯორჯი: დიას!

ნიკი: რატომ?

ჯორჯი: როგორ დაქორწინდნენ. ერთ დღესაც თაგუნა გაიბერა და მივიდა ქერა ბიჭუნასთან, გაბერილი მუცელი აჩვენა და უთხრა. . . შემომხედეთ.

ჰანი: არ მომწონს ეს ისტორია

ნიკი: გაჩერდი!

ჯორჯი: . . . შემომხედეთ გაბერილი ვარო. . . ღმერთო ჩემო, უთხრა ქერა ბიჭუნამ. . .

ჰანი: . . .და ისინი დაქორწინდნენ. . .

ჯორჯი: . . .და ისინი დაქორწინდნენ. . .

ჰანი: . . . და მერე. . .

ჯორჯი: . . . და მერე. . .

ჰანი: რა? . . . რა, მერე?

ნიკი: არა! არა!

ჯორჯი: და მერე ჩაიხუტა!

ნიკი: ღმერთო ჩემო. . . ჰანი, ჰანი, მე არ მინდოდა. . .

ჰანი: მათ მოუყევი? ოოოო. . . მათ მოუყევი? ეს როგორ გააკეთე. . . ოოოო. . . მათ მოუყევი?

ნიკი: ჰანი, ჰანი, მე არ მინდოდა. . .

ჰანი: ოოოო. . . რაააა. . .

ნიკი: ჰანი, ჰანი, მე არ მინდოდა. . . მაპატიე. . .

ჯორჯი: აი, სწორედ ასე ვთამაშობთ სტუმრების მიღებას.

ჰანი: ახლა . . . ახლა ცუდად გავხდები. . .

ჯორჯი: ბუნებრივია!

ნიკი: ჰანი . . .

ჰანი: თავი დამანებე. . . ახლა . . . ახლა ცუდად გაგხდები. . .

(გარბის ოთახიდან)

მარტა: ღმერთო, ძლიერო. . .

ჯორჯი: ისტორიის თვალსაჩინო ნიმუში.

ნიკი: ასე არ უნდა მოქცეულიყავი. . . ეს არ უნდა გექნა. . .

ჯორჯი: (წყნარად) ვერ ვიტან თვალთმაქცობას. . .

ნიკი: ეს სისასტიკე იყო. . . და უზნეო. . .

ჯორჯი: გადაიტანს. . .

ნიკი: . . .დამანგრეველი. . .

ჯორჯი: . . .გამოკეთდება. . .

ნიკი: დამანგრეველი! ჩემთვის!

ჯორჯი: (გაოცებული) შენთვის!

ნიკი: ჩემთვის!

ჯორჯი: შენთვის!

ნიკი: დიას!

ჯორჯი: მშვენიერია. . . ახლა მოგიწევს ალიანსების შეცვლა, ბიჭო. . .

უნდა მიმოიხედო და შენთვის საუკეთესო ვარიანტი მოძებნო. . .

მარტა: (ნიკს) წადი, მიხედე შენ ცოლს

ჯორჯი: კი აბა რა. . . მიდი დარჩენილი ნაწილები მოაგროვე. . . და ახლი

სტრატეგია შეიმუშავე. . .

ნიკი: ამას ინანებ

ჯორჯი: ალბათ. ყველაფერს გნანობ ხოლმე.

ნიკი: ვიგულისხმე, ამას განანებ-თქო.

ჯორჯი: უდაგოა. განმგმირავი გაურკვეველობა?

ნიკი: შენი წესებით ვითამაშებ. . . ის ვიქნები, რადაც მიგაჩნია. . .

ჯორჯი: უკვე ხარ. . . უბრალოდ ჯერ არ იცი. . .

ნიკი: არა. . . არა. . . უბრალოდ გავხდები. . . და ისეთ რამეს გაჩვენებ, რომ ინატრებ ნეტავ არ წამომეწყო ეს ყოველივეო. . .

ჯორჯი: მიდი, არეულობა მოაგვარე. . .

ნიკი: ცოტაც მოითმინე. . .

(გადის. პაუზა. ჯორჯი მარტას უღიმის)

მარტა: ყოჩაღ, ჯორჯ

ჯორჯი: გმადლობ, მარტა

მარტა: მართლა კარგი იყო.

ჯორჯი: მიხარია, რომ მოგეწონა

მარტა: კარგი რამ გააკეთე. . . გამოასწორე ყველაფერი.

ჯორჯი: აჰა

მარტა: მთელი ცხოვრება წინ გადაშალე. . .

ჯორჯი: ჩემ საუკეთესო თვისებებს ყოველთვის წინ წამოსწევ ხოლმე, საყვარელო

მარტა: დიახ. . . ქონდრისკაცო

ჯორჯი: ქონდრისკაცო!

მარტა: ნაბიჭვარი ხარ

ჯორჯი: მე? მე?

მარტა: დიახ. . . შენ. . .

ჯორჯი: თუ ქვოთერბეკი ქონდრისკაცად გეჩვენება, აშკარად სტილი შეგიცვლია. ახლა რა გოლიათები გიზიდავს?

მარტა: გულს მირევ

ჯორჯი: შენ სტილშია. . . თავად შეგიძლია გზად ყველაფერი გაანადგურო და ყოველივეს გადაუარო, მაგრამ თუ ვინმე სხვა იზამ ამას. . . ნურას უკაცრადად. . .

მარტა: საცოდავო. . .

ჯორჯი: რატომ, საყვარელო? ეს ყველაფერი ხომ შენთვის გაგაკეთე.

მეგონა, მოგეწონებოდა. . . შენ სტილშია, სისხლი, ჟღერა და სხვა. მეგონა მოგეწონებოდა. . .

მარტა: ჯობდა მოგეკებოდა, ჯორჯ

ჯორჯი: დეთის გულისათვის მარტა

მარტა: მართლა ჯობდა მოგეკებოდა

ჯორჯი: უფლება გაქვს იჯდე მაგ შენ სავარძელში, წრუპო შენი სასმელი და მე მამცირო მთელი დამის განმავლობაში და ეს იდეალურია შენთვის. .

მარტა: ამას აიტან!

ჯორჯი: ამის ატანა შეუძლებელია!

მარტა: ამას იტან! განა ამის გამო არ შემიერთე!

ჯორჯი: ეს ტყუილია!

მარტა: ჯერაც ვერ მიმხვდარხარ?

ჯორჯი: ოჰ, მარტა. . .

მარტა: შენი თქვეფისაგან ხელები მაქვს დაღლილი.

ჯორჯი: გიჟი ხარ.

მარტა: ოცდასამი წელი.

ჯორჯი: შეცდომაში შეუყვანიხართ, მარტა, მოტყუებული ხარ.

მარტა: ეს ის არ არის რაც მსურდა!

ჯორჯი: მეგონა შენ ჭკუაზე იყავი. . . არ ვიცოდი. . . არ ვიცოდი

მარტა: ჩემ ჭკუაზე ვარ. . .

ჯორჯი: არა. . . არა. . . შენ ავად ხარ. . .

მარტა: მე შენ გაჩვენებ ვინ არის ავად!

ჯორჯი: კარგი, მარტა! ძალიან ღრმადაც ნუ შეტოპავ.

მარტა: მე შენ გაჩვენებ ვინ არის ავად! მე შენ გაჩვენებ!

ჯორჯი: გეყოფა! გეყოფა!

მარტა: მე შენ გაჩვენებ ვინ არის ავად! გაგანადგურებ! სანამ მოვრჩები. . .

ჯორჯი: . . . შენ და კვოტერბეკი. . . ორივე გამანარგურებო. . . ?

მარტა: . . .სანამ მოვრჩები, ინატრებ მანქანაში მოვმკვდარიყავო, შე
ნაბიჭვარო.

ჯორჯი: შენ კიდევ ინატრებ, ჩვენი შვილი საერთოდ არ გეხსენებინა!

მარტა: შენ. . .

ჯორჯი: მე შენ გაგაფრთხილე

მარტა: შთამბეჭდავია.

ჯორჯი: გაგაფრთხილე ღრმად არ შეგეტოპა.

მარტა: ახლავ ვიწყებ. . .

ჯორჯი: საკმარისად დავმუნჯდი. . . ლიქიორით არა, თუმცა შეიძლება
ამანაც შეუწყო ხელი ამ პროცესს- ჩემი ტვინის უჯრედებს სძინავთ- და
როდესაც მარტონი ვართ ადვილად დამამარცხებ. არ გისმენ. . . ან როცა
გისმენ ყველაფერს ვივიწყებ და ვტოვებ. . . არ მესმის შენი, და ამას
ვახერხებ. . .

მარტა: დარტყმული!

ჯორჯი: შეგიძლია ასე გააგრძელო და როდესაც მორჩები. . .

მარტა: ოდესმე მოგისმენია, როგორ ლაპარაკობ? ისეთი გამყინავი. . . ისეთი
დათხვეული ხარ. . . სწორედ ასეთი ხარ. ისე საუბრობ თითქოს მშრალ
მონოგრაფიას წერდე.

ჯორჯი: ვწუხვარ, შენზე და შენ ტვინზე.

მარტა: მაგაზე ნუ დარდობ, საყვარელო!

ჯორჯი: უნდა გზა მოვძებნო თუ როგორ ჩაგიგდო ბოლომდე ხელში. . .

მარტა: ისედაც გყავარ, ჯორჯ. . . ოცდასამი წელი საკმარისია. . .

არაფრის გაკეთება არაა საჭირო. . .

ჯორჯი: წყნარად იქნები?

მარტა: ვცადე. . . მართლა ვცადე.

ჯორჯი: ურჩხული ხარ, მარტა. . . ურჩხული

მარტა: ხმამაღალი ვარ, ვუღვარულიც და ამ სახელში კაცობაც მიწევს,

რადგან არავინაა კაცობა გასწიოს, მაგრამ ურჩხული ნამდვილად არ ვარ.
არ ვარ.

ჯორჯი: გაფუჭებული, თვითშემწყნარებელი, კერპი, ბინძური აზრების მქონე
და ლიქიორით გაჭღენთილი. . .

მარტა: აღარ ვცდი. . . მორჩა. . . იყო წამი, როდესაც მსურდა ყველაფრის
გამოსწორება. . . მაგრამ მორჩა. . . წარსულში დარჩა. . . მეტს აღარ ვცდი.

ჯორჯი: არ მჯერა. შენი ერთი სიტყვისაც არ მჯერა. არავითარი წამი არ
არსებობს. შეუძლებელია ერთმანეთს კიდევ ოდესმე გავუგოთ.

მარტა: ყველაზე დიდ აფეთქებას მოვაწყო და ფრთილად იყავი.

ჯორჯი: ამას ცდი, თუმცა საკუთარ თამაშშივე დამარცხდები

მარტა: მემუქრები, ჯორჯ?

ჯორჯი: გემუქრები, მარტა.

მარტა: ვერაფერს მიიღებ, საყვარელო.

ჯორჯი: ფრთხილად მარტა. ნაკუწებად გაქცევ.

მარტა: მაგის კაცობა არ გაქვს. სად გაქვს მაგის ტრაკი.

ჯორჯი: აბსოლუტური ომი?

მარტა: აბსოლუტური

(სიჩუმე. ნიკი ბრუნდება)

ნიკი: ცოტათი უკეთაა

ჯორჯი: ოჰ?

მარტა: კარგადაა?

ნიკი: მგონი. . . ძალიან ვწუხვარ. . .

მარტა: დაივიწყე.

ჯორჯი: აქ ყოველთვის ასე ხდება.

ნიკი: კარგად იქნება

მარტა: დაწვა? მაღლა? ლოგინზე?

ნიკი: (თან სასმელს იკეთებს) არა. . . აბაზანაშია. . . იქ წევს. . .

ჯორჯი: არ, არის ეგ სასიამოვნო
ნიკი: მოსწონს. . . ამბობს გრილიაო. . .
ჯორჯი: მაინც, არ მგონია. . .
მარტა: თუ ასე სურს ასე იყოს.
ნიკი: კაფელზე დაწვა. . . უყვარს საერთოდ ძირს წოლა. . . ხშირად წევს
ხოლმე. . .
მარტა: ოჰ
ნიკი: ხოდა მერე თავისტკივილები ეწყება და ათასი უბედურება. ყინული
სადაა?
ჯორჯი: რა?
ნიკი: ყინული სადაა
ჯორჯი: ყინული?
ნიკი: დიახ. ყინული.
მარტა: ყინული
ჯორჯი: ააააა, ყინული
მარტა: ყოჩაღი, ბიჭი!
ჯორჯი: წავალ მოვიტან.
მარტა: წადი. ამას გარდა მარტო გვინდა დავრჩეთ
ჯორჯი: არ გამიკვირდება, მარტა. . . საერთოდ არ გამიკვირდება. . .
მარტა: არა?
ჯორჯი: არა, მარტა.
მარტა: არა?
ჯორჯი: არა. ყველაფერს მოსინჯავ, მარტა. (ყინულის ჩასაწყოებს იღებს)
ნიკი: ძალიან სუსტია. . . და
ჯორჯი: ვიწროთეძოიანი. . .
ნიკი: დიახ. . . ზუსტად. . .
ჯორჯი: სწორედ ამიტომ არ გყავთ ბავშვები?

(გადის)

ნიკი: არ ვიცი. . . ამას რაიმე კავშირი თუ აქვს საერთოდ რამესთან. . .

მარტა: და რომც ჰქონდეს?

ნიკი: უკაცრავად? (საჭაერო კოცნას უგზავნის) მე? რა? მომიტევეთ.

მარტა: მე ვთქვი. . . (ისევ საჭაერო კოცნას უგზავნის)

ნიკი: ო, დიას. . .

მარტა: ჰეი, მომაწოდე. . . სიგარეტი . . . (ნიკი ჯიბეებს მოიჩხრიკავს) კარგი ბიჭი ხარ. . . მაღლობ. (ნიკი მივა და მოუკიდებს. ამ დროს მარტა ხელს ფეხებს შორის შეუცურებს. იკი გაურკვეველი სახით დგას თუმცა არ ინძრევს.) ასეთი კარგი ბიჭი რომ ხარ უნდა მაკოცო კიდევ. მიდი.

ნიკი: არა მგონია, ჩვენ უნდა. . .

მარტა: მიდი რა. . . მეგობრული კოცნა. . .

ნიკი: კარგი. . .

მარტა: ამით არაფერი დაშავდება. . .

ნიკი: არც იმდენად. . .

მარტა: დავნიძლავდეთ. მიდი. . .

ნიკი: და რომ შემოვიდეს?

მარტა: ჯორჯი? მასზე ნუ წუხარ. და თან ვინ იქნება ერთი წყნარი, მეგობრული კოცნის წინააღმდეგი? ჩვენ აქ ყველანი ოჯახის წევრებივით ვართ. მამიკო ყოველთვის ამას ამბობს. ხოდა მოდი ერთმანეთი ცოტა უკეთ გავიცნოთ.

ნიკი: ეს აზრი საერთოდ არ მხიბლავს. . .

მარტა: მეცნიერი ხომ ხარ. . . ხოდა მოდი მოხუც მარტაზე ჩაატარე ექსპერიმენტი.

ნიკი: არც თუ ისე მოხუცი. . .

მარტა: და მერე შენ ცოლთან წახვალ. . . უფრო მეტი ხალისით. . .

ნიკი: ვერაფერს ვერ უნდა მიხვდეს. . .

მარტა: ნუ გეშინია, ვერავინ ვერაფერს მიხვედბა.

(მარტა საგარბელში ზის ისევ ნიკი იქვეა. ჯორჯი შემოდის. ჩერდება. ერთი წუთი უყურებს. გაიღიმებს, გატრიალდება, გავა, ვერავინ ამჩნევს. ნიკი მარტას კაბის ქვეშ შეუყოფს ხელებს. სცენის უკნიდან ისმის ჯორჯის სიმღერა. მარტა და ნიკი სასწრაფოდ გაერიდებიან ერთმანეთს, ჯორჯი შემოდის)

ჯორჯი: აჰა. . . ი, მეც მოვედი.

ნიკი: ჰეი. ყინული.

ჯორჯი: მართალია. გამარჯობა, მარტა. . . ჩემო მტრედო. . .

განსხივოსნებულებით ხარ. . .

მარტა: გმადლობ.

ჯორჯი: (გახარებული) მოდი, ვნახოთ, აი ყინული მოვიტანე. . .

მარტა: რა გიხარია?

ჯორჯი: ყინული მაქვს. . . ვინმეს სასმელი ხომ არ გავუკეთო? მარტა, სასმელი ხომ არ გინდა?

მარტა: ხო, რატომაც არა.

ჯორჯი: მართლაც, რომ. რატომაც არა. მარტა, შენ მგონი ჭიქას ნაწილი მოაკვნიტე.

მარტა: არა

ჯორჯი: (მიუბრუნდება ნიკს, რომელიც ბართანაა) როგორც ვხედავ შენთვის იკეთებ. მე მარტას მივხედავ და ყველაფერი მზად იქნება.

მარტა: მზად რისთვის?

ჯორჯი: განა წვეულება არ გვაქვს? თქვენ ცოლს ჩავუარე გვერდზე. . . ეძინა, ისე მშვიდად, ცერა თითი ედო პირში და წოვდა.

მარტა: იმედია კარგადაა.

ჯორჯი: რა თქმა უნდა (მიაწვდის მარტას სასმელს) ახლა ჩემი ჯერია

მარტა: შენი ჯერი არასდროს არ არის

ჯორჯი: ასე არ ვიტყვოდი. . .

(სკამს გააჩოჩებს და კარის წინ დადგამს)

მარტა: რას აპირებ?

ჯორჯი: წიგნის წაკითხვას. კითხვას. კითხვას. კითხვას.

მარტა: რას ნიშნავს კითხვას? რა გჭირს?

ჯორჯი: არც არაფერი. . . წიგნის წაკითხვას ვაპირებ.

მარტა: სტუმრები გყავს. . .

ჯორჯი: ვიცი. . . მაგრამ ოთხ საათს გადასცდა და ამ დროს ყოველთვის ვკითხულობ. შენ საქმეს მიხედვ. . . მე წყნარად ვიკითხავ.

მარტა: სადამოს ოთხზე კითხულობ ხოლმე, ახლა კი დილის ოთხი საათია. დილის ოთხ საათზე არასდროს კითხულობ. . . არავინ კითხულობს წიგნს დილის ოთხ საათზე. . .

ჯორჯი: ახლა, ახლა, ახლა.

მარტა: წიგნის კითხვას აპირებს. . . ეს ნაბიჭვარი

(ნიკი მივა მარტასთან, წელზე მოხვევს ხელს)

მარტა: მარტონიც მშვენივრად გავერთობით

ნიკი: მეც ასე მგონია

მარტა: უნდა გავერთოთ, ჯორჯ.

ჯორჯი: ძალიანაც კარგი.

მარტა: შეიძლება ეს არ მოგეწონოს.

ჯორჯი: არა, არა. . . მიდი სტუმრები გაართე. . .

მარტა: მეც უნდა გავერთო. . .

ჯორჯი: ძალიანაც კარგი. . .

(მარტა მივა და ჯორჯის გარშემო ტრიალს იწყებს)

ჯორჯი: იცი კითხვა მირჩევნია, თუ არ შეწუხდები. . .

მარტა: დიახაც შევწუხდები. მომაქციე ყურადღება, თორემ ღმერთს

ვფიცავარ, ამ ბიჭს ჯერ სამზარეულოში გავეყვები, მერე ზევით ავიყვან და .

ჯორჯი: მერე რა, მარტა?

მარტა: ხომ ეს გინდოდა, ხოდა მიიღებ კიდევ. . .

ჯორჯი: მარტა, ასე თუ გინდა ეს ბიჭი შენი იყოს

მარტა: განანებ ცოლად რომ გამოგყევი. განანებ იმ დღეს აქ რომ მოადგი
ფეხი.

(გადის, ჯორჯი წიგნს დახურავს და დგება, წიგნს ისვრის. პატარა პაუზის
შემდეგ ჰანი შემოდის.)

ჰანი: ზარები. რეკვა. ზარების რეკვა მესმოდა.

ჯორჯი: ღმერთო ჩემო!

ჰანი: ვერ დავიძინე. . . ზარების რეკვამ არ დამაძინა! რომელი საათია?

ჯორჯი: ნუ მაწუხებ!

ჰანი: მეძინა და უეცრად ზარებმა ჩამოჰკრეს! ბუმ! ბუმ! ბუმ!

ჯორჯი: ბუმ!

ჰანი: მეძინა და რაღაც მესიზმრებოდა. . . ხმები ჩამესმოდა და არ ვიცოდი
რა ხდებოდა.

ჯორჯი: სხეულების ხმები იყო. . .

ჰანი: და არ მინდოდა გაღვიძება, მაგრამ ხმა უფრო და უფრო
მიახლოვდებოდა. . .

ჯორჯი: წადი დაიძინე!

ჰანი: . . და შემაშინა. . .

ჯორჯი: წავალ რამენაირად მარტას მოვიყვან. . .

ჰანი: ციოდა. . . და ქარი. . . ქარი უბერავდა. . . და სადღაც ვიწექი და არ
მინოდა, რომ მათ. . .

ჯორჯი: როგორმე, მარტა

ჰანი: . . . და იქ ვიღაც იყო. . . !

ჯორჯი: არავინაც არ ყოფილა!

ჰანი: მე იქ არავინ მსურდა. მე. . . შიშველი ვიყავი. . .

ჯორჯი: არ იცი რა ხდება, არა?

ჰანი: არ მინდა . . . არავითარი. . .

ჯორჯი: არ იცი, აქ რა ხდება, სანამ შენ გძინავს. .

ჰანი: არა. . . მინდა რომ წავიდნენ. . . არ მინდა ბავშვები. . . არ მინდა. . .

ტკივილი არ მინდა. . . გთხოვთ. . .

ჯორჯი: უნდა მცოდნოდა.

ჰანი: რა? რა?

ჯორჯი: ყველაფერი. . . თავის ტკივილები. . . თავბრუს ხვევა. . .

ჰანი: რაზე ლაპარაკობ?

ჯორჯი: იმ იდიოტმა, ვისზეც გათხოვილი ხარ იცის ეს?

ჰანი: არ მომეკარო! შორს წადი! თავი დამანებე. . . ვინ დარეკა?

ჯორჯი: რა?

ჰანი: ვინ დარეკა ზარი?

ჯორჯი: შენ ხომ არ გინდა იცოდე? შენ ხომ მოსმენა არ გინდა?

ჰანი: მოსმენა არ მინდა. მინდა ვიცოდე ვინ დარეკა ზარები?

ჯორჯი: შენი ქმარი ერთობა. . . და შენ ის გაინტერესებს ზარები ვინ დარეკა?

ჰანი: ვინ დარეკა? აშკარაა ვინმეს უნდა დაერეკა!

ჯორჯი: ვინმე!

ჰანი: დარეკა. . .

ჯორჯი: დიახ, ვილაცამ დარეკა. . . დიახ. . . იახ. . .

ჰანი: ზარმა დარეკა. . .

ჯორჯი: დიახ, ზარმა დარეკა და ვილაც იყო. . .

ჰანი: ვილაც. . .

ჯორჯი: ვილაცა იყო და მივიღე. . . მივიღე . . . მარტა. . . დეპეშა მივიღე. . .

დეპეშა ჩვენ ვაუხე. . . ჩვენ შვილზე. . . დეპეშა იყო. . . ზარი დაირეკა და

დეპეშა მოვიდა. . . დეპეშა ჩვენ ვაუხე. . . ჩვენ შვილზე. . . დეპეშა იყო. . .

რომ ჩვენი შვილი. . . მკვდარია.

ჰანი: ოჰ. . . არა. . .

ჯორჯი: ჩვენი შვილი მკვდარია. . . და მარტამ არ იცის. . . არ მითქვამს მარტასთვის. .

ჰანი: არა. . . არა. . . არა. . .

ჯორჯი: ჩვენი შვილი მკვდარია. . . და მარტამ არ იცის. . .

ჰანი: არა. . . არა. . . არა. . .

ჯორჯი: და შენ მას არ ეტყვი.

ჰანი: (ტირის) თქვენი ვაჟი მკვდარია.

ჯორჯი: მე თვითონ ვეტყვი. . . შესაფერის დროს.

ჰანი: ახლა ცუდად გავხდები.

ჯორჯი: მართლა? ეს კარგია. (ისმის მარტას სიცილი) ამას მოუსმინ

ჰანი: მოკვდები.

ჯორჯი: კარგია. . . ძალიან კარგია. . . (ძალიან ხმადაბლა, ისე რომ მარტამ ვერ გაიგონოს) მარტა? მარტა? ცუდი ამბავი მაქვს შენთვის (იღიმის) ეს ჩვენ შვილს ეხება. ის მკვდარია. გესმის ჩემი მარტა? ჩვენი ბიჭი მკვდარია. (იწყებს ხმადაბლა სიცილს)

ფარდა

ეზორციზმი

(მარტა შემოდის, საკუთარ თავს ელაპარაკება)

მარტა: ეჰეი . . . სად დაიკარგა ყველა? (თუმცა აშკარაა რომ ამით სრულებით არაა შეწუხებული) ასე რომგორ დამაგდე; მომწვიტე როგორც . . . ფუი ამის. . . რა ჰქვია. . . ვაზივით მომწვიტე და მერე ზურგზე ძველი ფეხსაცმლის მსგავსად მომიგდე. . . ჯორჯ? (მიმოიხედავს) ჯორჯ? (სიჩუმეა) ჯორჯ! რას აკეთებ, მემალეები თუ რაა? (სიჩუმეა) ჯორჯ! (სიჩუმე) ოჰ. . . (მიდის ბარისაკენ სასმელის გასაკეთებლად და თან ლაპარაკობს) მიტოვებული! სიცივეში მიგდებული მოხუცი კატის მსგავსად! ჰა ! სასმელი ხო მარ მოგართვა, მარტა? გმადლობ ჯორჯ; ძალიან კეთილი ხარ. არა, მარტა, არა; რატომ მე ყველაფერს გავაკეთებ შენ გამო. მართლა, მარტა? რა თქმა უნდა ჯორჯი. ვერ გაფასებდი, მარტა. ვერც მე ჯორჯ. სად დაიკარგა ყველა! მოდით გააერთეთ თქვენი მასპინძელი ! (გადაიხარხარებს, ჩაჯდება სკამში, დაწყნარდება, დამარცხებული სახე აქვს და წყნარად და მშვიდად იწყებს ბავშურ ლაპარაკს) მამიკო? მამიკო? მარტა მიატოვე. . . მარტო დატოვეს. მამიკო შენ მართლა წითელი თვალები გაქვს? მოდი ვნახავ. ოჰ, არა მამიკოს წითელი თვალები აქვს რადგან ის განუწყვეტლად ტირის. . . და ტირის. . . და ტირის. . . სულ ტირის. . . თქვენ ნაბიჭვრებო მაინც გამოგაძვრენთ იმ ხვრელებიდან სადაც იმალებით!! (პაუზა) მეც სულ ვიტირებ, მამიკო. ვიტირებ; მაგრამ შიგნით, ღრმად შიგნით ისე რომ ვერავინ დაინახოს. მე განუწყვეტლივ ვიტირებ. და ჯორჯუნია, ისიც სულ ტირის. ჩვენ ორივენი ვტირით და მერე რას ვაკეთებთ, ვიღებთ ჩვენ ცრემლებს და ვყინავთ (იცინის) დიახ საყინულეში ვდებთ და ვყინავთ სანამ ყინულის ნატეხებად არ იქცევიან, რომ ჩვენ სასმელში ჩავდოთ, და მერე მათ ვსვამთ და ასე ხდებიან ჩვენი ცრემლები ისევ ჩვენი ნაწილები (უფრო მეტად იწყებს ხარხარს, რაც ძალიან შემადრწუნებელია, ასეთი წყნარი და

მშვიდი, ბავშვური ლაპარაკის შემდეგ) მე შენ შეგირთე საყვარელო . . .
მარტა შენ გახდები კომპოზიტორი, ჯერ კიდევ არ არის გვიან. (ჩაიხედავს
ჭიქაში) კლინკ! (ისევ გაიმეორებს) კლინკ (იმეორებს და იმეორებს) კლინკ !
კლინკ ! კლინკ! კლინკ!

(შემოდის ნიკი; გაშემდეგა და უყურებს მას, შემდეგ კი გადავლავს
შემოსვლას)

ნიკი: ღმერთო ჩემო, თქვენ გააფრინეთ

მარტა: კლინკ?

ნიკი: მე გითხარით თქვენც გაგიჟდით-მეთქი

მარტა: ალბათ. . . ალბათ. . .

ნიკი: თქვენ ყველანი შეიშალეთ: ჩამოვდივარ ქვევით და რას ვხედავ. . .

მარტა: რას ?

ნიკი: . . . ჩემი ცოლი ჩამძვრალა ლიქიორის ბოთლში და შემაგინა...
შემაგინა!...

მარტა: (შეწუხებული) მას არასდროს შეუგინებია თქვენთვის; რა
სამწუხაროა ასე რომ მოხდა. . .

ნიკი: იატაკზე გაწოლილა, და ეტიკეტების აცლის ლიქიორის ბოთლს,
მერე ბრენდის ბოთლს . . .

მარტა: . . . ასე ვერასდროს შევძლებთ ფულის უკან დაბრუნებას. . .

ნიკი: . . . და მე ვეკითხები თუ რას აკეთებს ის და ის იწყებს: ჩუ ! არავინ
იცის რომ აქ ვარ; მერე მოვდივარ ამ ოთახში და აქ თქვენ მხედვებით და
რადაც ხმებს გამოსცემთ ! ღმერთო ჩემო !

მარტა: კლინკ !

ნიკი: თქვენ ყველანი გადაირიეთ.

მარტა: დიახ. სამწუხაროა, მაგრამ ასეა.

ნიკი: თქვენი ქმარი სადაა ?

მარტა: ის აორთქლდა !

ნიკი: გიჟები ხართ: დარტყმულები.

მარტა: ასე გვემართება, როდესაც მთელი სამყაროს ირეალურობა ჩვენ პატარა ტვინებს აწვება. (ნორმალური ხმით) დაწინარდი; ჩაეფალი ამაში; შენ არავიზე უკეთესი არ ხარ.

ნიკი: ვგონებ, რომ ვარ.

მარტა: (ჭიკაში ჩაყოფს პირს) თქვენ უდავოდ კიდევ ერთი განყოფილების ერთი უმნიშვნელო ნაწილაკი ხართ . . .

ნიკი: (ირონიულად) უკაცრავად . . . ?

მარტა: (ხმამაღლა ამბობს, თუმცა ამის საჭიროება არ არის) მე გითხარით კიდევ ერთი უმნიშვნელო ნაწილაკი ხართ . . .

ნიკი: (ხმას უწევს) ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი იმედები ვერ გაგამართლე!

მარტა: მე ეგ არ მითქვამს! უტვინო !

ნიკი: მაშინ მნახეთ, როდესაც ათი საათი გადაბმულად სმაში არ მექნებ გატარებული და ეგება . . .

მარტა: მე თქვენ პოტენციალზე არ მითქვამს; მე თქვენ გამოსვლაზე ვთქვი.

ნიკი: (ნაზად) ოჰ

მარტა: (ასევე ნაზად) თქვენი შესაძლებლობები გასაოცარია. ასეთი რამ უკვე დიდი ხანია არ მინახავს, მაგრამ პატარავ, შენ ნამდვილად ხელმოცარული ხარ.

ნიკი: შენთვის ყველა წარუმატებელია! შენი ქმარი ხელმოცარულია, მე ვარ ხელმოცარული . . .

მარტა: თქვენ ყველანი ხელმოცარულები ხართ. მე თავად დედა ბუნება ვარ, თქვენ კი უბადრუკი არსებები (საკუთარ თავს ელაპარაკება) მეზიზღება ჩემი თავი. რაში ვატარებ მთელ ცხოვრებას. . . გაართეთ მასპინძელი? ეს ხომ სასაცილოა. გარშემო იმპოტენტთა მთელი ბანდა მახვევია. მარტა თვალებს ახამხამებს, და ეს გამოყვეყნებულებიც უყურებენ.

. . მარტა ტუნებს ილოკავს და ეს გამოშტერებულები ბარისაკენ გარბიან, რომ სასმელით მოიკრიბონ ცოტაოდენი სითამამე და გამბედაობა, მერე ისევ მოხუც მარტასთან მორბიან, რომელიც თავისი ცეკვით ყველას აგიჟებს. ისევ ბარისაკენ გარბიან, რომ კიდევ ცოტაოდენი ძალა მოიკრიბონ. მათი ცოლები თუ საყვარლები კი ცხვირს მაღლა სწევენ ჰაერში, ლამის ჭერამდე. . . მერე ეს გამოყვეყნებულები უყურებენ მარტას, რომელსაც კაბა თავზე აქვს გადაფარებული და იმის თავიც არ აქვთ რამე გააკეთონ. აი, ასეთია საზოგადოება. საცოდავები. (მიუბრუნდება ნიკს) ჩემ ცხოვრებაში ერთადერთი მამაკაცია, ვისაც ოდესმე გავუბღნიერებია. იცი? მხოლოდ ერთი!

ნიკი: გაზონის მკრეჭავი. . . თუ რა ჰქვია?

მარტა: არა; ის აღარც მახსოვს. მაგრამ როცა მასთან გატარებულ დროს ვიხსენებ ნამდვილად კარგი იყო. თუმცა არა, ის არ მიგულისხმია; მე ჯორჯზე მიგანიშნეთ, რა თქმა უნდა. (ნიკი ჩუმად) ჯორჯი. . . ჩემი მეუღლე

ნიკი: (უნდობლად) მესუმრებით?

მარტა: მე ?

ნიკი: აშკარად. აბა, ის?

მარტა: ხო ის.

ნიკი: (ხუმრობად მიჩნევს) ხო აბა რა.

მარტა: არ გჯერათ

ნიკი: (დაცინვით) რატომ, რა თქმა უნდა მჯერა.

მარტა: ყოველთვის ასე იქცევით?

ნიკი: ოჰ, ღმერთო ჩემო. . .

მარტა: ჯორჯი სადღაც იქ არის სიბნელეში. . . ჯორჯი მე შემეფერება. . . ჯორჯი ის არის, ვისაც ჩემი ესმის, და რომელსაც მუდმივად ხელს ვკრავ; მას შეუძლია ჩემი გაცინება, გაცინება დახრჩობამდე, ყოველთვის მათობს

და მე მას სამაგიეროდ სისხლს ვწოვ, ის თამაშებს სწავლობს და მერე მე უფლებას მაძლევს წესები ჩემდა სასარგებლოდ შევცვალო, მას შეუძლია ჩემი გაბედნიერება თუმცა მე ეს არ მსურს, და ამავე დროულად ძალიანაც მინდა ვიყო ბედნიერი. ჯორჯი და მარტა: სევდიანი ისტორია, სევდიანი, სევდიანი.

ნიკი: (ექსავით) სევდიანი, სევდიანი, სევდიანი.

მარტა: მე მას არასდროს ვაპატიებ აქ რომ მოვიდა. . . მან ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვა მე რომ შემეყვარა და ახლა ამისთვის უნდა დაისაჯოს. ჯორჯი და მარტა: სევდიანი ისტორია, სევდიანი, სევდიანი.

ნიკი: (დაბნეული ხმით) სევდიანი

მარტა: ის ყოველთვის გაგებით ეკიდება იმ საკითხებს, რომელიც აღმაშფოთებელია. ის კეთილია, ეს კი საშინელებაა, მას ისეთი რამეები ესმის რაც აღქმას არ ექვემდებარება. . .

ნიკი: ჯორჯი და მარტა: სევდიანი ისტორია, სევდიანი, სევდიანი.

მარტა: ერთ დღესაც. . . ერთ ღამესაც. . . მორიგ, სასმელით გაუღენთილ ღამეს წელში გავტეხავ. . .

ნიკი: არა მგონია. . .

მარტა: (დასცინის) არა? არ გგონია? პატარა ბიჭუნა, შენ ხომ მთლიანად შენს მიკროფონში ხარ ჩაძირული. . .

ნიკი: მიკროსკოპში. . .

მარტა: . . . ხო . . . იქ გგონია რომ ყველაფერს ხედავ. . . უმცირეს ნაწილაკებსაც კი. . . მაგრამ შენ რა იცი ტვინში რა ხდება. . . არ იცი. . .

ნიკი: ხო მაგრამ როდესაც წელში გატეხავენ ვხედავ იქ რა ხდება. . .

მარტა: მართლაც !

ნიკი: სწორი ხარ.

მარტა: სულ პატარა ხარ. და გგონია რომ სამყარო შენ გარშემო ტრიალებს, არა?

ნიკი: გეყოფა ახლა . . .

მარტა: შენ გგონია, კაცი როდესაც წელშია მოტეხილი, მოხრილი დადის და კლოუნს მოგაგონებს. მხოლოდ ესაა რაც იცი ?

ნიკი: გეყოფა მეთქი. . . ველურივით იქცევი

მარტა: ჰაჰაჰა

ნიკი: უბრალოდ. . .

მარტა: ჰაჰაჰა ! მე გატენილი იარაღი ვარ ! ჰაჰაჰაჰაჰაჰაჰაჰაჰაჰა !

ნიკი: ოღონდ უმიზნო. . . უაზრო.

მარტა: შე, პატარა ნაბიჭვარო.

ნიკი: ყველაფერს ესვრი

(კარზე ზარის ხმა)

მარტა: წადი კარი გააღე

ნიკი: (გაოცებული) რა მითხარი ?

მარტა: გითხარი, წადი კარი გააღე-თქო. შენ რა ყრუ ხარ?

ნიკი: შენ გინდა რომ . . . მე . . . მე კარი გაუაღო ?

მარტა: მართალია, შე გამოშტერებულს, წადი კარი გააღე. რაღაცაში ხომ მაინც უნდა გამოადგე ადამიანს; თუ ისეთი მთვრალი ხარ, რომ მაგის თავიც არ გაქვს?

ნიკი: შეხედე ! საჭირო არაა კარის გაღება. . . მგონი წავიდა. . .

(კარზე ისევ ზარის ხმა)

მარტა: (დაუყვირებს) უპასუხე! (ნაზად) ცოტა ხანი ჩემი ლაქია იყავი. აი, შენი პირველი დავალებაც ეგაა, რომ კარი გააღო.

ნიკი: მისმინეთ ქალბატონო, მე თქვენი სათამაშო არ ვარ.

მარტა: (მხიარულად) როგორ არა ხარ! ამბიციები გაგაჩნია, არა? სამზარეულოში დამსდევდი, კიბეებზეც, არა ? მაშინ შენ კარიერაზე ფიქრობდი? და რატომ არ შეგიძლია იყო ლაქია თუ ეს იერაქიულ კიბეზე აცოცებაში დაგეხმარება ?

ნიკი: საზღვარს გადადიხართ

(კარზე ისევ ზარის ხმაა)

მარტა: არც გამაჩნია. ახლა წადი და კარი გააღე (ნიკი ყოყმანობს) მისმინე, ბიჭუნა. თუ ამაში ცხვირი ჩაყავი, აქედან ასე იოლად ვეღარ გამოძვრები. აქ გაიჭედე. ახლა მიდი

ნიკი: უმიზნო. . . იარაღი. . . უაზრო

მარტა: მე რა გითხარი? აჩვენე მარტას, რომ რაიმე მაინც შეგიძლია. ჰა?

ნიკი: (მიიწევს კარისაკენ. ისევ ზარის ხმაა) ღვთის გულისათვის მოიცადეთ. . . მოვლივარ უკვე

მარტა: შესანიშნავია, შესანიშნავი (იწევს სიმღერას) „ნამდვილი ჟიგოლო ვარ, ყველაგან სადაც მივლივარ ამას ამბობენ. . .“

ნიკი: გაჩერდი !

მარტა: (იცინის) მაპატიე; მიდი, მიდი; გააღე კარი.

ნიკი: ღმერთო ჩემო

(ნიკი კარს აღებს და ხედავს ადამიანს, რომელსაც ყვავილების შეკვრა უჭირავს ხელში, თუმცა ისე მაღლა, რომ სახეს უფარავს. ნიკი თავს გაწვს რომ მისი სახე დაინახოს)

მარტა: აუ, რა საყვარელია !

ჯორჯი: (მოსჩანს კარში, სახეზე ყვავილები აქვს აფარებული და იღუმალის ხმით საუბრობს) Flores; Flores para los muertos. Flores.

მარტა: ჰა, ჰა, ჰა

ჯორჯი: (შემოვა. ყვავილებს დაწევს, დაინახავს ნიკს, და ხელებს გაშლის) შეილო! სახელში მოხვედი შენი დაბადების დღეს! როგორც იქნა !

ნიკი: (უკან დაიხევს) მომშორდი.

მარტა: ჰა, ჰა, ჰა, ჰა ! ღმერთო ჩემო, ნიკი ხომ ჩვენი ლაქიაა.

ჯორჯი: მართლა? ეს ჩვენი პატარა ჯიმი არ არის? ეს ჩვენი პატარა ამერიკელი არა არის?

მარტა: იმედია არა; თუ ისაა და მაშინ საშინლად უაზროდ იქცეოდა.

ჯორჯი: ოოოოჰ, მაგაში ეჭვიც არ მეპარება. მე შენ ეს ყვავილები მოგიტანე.

მარტა: ჩემ საქორწინო თაიგულს გავს.

ნიკი: (იწყებს წასვლას) კარგი, თუ არ გეწყინებათ, ვფიქრობ. . .

მარტა: ოს! დარჩი საღაც ხარ! და მგონი არ გაწყენდა ერთი სასმელი გაგეკეთებინა ჩემი ქმრისათვის.

ნიკი: არა მგონია!

ჯორჯი: არა, მარტა, არა; ეგ ზედმეტია უკვე. ის შენი ლაქიაა და არა ჩემი. . .

ნიკი: არავის ლაქია არ ვარ მე . . .

ჯორჯი და მარტა: ახლა . . . (მღერიან) არავის ლაქია არ ვარ მე . . . (ორივე იცინის)

ნიკი: შხამიანი. . .

ჯორჯი: (ნიკის მაგიერ ამთავრებს) . . . ბავშვები. მართალი ვარ? შხამიანი ბავშვები, თავიანთი ძველი გასართობებით, ცხოვრების გაღვევის ამოც მცდელობით, ასე შემდეგ, ასე შემდეგ. ასეა არა ?

ნიკი: ხო, რაღაც ეგეთი

ჯორჯი: ნუ ატრაკებ რა.

მარტა: სადა აქვს მაგის თავი. სასმელითაა გაჟღენთილი.

ჯორჯი: მართლა? (მიაწოდებს ყვავილებს ნიკს) აჰა, ჩააწყვე ისინი ჯინტონიკით სავსე ვაზაში (ნიკი გამოართმევს ყვავილებს და მიუყრის ფეხებთან)

მართა: აუუუუუ . . .

ჯორჯი: ასე არ უნდა მოექცე მართას ყვავილებს. . . ეს ცუდი საქციელია. . .

მართა: მართლაც რომ . . .

ჯორჯი: დიახ. და თან მე მთვარის შუქზე დაგკრიფე ისინი მარტასათვის ამ ღამეს, და ჩვენი ბიჭისათვისაც, ხვალ მისი დაბადების დღეა.

მართა: ისე, ცნობისათვის მთვარე უკვე ჩავიდა. ჩემი თვალით ვნახე მისი ჩასვლა საძინებლიდან.

ჯორჯი: საძინებლიდან?! მთვარე აშკარად იყო.

მართა: (ცოტათი იცინის) შეუძლებელია მთვარე ყოფილიყო.

ჯორჯი: მთვარე იყო. და არის კიდევც.

მართა: მთვარე არ არის. ის ჩავიდა.

ჯორჯი: მთვარე არის. და ის ისევ ცაზეა.

მართა: (ცდილობს ცივილური ტონი შეინარჩუნოს) მგონი შენ ცდები.

ჯორჯი: (მხიარულად) არა, არა.

მართა: (გამოსცრის კბილებში) არავითარი მთვარე არაა.

ჯორჯი: ძვირფასო მარტა. . . მე ეს ყვავილები უკუნეთ სიბნელეში კი არ დამიკრეფია. არც მამაშენის ორანჟერეაში არ მომიწყვიტავს ისინი.

მართა: დიახაც ასე მოიქეცი. . . უდავოა ასე იზამდი.

ჯორჯი: მარტა, მამაშენის ნებართვის გარეშე ხომ ვერ მოვკრეფდი მათ ორანჟერეაში? ეს ქურდობა იქნებოდა. მე კი ქურდი არ ვარ.

მართა: მთვარე არაა. . . ის ჩავიდა. . .

ჯორჯი: (ლოგიკურად იწყებს მსჯელობას) ეს ასეც შეიძლება იყოს, საყვარელო. . . მთვარე მართლაც რომ შეიძლება ჩასულიყო. . . თუმცა შემდეგ ის ისევ ჰორიზონტზე დაბრუნდა.

მართა: მთვარე არ ბრუნდება; როდესაც ჩადის იქ რჩება

ჯორჯი: შენ არაფერი არ იცი. ჩასვლის შემდეგ ამოსვლაც ძალუძს.

მართა: იდიოტო !

ჯორჯი: უვიცო! არა მაინც რა უცდინარი ხარ!

მართა: უნდა იცოდე ვის უნდა მიმართო ეგრე და ვის არა!

ჯორჯი: ერთხელ. . . ერთხელ როდესაც მაიორკასთან მივცურავდით. . .

გემბანზე ვსვამდით. . . და იქ იყო ერთი ჟურნალისტი, რომელიც რუზველტზე საუბრობდა. . . და მერე უცებ მთვარე ჩავიდა. . . და მერე ჰოი საოცრებაე ! ისევ უკან ამოვიდა . . .

მართა: ეგ არ არის მართალი! ეგ ტყუილია!

ჯორჯი: მართა არ შეიძლება ყველაფერზე ტყუილიაო-ს თქმა (ნიკს) მართალი არ ვარ?

ნიკი: ჯანდაბა. მე არ ვიცი . . . არ ვიცი როდის იტყუებით ან როდის ამბობთ სიმართლეს.

მართა: მართალი ხარ.

ჯორჯი: შენ არ უნდა. . .

მართა: მართალია!

ჯორჯი: კარგი როგორც არის ! მე მაიორკასთან მივცურავდი . . .

მართა: შენ არასდროს ყოფილხარ მაიორკასთან. . .

ჯორჯი: მარტა. . .

მართა: არასდროს ყოფილხარ ამ ჯანდაბა ხმელთაშუა ზღვაში. . . არასდროს. . .

ჯორჯი: დიახაც ვიყავი! დედიკომ და მამიკომ წამიყვანეს როდესაც უნივერსიტეტს ვამთავრებდი.

მართა: სიგიჟეა!

ნიკი: ამის მერე მოკალით ისინი ?

(ჯორჯი და მარტა ცეკვას იწყებენ და თან მას უყურებენ; მოკლე პაუზაა)

ჯორჯი: შეიძლება

მართა: შეიძლება არც

ნიკი: ღმერთო ჩემო

(ჯორჯი მივა აიღებს ერთ ყვავილს და ნიკს სახეზე მიუს-მოუსვამს თითქოს ხელში ბუმბული ეკავოს)

ჯორჯი: ჰაჰ !

ნიკი: ეშმაკმა დალახვროს!

ჯორჯი: (ნიკს) სიმართლე და ილუზია. ვინ იცის სად გადის მათ შორის ზღვარი? ჰა?

მართა: შენ არასდროს ყოფილხარ ხმელთაშუა ზღვაში. . . ეს სიმართლედ შეიძლება იყო და ილუზიაც. . .

ჯორჯი: თუ იქ არ ვუოფილვარ აეგანში როგორღა მოვხვდი?

მართა: ხმელეთით!

ნიკი: დიახ!

ჯორჯი: შენ მის გვერდით არ ხარ, ლაქიავ!

ნიკი: მე ლაქია არ ვარ

ჯორჯი: უყურე. მე ერთი თამაში ვიცი. შენ ლაქია ხარ და თანაც სახლიდან გაგდება არ გიწერია!

ნიკი: არ ვარ მე ლაქია!

ჯორჯი: არა ? მოდი მარტა მოდი შენც ითამაშე ეს თამაში. მარტა ? მოდი !

ნიკი: (პაუზის შემდეგ, მიმართავს მარტას) უთხარით, რომ მე თქვენი ლაქია არ ვარ!

მართა: (წყნარად, თავს დახრის) არა, შენ არ ხარ ლაქია!

ჯორჯი: დაე, ასე იყოს.

მართა: სიმართლე და ილუზია. ჯორჯ, შენ ხომ მათ შორის განსხვავება არ იცი.

ჯორჯი: არა. მაგრამ ისე უნდა გავაგრძელოთ, გეგონება ვიცი.

მართა: ამინ.

ჯორჯი: (ყვავილებს ბრძღვნის) აი, გაფრინდნენ. (ნიკი და მარტა ხმადაბლა იცინიან) მოცვის ბუჩქის გარშემო ხომ არ გვერბინა, ჰა?

ნიკი: (მარტას) მადლობა.

მართა: დაივიწყე.

ჯორჯი: (ხმამაღლა) მე ვითხარით მოცვის ბუჩქის გარშემო დავრბვართ მეთქი.

მარტა: დიახ, დიახ, ვიცით. გაფრინდნენ ყვავილები

ჯორჯი: (კიდევ გაპუტავს ყვავილებს და შეაყრის მარტას) აი

მარტა: არ გინდა ჯორჯ !

ჯორჯი: (კიდევ შეაყრის) აი

ნიკი: ნუ აკეთებთ ამას

ჯორჯი: მოკეტე ჩმორო !

ნიკი: ჩმორი არ ვარ !

ჯორჯი: (ნიკს შეაყრის) მაშინ ლაქია ხარ. ჰა, რომელი გირჩევნია იყო?

რომელი ? ჰა ? კარგად მოიფიქრე . . . შენ მე გულს მირევ

მარტა: რომელი მათგანი იქნება ამას შენთვის რა მნიშვნელობა აქვს,

ჯორჯ.

ჯორჯი: (მარტას შეაყრის) არა, აქვს

მარტა: გეყოფა, მორჩი ამ ჯანდაბა ყვავილების სროლას

ჯორჯი: ნებისმიერი იყოს, ოღონდ აუცილებლად უნდა იყოს (კიდევ ერთს შეაყრის)

ნიკი: (მარტას) გინდა. . . გინდა ამაზე პასუხი ვაგებინო ?

მარტა: თავი დაანებე

ჯორჯი: აირჩიე. . . რომელიმე უნდა იყო. . .

ნიკი: ოჰ, ღვთის გულისათვის . . .

მარტა: (ცოტათი შეშინებული ხმით) სიმართლე თუ ილუზია, ჯორჯ. ამას შენთვის მნიშვნელობა არ აქვს ?

ჯორჯი: ჩვენ კიდევ ერთი თამაში უნდა ვითამაშოთ. და მას ბავშვის აღზრდა ეწოდება.

ნიკი: ოჰ, ღვთის გულისათვის . . .

მარტა: ჯორჯ. . .

ჯორჯი: აქ არეულობა არ მინდა (ნიკს) შენ ხომ არ გინდა სკანდალი ატყდეს? ჰა, გინდა ბიჭო? შენ არ გინდა რომ ყველაფერი გაფუჭდეს, ხომ მართალი ვარ? გინდა რომ გრაფიკის მიხედვით იცხოვრო, არა? მაშინ დაჯექი. (ნიკი დაჯდება) (მარტას) და შენ მშვენიერო ქალბატონო, შენ ხომ გიყვარს გართობა და თამაშობები, არა?

მარტა: (წყნარად) კარგი, ჯორჯ, კარგი

ჯორჯი: კარგია, კარგი. თუმცა ვილაც გვაკლია. (შეხედავს ნიკს და მისკენ თითს გაიშვერს) შენი . . . შენი პატარა ცოლი გვაკლია. . .

ნიკი: მძიმე ღამე ჰქონდა. . .

ჯორჯი: ჩვენ ასე თამაში არ შეგვიძლია . . . ჩვენ შენი ცოლი გვჭირდება . . . (ყვირის შემოსასვლელში)

ნიკი: (მარტას, რომელიც ნერვიულად წრიალებს) მორჩი რა !

ჯორჯი: აწიე ტრაკი სავარძლიდან და მოიყვანე შენი ცოლი აქ. (ნიკი არ იძვრის) მიდი, ცუგა, მოიყვანე. წადი, კარგი ცუგა ხარ. კარგი.

(ნიკი დგება, პირს ადებს, რაღაცის თქმას აპირებს თითქოს, შემდეგ ჩათვლის რომ საჭირო არაა და უხმოდ გადის)

კიდევ ერთი თამაში, კიდევ ერთი

მარტა: (ნიკის წასვლის შემდეგ) არ მომწონს, რაც მოხდება

ჯორჯი: იცი, ეს რა არის ?

მარტა: არა. მაგრამ არ მომწონს.

ჯორჯი: იქნებ მოგეწონოს, მარტა.

მარტა: არა

ჯორჯი: არა, ეს ნამდვილი სახალისო თამაშია, მარტა

მარტა: (მუდარით) აღარ მინდა თამაშები

ჯორჯი: კიდევ ერთი თამაში. კიდევ ერთი და მერე ძილი დროა. ყველა აიკრავს გულა-ნაბადს და წავა სახლში. ჩვენ, კი . . . ჩვენ. . . ავძვრებით ჩვენ მრავალჭირნახულ კიბეებზე. . .

მარტა: არა, ჯორჯ, არა

ჯორჯი: დიახ, საყვარელო

მარტა: არა, რა ჯორჯ, გთხოვ, არა

ჯორჯი: ყველაფერი იმაზე მალე დამთავრდება ვიდრე გგონია

მარტა: არა, ჯორჯ

ჯორჯი: არ აძვრები კიბეებზე ჯორჯთან ერთად ?

მარტა: არ გვინდა თამაშები ჯორჯ . . . არ გვინდა . . . არ მინდა თამაში . .

ჯორჯი: როგორ არა, მარტა. . . შენ ხომ გიყვარს თამაშები, რა თქმა უნდა გიყვარს.

მარტა: საზიზღარი თამაშები . . . საშინელი. . . და ახლა ეს ახალი რაღაც

ჯორჯი: მოგეწონება, ძვირფასო

მარტა: არა.

ჯორჯი: ბურთი გექნება. . .

მარტა: (ცდილობს შეეხოს) გთხოვ, ჯორჯ, აღარ... აღარ გვინდა რა თამაშები...

ჯორჯი: (უკან გაიწევეს) ნუ მეხები . . . შენი შეხება ახალგაზრდა

სტუდენტებისათვის შეინახე. . .

მარტა: (კივის, თუმცა არც თუ ისე ხმამაღლა)

ჯორჯი: (ხელს ჩააგლებს) მისმინე მარტა . . . მშვენიერი საღამო გქონდა. . .

და კარგი ღამე მოიწყვე... და მას მაშინ ვერ დაამთავრებ, როდესაც შენ მოისურვებ... ასე უბრალოდ არ დამთავრდება ყველაფერი. . .

(შემოულაწუნებს თავისუფალი ხელით) ცოტათი გამოცოცხლდი, პატარავ.

(ისევ შემოარტყამს)

მარტა: გაჩერდი

ჯორჯი: (ისევ დაარტყამს) აზრზე მოდი. . . (ისევ დაარტყამს) რამდენჯერაც

არ უნდა დაგაგდო ძირს, იმდენჯერ უნდა ადგე. (ხელს კრავს, მარტა ძირს ეცემა და ისევ დგება)

მარტა: კარგი, ჯორჯ, რა გინდა ?

ჯორჯი: თანაბარი ომი; სულ ესაა.

მარტა: ჰოდა მიიღებ !

ჯორჯი: მინდა გაგიჟდე !

მარტა: ისედაც გაგიჟდი !

ჯორჯი: უფრო გაგიჟდი !

მარტა: მაგაზე ნუ იწუხებ !

ჯორჯი: კარგი, გოგო ხარ. ახლა სიკვდილამდე ამ თამაშს ვითამაშებთ . . .

მარტა: შენ სიკვდილამდე. . .

ჯორჯი: გაოცდები. აი, ბავშვებიც მოდიან. მოემზადე.

მარტა: მზად ვარ

(ნიკი და ჰანი შემოდინან; ნიკი ჰანის ეხმარება, რომელსაც ხელში ბოთლი უკავია)

ნიკი: (უბედური ხმით) აი, ჩვენც მოვედით

ჰანი: (მხიარულად) სკუპ, სკუპ, სკუპ, სკუპ

ნიკი: ბაჭია ხარ, ჰანი (ჰანი იცინის და ჯდება)

ჰანი: ბაჭია ვარ.

ჯორჯი: (ჰანის) აბა, როგორაა ჩვენი ბაჭია ?

ჰანი: სასაცილო ბაჭია (იცინის)

ნიკი: ღმერთო!

ჯორჯი: სასაცილო ბაჭია? მით უკეთესი ბაჭიისათვის!

მარტა: გეყოფა, ჯორჯ!

ჯორჯი: (მარტას) ჰანი სასაცილო ბაჭიაა (ჰანი სიცილისაგან კივის)

ნიკი: ღმერთო . . .

ჯორჯი: (ტაშს დაუკრავს) კარგი აი, დავიწყეთ! უკანასკნელი თამაში!

ყველანი დასხედით (ნიკი ჯდება) დაჯექი, მარტა. ეს ცივილიზებული თამაშია.

მარტა: (მუშტს მოუღერებს, მერე ჯდება) დროზე დაამთავრე.

ჰანი: (ჯორჯს) ასე მგონია, არაფერი მახსოვს. (ნიკს) გამარჯობა, ძვირფასო.

ჯორჯი: რა?

მარტა: თითქმის თენდება . . .

ჰანი: ასე მგონია, არაფერი მახსოვს. შენც არაფერი გახსოვს. გამარჯობა, ძვირფასო.

ჯორჯი: შენ რა?

ჰანი: შენ ჩემი არ გესმის. გამარჯობა, ძვირფასო.

ჯორჯი: (ჰანის, მიუთითებს ნიკზე) არ იცი, რომ ის შენი ქმარია?

ჰანი: არა, ეგ დანამდვილებით ვიცი. . .

ჯორჯი: უბრალოდ არის რაღაცეები რაც არ გახსოვს. . .

ჰანი: არ მახსოვს. . . არ შემიძლია. . . (ნიკს, მხიარულად) გამარჯობა, ძვირფასო.

ჯორჯი: (ნიკს) დაელაპარაკე, შენ პატარა ცოლს, შენ პატარა ბაჭიას, ღვთის გულისათვის. . .

ნიკი: გამარჯობა, ჰანი.

ჯორჯი: კარგი იყო. მგონი კარგი სადამო გამოვიდა. . . თუ ყველაფერს გაავითვალისწინებთ. . . მით უმეტეს. . . ვისხედით, გავიცანით ერთმანეთი, თამაშები ვითამაშეთ. . . იატაკზე ღოღვა. . .

ჯორჯი: ყვავილების დაჭერა. . .

ჰანი: ეტიკეტების აძრობა. . .

ჯორჯი: აძრობა . . . რისი. . . ?

მარტა: ეტიკეტების. ეტიკეტების აძრობა.

ჰანი: (აწევს ბოთლს რომელიც ხელში უკავია) მე ეტიკეტებ ვაძრობ.

ჯორჯი: საყვარელო, ჩვენ ყველანი ეტიკეტებს ვაძრობთ. და როდესაც ტყავს გააძრობ და სამ ფენას ააძრობ, კუნთებს გაცდები და შიდა ორგანოებს მიღებ. . . იცი მერე რას აკეთებ ?

ჰანი: არა !

ჯორჯი: ძვლები ძალიან ელასტიურია. . . განსაკუთრებით ბავშვებში. . . აი, თუნდაც ჩვენი ბავშვი ავიღოთ. . .

ჰანი: ვინ ?

ჯორჯი: ჩვენი შვილი. . . მარტას და ჩემი სიხარული!

მარტა: ჯორჯ. . .

ჯორჯი: დიახ, მარტა ?

მარტა: აბა, რას აკეთებ ?

ჯორჯი: ჩვენ შვილზე ვსაუბრობ

მარტა: არ გინდა

ჯორჯი: რატომაც არა. . . აი ჩვენი ბიჭის შინ დაბრუნების სადამოა, და ჩვენ აქ ვართ. . . ისი ოცდაერთი წლის დაბადების დღეა. . . და მარტა მასზე საუბარს მიკრძალავს. . .

მარტა: უბრალოდ. . . არ გინდა

ჯორჯი: მაგრამ მე მინდა მარტა! აუცილებელია ახლა მასზე ვისაუბროთ . . . მათ არაფერი იცანი პატარას შესახებ და მგონი უნდა გავაგებინოთ

მარტა: უბრალოდ. . . არ გინდა

ჯორჯი: (თითებს აწკლავუნებს ნიკის მიმართულებით) შენ. . . ეი, შენ . . . შენ გინდა ბავშვების აღზრდა ვითამაშოთ, არა ?

ნიკი: შენ მე მიკეთებ ამას ?

ჯორჯი: მართალია. არ გინდა ჩვენი ცქვიტი ბიჭუნას შესახებ მოგიყვე

ნიკი: (მოკლედ მოუჭრის) ხო, რა თქმა უნდა

ჯორჯი: (ჰანის) და შენ ძვირფასო ? არ გინდა მასზე მოგიყვე ?

ჰანი: ვისზე?

ჯორჯი: როგორ თუ ვისზე ? ჩემი და მარტას შვილზე . . .

ჰანი: ოჰ, თქვენ ბავშვი გყავთ ? (მარტა და ნიკი უხერხულად გაიცინებენ)

ჯორჯი: დიახაც, რომ გყავს. გინდა მასზე საუბარი მარტა?

მარტა: არ გინდა ჯორჯ

ჯორჯი: ძალიან კარგი. მოკლედ ასე. ის კარგი ბავშვია, მიუხედავად იმისა, თუ რა ვითარებაში გაიზარდა. ხომ გესმით მის ადგილას ბევრი ნევროსტენიკი გახდებოდა, მარტას ხელში ეს ადვილია. მას ღამემდეგ სძინავს, გამუდმებით უცხო ადამიანები მოჰყავს. თექვსმეტის რომ იყო მისი ბანაობა სცადა

მარტა: (წამოდგება) კარგი, გეყოს!

ჯორჯი: მარტა!

მარტა: საკმარისია

ჯორჯი: გინდა შენ გააგრძელო?

ჰანი: (ნიკს) ვინ ბანს თექვსმეტი წლის ადამიანს?

ნიკი: ღვთის გულისათვის, ჰანი

ჰანი: არა, მე მაინც მაინტერესებს რატომ?

ჯორჯი: იმიტომ რომ ის მისი პატარა სათამაშოა.

მარტა: კარგი. ჩვენი შვილი. გინდა ის? ჰოდა მიიღებ !

ჯორჯი: გაიმეორე მარტა, გეთაყვა

მარტა: რა, ჯორჯ ?

ჯორჯი: ჩვენი შვილი. . .

მარტა: კარგი. ჩვენი ბიჭი. ჩვენი ბიჭი დაიბადა სექტემბრის ღამეს. . . ამის მსგავს ღამეს. . .

ჯორჯი: ხომ ხედავ. აბა მე რას გეუბნებოდი?

მარტა: ადვილი მშობიარობა იყო და თან ახალგაზრდა ვიყავი

ჯორჯი: და მეც ახალგაზრდა ვიყავი (თავისთვის ჩაიციინებს)

მარტა: და მეც ახალგაზრდა ვიყავი, და ის ძლიერი და ჯანმრთელი ბავშვი იყო... შავი თმა ჰქონდა, რომელიც საბოლოოდ გაქერავდა და მზისფერი გახდა. . .

ჯორჯი: ჯანმრთელი ბავშვი იყო.

მარტა: და მე მინდოდა შვილი. ოჰ, მე მინდოდა შვილი.

ჯორჯი: ბიჭი? თუ გოგო?

მარტა: ბავშვი! და მე მყავდა ჩემი ბავშვი!

ჯორჯი: ჩვენი ბავშვი

მარტა: ჩვენი ბავშვი. . . და ჩვენ ის აღვზარდეთ. . . დიახ, აღვზარდეთ. . .

ჯორჯი: პლუშის დათუნებით. . . ძიძის გარეშე. . .

მარტა: პლუშის დათუნებით. . . და ოქროს თევზთან ერთად. . . ცისფერ ლოგინში. . . სიზმარში . . .

ჯორჯი: . . . კომმარებს ხედავდა . . .

მარტა: ვერაფრით ისვენებდა. . . და . . . და სენდვიჩებს მიირთმევდა, კვირას დამით და შაბათს. . . და შაბათობით ბანანს შეექცეოდა. . . და სტაფილოს. . . და მას მწვანე თვალები ჰქონდა. . . ისეთი მწვანე . . .

ჯორჯი: . . . ლურჯი, მწვანე, ყავისფერი . . .

მარტა: და მას მზე უყვარდა. . . და მისი თმა მზეზე ოქროსი ხდებოდა. . .

ჯორჯი: ოქროსი. . .

მარტა: ულამაზესი. . . ულამაზესი ბიჭი

ჯორჯი: Domine, animas omnium fidelium defunctum ab omni vinculo delictorum

მარტა: და სკოლა. . . და ბანაკი . . . და ცურვა. . .

ჯორჯი: Et gratia tua illis succurrente, mereantur evadere iudicium ultionis

მარტა: და მერე ხელი რომ მოიტეხა. . . რა სასაცილო იყო . . . იტკინა, მაგრამ სასაცილო იყო . . . მინდორში . . . პირველად ნახა ძროხა, მივარდა და იმ ურჩხულმა თავი ასწია და ‘მუუუუ’ თქვა. . . სულ სამი წლისა იყო... შეეშინდა. . . გადავარდა და მკლავი მოიტეხა. . . საწყალი კრავი... (იცინის)

ჯორჯი: Et lucis aeternae beatitudine perfrui

მარტა: და ჯორჯმა იტირა . . . უმწეო ჯორჯმა იტირა . . . მე ბავშვი

ავიყვანე ჯორჯი კი ჩემ გვერდზე სლუკუნით მოდიოდა. და მე გადმოვსერე ველები . . .

ჯორჯი: In Paradisum deducant te Angeli

მარტა: და როცა გაიზარდა . . . როცა გაიზარდა. . . ისეთი ჭკვიანი იყო . . .
და მე . . . მე მას ვიცავდი ჯორჯის უსუსურობისაგან. . . ვიცავდი მას და
საკუთარ თავს. . .

ჯორჯი: In memoria aeterna erit Justus: ab auditione mana non timebit

მარტა: ისეთი ჭკვიანი იყო; ისეთი ჭკვიანი

ნიკი: (ჯორჯს) ეს რა არის? რას აკეთებთ?

ჯორჯი: ჩუუუუუ

ჰანი: ჩუუუუუ

ნიკი: კარგი

მარტა: ისეთი ლამაზი; ისეთი ბრძენი

ჯორჯი: (იცინის) მართლაც რომ

მარტა: მართალია! კარგი შესახედავი; ჭკვიანი, იდეალური

ჯორჯი: აი, ჭეშმარიტი დედის სიტყვები.

ჰანი: (ცრემლმორეული წამოიძახებს) ბავშვი მინდა

ნიკი: ჰანი . . .

ჰანი: (უფრო დაჟინებით) ბავშვი მინდა!

ჯორჯი: პრინციპულად?

ჰანი: ბავშვი მინდა! ბავშვი მინდა!

მარტა: მაგრამ ჯორჯის გვერდით შეუძლებელია იდეალურობა შეინარჩუნო.
. . არა, ჯორჯის გვერდით არ გამოდის. . .

ჯორჯი: ვიცოდი, რომ თემას მაინც შეცვლიდა

ჰანი: ბავშვი მინდა! ბავშვი მინდა!

მარტა: ჯორჯის გვერდით ეს შეუძლებელია. . . ადამიანი, რომელიც
ბოლომდე ჭაობშია ჩაფლული გარშემომყოფთაც ითრევს. . . ამას ვებრძოდი.
. . ღმერთო ჩემო, მაინც რა თავგანწირვით ვებრძოდი ამ ყოველივეს. . . და
ახლა ჩვენი ბიჭი უკვე დიდია; გაიზარდა; და წასულია; ყველაფერი რიგზე

აქვს; აბსოლუტურად ყველაფერი.

ჯორჯი: (დაცინვით) გეყოფა, რა მარტა!

მარტა: სულ ეს არის.

ჯორჯი: მოითმინე. ასე უბრალოდ ვერ მორჩები ამ ამბის მოყოლას. თუ რაიმეს თქმას იწყებ ბოლომდე თქვი ხოლმე.

მარტა: არა!

ჯორჯი: კარგი, მე ვიტყვი!

მარტა: არა!

ჯორჯი: ხომ ხედავთ, მარტა მაშინ ჩერდება, როდესაც ყველაფერი უფრო საინტერესო ხდება. . . როდესაც რაღაცეები რთულდება. . . რაღაც გემლება პატარა გოგონავ. . . შენი ქმარი არც ისეთი უსუსურია და უვარგისი როგორც გგონია. . . ალკოჰოლურ სასმელებთან დაკავშირებითაც ბევრი პრობლემა გაქვს. . .

მარტა: შეწყვიტე, ჯორჯ

ჯორჯი: და ამას კიდევ ის ერთვის, რომ გყავს მამა, რომელსაც საერთოდ არ ანადვლებს ცოცხალი ხარ თუ მკვდარი. . . არ წუხს თავის ერთადერთ ქალიშვილზე. . . კიდევ გყავს ვაჟი. . . რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ბრძოლა უწევდა იმისათვის, რომ დედამისს იგი იარაღად არ გამოეყენებინა მამამისის წინააღმდეგ. . . მას არ სურდა მარტას ხელში კოხირი ყოფილიყო, რომელსაც მაშინ გამოიყენებდნენ, როდესაც რაიმეს მიღება სურდათ!

მარტა: ტყუილია! ტყუილია!

ჯორჯი: ტყუილია? ის არ განუდგა მამას და ყოველთვის მიდიოდა რჩევისათვის, ინფორმაციისათვის, სიყვარულისათვის. . . სიყვარულისათვის, რომელიც დედამისისათვის ავადმყოფური გრძნობად იყო ქცეული. . .

მარტა: მას იმდენად რცხვენოდა მამის, რომ ერთხელ ისიც მითხრა, რომ მოხარული იქნებოდა, რომ სხვისი შვილი ყოფილიყო და არა მისი უნიათო

მამისა. . .

ჯორჯი: ტყუილია!

მარტა: ტყუილი? რცხვენოდა თავისი მეგობარი გოგონების სახლში მოყვანა.

ჯორჯი: . . . დედამისის გამო. . .

მარტა: . . . მამამისის გამო! ის წერილებს მხოლოდ მე მწერს!

ჯორჯი: ეგრე გეგონოს! მე მწერს მხოლოდ! კაბინეტში ვინახავ!

მარტა: მატყუარა!

ჯორჯი: ერთი შეკვრა მაქვს!

მარტა: შენ არც ერთი წერილი არ გაქვს!

ჯორჯი: და შენ?

მარტა: მას წერილები არ აქვს. ვაჟი. . . ვაჟი, რომელიც მთელ ზაფხულს სახლისაგან მოშორებით ატარებს. . . იმიტომ რომ ვერ იტანს იმ კაცუნას აჩრდილს, თავს, რომ მამამისად ასაღებს. . .

ჯორჯი: . . . მთელ ზაფხულს სახლისაგან მოშორებით ატარებს. . . მთელ ზაფხულს სახლისაგან მოშორებით ატარებს. . . რადგან აქ მისი ადგილი არ არის. . . სახლში, რომელიც სავსეა ცარიელი ბოთლებით, ტყუილებით, უცხო მამაკაცებით. . .

მარტა: მატყუარა!

ჯორჯი: მატყუარა?

მარტა: ვაჟი, რომელიც კარგად აღვზარდე. . .

ჯორჯი: ვაჟი, რომელიც იმდენადაა ჩაფლული ნეხვში, რომ ოცნებობს ნეტავ საერთოდ არ გავეჩენილიყავიო. . .

(მარტა და ჯორჯი ერთ დროულად იწყებენ საუბარს)

მარტა: ვცდილობდი. ოჰ, ღმერთო როგორ ვცდილობდი; ერთადერთი რამ რაც წმინდად და შეურყვნელი შევინარჩუნე ამ ქორწინების გზაზე; ყველა იმ ავადმყოფური ღამისა, უაზროდ პათეტიური დღეების, დამცირებისა და სიცილის მიუხედავად. . . ღმერთო ჩემო სიცილი. . . სიცილი, რომელიც

ყველა დამარცხებას თან ახლდა, ერთ წარუმატებლობას მეორე მოსდევდა, ერთ ღამეს კი მეორე; ერთადერთი ადამიანი ვისი დაცვაც მსურდა. . . ვინც მინდოდა ამ დამანგრეველი ქორწინების ზეგავლენისაგან გამერიდებინა; ერთადერთი სინათლე ამ უიმედო სიბნელის უამს. . . ჩვენი ვაჟი.

ჯორჯი: Libera mia, Domine, de morte aeterna, in die illa tremenda: Quando caeli moved sunt et terra: dum veneris judicare saeculum per ignem. Tremens factus sum ego, et timeo, sum discussio verity, atque ventura ira. Quando caeli moved sunt et terra. Dies illa, dies irrae, calamitatis et miseriae; dies magna et amara valde. Dum verenis judicare saeculum per ignem. Requiem aeternam dona eis, Domine: et lux perpetua luceat eis. Libera mia, Domine, de morte aeterna, in die illa tremenda: Quando caeli moved sunt et terra: dum veneris judicare saeculum per ignem.

(მარტაცა და ჯორჯიც ერთდროულად ამთავრებენ საუბარს)

ჰანი: (ყურებზე ხელს აიფარებს) გეყოფათ ! გეყოფათ !

ჯორჯი: Kyrie, eleison. Christie, eleison. Kyrie, eleison.

ჰანი: გაჩერდით!

ჯორჯი: რატომ, პატარავ? არ მოგწონს?

ჰანი: (ისტერიულად) არა. . . ამას ვერ იზამ. . . ვერ იზამ. . .

ჯორჯი: ვინ მეუბნება?

ჰანი: მე! მე გეუბნები!

ჯორჯი: რატომ, პატარავ?

ჰანი: არა!

ნიკი: თამაში დასრულდა?

ჰანი: დიახ! დიახ, მორჩა!

ჯორჯი: (მარტას) ჩვენ შენთვის სიურპრიზი გვაქვს. ჩვენ შვილიყო ჯიმიზე. .

მარტა: აღარ გინდა, ჯორჯ.

ჯორჯი: დიახ!

ნიკი: თავი დაანებე!

ჯორჯი: ამ შოუს წამყვანი მე ვარ! საყვარელო ვგონებ შენთვის ცუდი ამბავი მაქვს. . . უფრო სწორედ ჩვენთვის. ძალიან ცუდი ამბავი.

(ჰანი ხელებში ჩარგავს თავს და ტირის)

მარტა: რაშია საქმე?

ჯორჯი: მისმინე, მარტა. . . როდესაც თქვენ ორნი გასულეები იყავით ოთახიდან. . . არ ვიცი სად, თუმცა სადღაც ნამდვილად იყავით. . . ხოდა, მე და ეს ქალბატონი აქ ვისხედით და ვსაუბრობდით, როდესაც კარზე ზარის ხმა გაისმა. . . და მიჭირს ამის თქმა. . .

მარტა: მითხარი. . .

ჰანი: გთხოვ, არ გინდა. . .

ჯორჯი: . . .და ის ჩვიდმეტი წლის პატარა ბიჭუნა მოვიდა. . .

მარტა: გიჟი ბილი?

ჯორჯი: ხო, მართალი ხარ მარტა. . . გიჟი ბილი. . . და მას თან დეპეშა ჰქონდა. . . ჩვენთვის განკუთვნილი და სწორედ ამაზე უნდა გითხრა. . .

მარტა: რატომ მოიტანეს? რატომ არ დარეკეს?

ჯორჯი: არსებობს ისეთი დეპეშები, რომელიც პირადად უნდა მიიტანო. . . ისეთები, რომელზედაც დარეკვა არ გამოდის. . .

მარტა: რას გულისხმობ?

ჯორჯი: მარტა. . . მიჭირს ამის თქმა. . .

ჰანი: გთხოვ, არ გინდა. . .

ჯორჯი: ჩემს მაგივრად გააკეთებ ამას?

ჰანი: არა, არა, არა, არა, არა

ჯორჯი: **(ამოიოხრებს)** მარტა. . . ვწუხვარ მაგრამ ჩვენი ბიჭი თავის დაბადების დღეზე შინ ვერ მოვა.

მარტა: რა თქმა უნდა მოვა

ჯორჯი: არა, მარტა

მარტა: რა თქმა უნდა მოვა. გამბობ, რომ მოვა!

ამის ძალა. . .

ჯორჯი: მართალია, მარტა; მე ღმერთი არ ვარ. . . მე სიცოცხლესა და სიკვდილზე ძალა არ გამაჩნია.

მარტა: შენ მას ვერ მოკლავ! შენ მის სიკვდილს ვერ დაუშვებ!

ჰანი: ქალბატონო. . . გთხოვთ. . .

მარტა: არ შეგიძლია!

ჯორჯი: დეპეშა მივიღეთ, მარტა

მარტა: მაჩვენე!

ჯორჯი: შევჭამე!

მარტა: რა მითხარი?

ჯორჯი: შევჭამე!

ნიკი: ასეთ დროს ხუმრობის დროა?

ჯორჯი: დეპეშა შევჭამე თუ არა?

ჰანი: შეჭამე! გიყურებდი! მთლიანად შეჭამე!

ჯორჯი: კარგი ბიჭივით. . .

ჰანი: კარგი ბიჭივით. . .

მარტა: აქედან თავს ვერ დაიძვრენ.

ჯორჯი: ხომ იცი წესები მარტა! ღვთის გულისათვის, ხომ იცი წესები!

მარტა: არა!

ნიკი: რაზე საუბრობთ?

ჯორჯი: შემიძლია მოვკლა მარტა, თუ ასე მსურს!

მარტა: ის ჩვენი შვილია!

ჯორჯი: დიას, ის შენ შვი, და კარგადაც იმშობიარე. . .

მარტა: ის ჩვენი შვილია!

ჯორჯი: მოკვალე!

მარტა: არა!

ჯორჯი: დიას!

(სიჩუმე)

ნიკი: მგონი მესმის!

ჯორჯი: მართლა?

ნიკი: მგონი მესმის!

ჯორჯი: მით უკეთესი შენთვის.

ნიკი: ღმერთო ჩემო, მგონი მესმის!

მარტა: ამის უფლება არ გაქვს. . . ამის უფლება არ გაქვს. . .

ჯორჯი: (ნაზად) მაქვს, მარტა. ჩვენ არასდროს გვიღაპარაკი ამაზე; ესაა და
ეს. როდესაც მომინდებოდა მაშინ შემეძლო მომეკლა.

მარტა: კი მაგრამ რატომ? ღატომ?

ჯორჯი: წესები დაარღვიე. . . სხვასთან ახსენე. . . სხვასთან. . .

მარტა: არა, არ მიხსენებია.

ჯორჯი: დიახ, ახსენე.

მარტა: ვისთან? ვისთან?

ჰანი: (ტირის) ჩემთან.

მარტა: (ტირის) მაგიწყდება! ხანდახან . . . ხანდახან, როდესაც ღამეა. . . და
ყველა სხვა ღაპარაკობს. . . მაგიწყდება. . . და მინდა. . . მინდა ვახსენო
ხოლმე. . . და არასდროს ამის ნებას არ მაძლევ. . . კარგი, ჯანდაბას
ვახსენე. . . მაგრამ არ უნდა მოგეკლა.

ჯორჯი: განისვენე სიმშვიდეში

ჰანი: ამინ.

მარტა: არ უნდა მოგეკლა, ჯორჯ.

ჯორჯი: Requiem aeternam dona eis, Domine

ჰანი: Et lux perpetua luceat eis.

მარტა: არ იყო. . . საჭირო

(სიჩუმე)

ჯორჯი: მალე გათენდება. ვგონებ, წვეულება დამთავრდა. სახლისაკენ,

ბავშვებო; რა ხანია თქვენი ძილის დროა.

(ნიკი და ჰანი ჩაკიდებენ ხელს და გადიან; ჯორჯი კარებს დახურავს; მათ ჭიქებს აიღებს და ბართან მიიტანს. ბოლო ნაწილი ძალიან მშვიდი, ნაზი და შენელებულია)

ჯორჯი: რამეს ხომ არ ინდებებდი, მარტა?

მარტა: არა. . . არაფერს. . .

ჯორჯი: კარგი. (პაუნა) ძილის დროა.

მარტა: კარგი.

ჯორჯი: დაიდალე?

მარტა: კი.

ჯორჯი: მეც.

მარტა: კი.

ჯორჯი: მთელი კვირა დღე

მარტა: კი

(გრძელი სიჩუმე ჩამოვარდება)

მარტა: ეს. . . ეს. . . ეს. . . უნდა გაგეკეთებინა?

ჯორჯი: კი

მარტა: იძულებული იყავი?

ჯორჯი: კი

მარტა: არ ვიცი

ჯორჯი: დრო. . . იყო

მარტა: იყო კი?

ჯორჯი: კი

მარტა: მცოვა.

ჯორჯი: გვიანია.

მარტა: კი.

ჯორჯი: უკეთესი იქნება

მარტა: არ. . . ვიცი

ჯორჯი: უკეთესი იქნება . . . ალბათ

მარტა: არ. . . ვარ. . . დარწმუნებული. . .

ჯორჯი: არა. . .

მარტა: მხოლოდ. . . ჩვენ?

ჯორჯი: კი.

მარტა: ვფიქრობ. . . შეგვეძლო. . .

ჯორჯი: არა, მარტა.

მარტა: კი. არა

ჯორჯი: კარგად ხარ?

მარტა: კი. რა

(ჯორჯი მხარზე დაადებს ხელს, ის თავს უკან გადახრის და ჯორჯი მას უმღერის)

ჯორჯი: ვის ეშინია ვირჯინია ვულფის,

ვირჯინია ვულფის,

ვირჯინია ვულფის,

მარტა: მე . . . მე . . . მეშინია. . . ჯორჯ. . .

ჯორჯი: ვის ეშინია ვირჯინია ვულფის

მარტა: მე . . . მე . . . მეშინია. . . ჯორჯ. . .

(სიჩუმე)

ფარდა